


განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2015 წ. აპრილი * №44 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



კარდენახის საბა-წმინდის სამონასტრო კომპლექსი, VI-XIII სს.

ს ა ქ ა ზ ო ე ე ლ ლ
შ ა ზ ო ლ შ ა დ ო დ ე ზ ლ უ ზ ო
ს ა ს ე ლ შ ო ე ლ ა



ქაჩეთა ტონიკო
ქაჩეთა ტონიკო
ქაჩეთა ტონიკო

შ ა ქ უ ლ ი
ე ნ ა
ს ა ზ ო ე ე ლ ა

თბილისის ჟამბახილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა
მედიაკავშირი „ობიექტივი“
და ე.წ. „პატრიოტთა ალიანსი“

გვ. 4,6,8

გვ. 5,7

საარჩევნო დღეება



ლეილა ტომაია საქართველოს რესპუბლიკის სინამდვილეში, ორი ათეული წლის განმავლობაში, ყველა ტიპის საკონსტიტუციო ვადებში, განსაკუთრებით მწვავედ ვანყდებით საარჩევნო დილემას, რომელსაც წარმოშობს ხოლმე, ჩვენში თითქმის ნორმად ქცეული სრულიად არაჯანსაღი პოლიტ.კონკურენტული გარემო და არადემოკრატიული საარჩევნო კანონი, რომლის დახვეწასა და ლიბერალიზაციას, პოსტ-საბჭოური პერიოდის მეოთხე ფაქტობრივი ხელისუფლების დროსაც კი არა და არ დაადგა საშველი!

პოლიტიკური დერეფსა და თანამედროვე ელექტორატსაც როგორც სჩანს, გენეტიკურად გადმოყვა საბჭოურ-კომუნისტური მენტალობა - ხელისუფლებაში დარჩენის (მარადიულად ყოფნის) აკვიტებული სურვილი, რაც ხელისუფლებას, როგორც ასეთს, სახელმწიფო დამნაშავეთა თუ კორუმპირებულ თანამდებობის პირთა თავშესაფრის ინსტიტუტად გადაქცევის საფრთხეს უქმნის!

საფარმურატ ნიაზოვისეული თურქმენ-ბაშობის დაუოკებელი ჟინი აშკარად მძლავრობს ე.წ. ნაციონალური პარტიისა და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის აქტივობებში, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც გახლდათ 21 მარტის მიტინგი, რომელშიც მათ მთელი საქართველოს მასშტაბით 8 000-მდე ადამიანის მობილიზება შეძლეს. რამდენიც არ უნდა ვიდავოთ ამ რაოდენობაზე ან გაავრცალოთ იგი, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მაინც შთამბეჭდავი და საგულისხმო რაოდენობაა დესტაბილიზაციის რისკის თვალსაზრისით!

გარდა იმისა, რომ ე.წ. ნაციონალებმა სოლიდური ფინანსური რესურსით შეძლეს ამ რაოდენობის ხალხის მობილიზება დედაქალაქის თავისუფლების მოედანზე, ლიდერები არც ცრუ და ლიტონ ქადილსაც მოერიდნენ, რომ თითქოს ისინი „21 მარტსვე დაასრულებდნენ კოალიციური ოცნების სახელისუფლო მმართველობას, რის გარეშეც არ წავიდოდნენ სახლებში!“

საზოგადოებრივი აზრის

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ზონდირების თვალსაზრისით „ოცნების“

ხელისუფლების გადაყენების სულისკვეთება გადამწყვეტი აღმოჩნდა 21 მარტის საპროტესტო გამოსვლაში მონაწილეთათვის. ამ საკითხთან მიმართებაში, აგრეთვე გასათვალისწინებელია სოლიდური რაოდენობის ხალხის ის კატეგორიაც, რომელიც ამავე სულისკვეთების მატარებელი ანუ კონსოლიდირებულია მათთან, მაგრამ არ წარმოადგენს „ნაციონალების“ ელექტორატს, რისი მიზეზითაც არ მივიდნენ და არც არასდროს მივიღენ „ნაციონალების“ აქციაზე. „ნაციონალებმა“ კი

რაც აპრიორი მისგან მართულობასა და კონტროლირებას ნიშნავს. და მომრავლდნენ ჩვენში ცრუ და ფსევდო-ოპოზიციონერები, ხალხი კი მუდმივად „გაცუცურაკებული“ რჩება! განა ასე არ იქცეოდა თავად ბიძინა ივანიშვილი, როდესაც მხოლოდ სააკაშვილის სახელისუფლო რეჟიმს აფინანსებდა უხვად წლების განმავლობაში? ხოლო მისი ყბადღეული ქველმოქმედებისა და მეცენატობის მითი კი, პოლიტიკაში შემოჭრისთანავე დაიმსხვრა; დღევანდელი მოსახლეობა ივანიშვილის ცრუ და ლიტონი დაპირებების მსხვერპლია. ივანიშვილმა ყველა და ყველაფერი საკუთარი მომავალი პოლიტიკური რეიტინგისთვის გამოიყენა და შესაბამისად იზრდება მხოლოდ მისი ფულადი რესურსები, მსუყედ ნაყრდება მხოლოდ მისივე ხელისუფლება...

ე.ნ. ნაციონალური პარტიის საპარლამენტო ფრთის მიზანდასახულ პოლიტიკურ აქტივობებში, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც მოიპოვონ მანდატები, გასაკვირი ნამდვილად არაფერია, მაგრამ ამთავივით დაბეჯითებით შეიძლება პროგნოზირება, რომ ე.ნ. „ნაციონალები“ პოლარულ უმცირესობას ნამდვილად ვეღარ მოიპოვებენ, არამედ 2016 წელს მხოლოდ თითო-ორი პარლამენტარებით თუ იქნებიან წარმოდგენილნი. მიხეილ სააკაშვილს ქართულ პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობაში სერიოზულად

უშლის ხელს მისი გაუნონასწორებელი ხასიათი და არაადექვატურობა, სხვა მხრივ იგი ძლიერი, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული და ზღვა ენერჯის მქონე პოლიტიკური ლიდერია, ხოლო მისი გუნდი გონიერი ადამიანებისაგან შედგება, მაგრამ „ნაციონალები“ სრულად ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივი ძალაა და მათ პოლიტიკურ სწრაფვას მართავს კარიერიზმი და დიქტატორული ჟინი, რაც 10 წლის განმავლობაში მწვავედ გამოსცადა ხალხმა, დაიმცრო სახელმწიფო ტერიტორიებიც. ძალისმიერი ლიდერო-მანია სააკაშვილის ასაკობრივი ნაკლი არ არის, არამედ დაბადებიდან თანდაყოლილ თვისებად ჩანს. ეს საფრთხე იწვინა და უკუაგდო ერმა და ან- უკვე მას აღარასოდეს მოისურვებს!

ამგვარი არასახარბიელო „პერსპექტივის“ ფონზე, ერთობ საკვირველია იმ ახალგაზრდების ოპტიმიზმი და აქტივობები, რასაც ისინი „ნაციონალების“ სასარგებლოდ იჩენენ. მათ შორის განსაკუთრებული სინანულით გამოვყოფდი თსუ სტუდენტ ნიკა მაჭუტაძეს, რომელიც სკოლის ასაკიდანვე იდეური სულისკვეთების პოლიტიზირებული ყმაწვილი გახლდათ და ამ ნიშნით აქტიურად დადგა ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟის კონსტანტინე გამსახურდიას გვერდით. იგი ენერგიული, ინტელიგენტი, უაღრესად განსწავლული პერსპექტიული ახალგაზრდაა და მას მომავალში ალბათ უფრო ფართო პოლიტიკურ ასპარეზზეც ვიხილავთ, მაგრამ თუ ეს იქნება სააკაშვილის „ნაციონალური პარტიის“ ახალგაზრდული ფრთა, ეს სრულად შთანთქავს სტუდენტის მაჭუტაძის ეროვნულ-პატრიოტულ თვითშეგნებას და ქართველი ერი მისგან და მისთანა ახალგაზრდებისაგან მიიღებს პატარა სააკაშვილებს, მერაბიშვილებს, ბოკერიებს, გაბაშვილებს... რაც უპერსპექტივოს ხდის მის მოღვაწეობას პოლიტიკაში; ნიკა მაჭუტაძეს საკმარისი პოტენცია გააჩნია, რომ თავად შექმნას პოლიტიკური ორგანიზაცია და ხელისუფლებაში მოვიდეს ღირსეული ქართველი წინაპრების იდეურ მემკვიდრე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად.

ივანიშვილი კი, როგორცაც არ უნდა შეინიღბოს, მისი ფარდისმილმიერი მმართველობა სრულიად ცხადყოფს პუტინის ემისრობას; „ქართულ ოცნებად“ ნოდებულის სახელისუფლო ძალის მოსვლის შემდგომ გაიზარდა რუსი ტურისტების რაოდენობა საქართველოში, რომელთა რიცხვი მინიმუმამდე იყო დაყვანილი და იშვიათობასაც კი წარმოადგენდა, აღორძინება იწყო მკვდრადქცეულმა რუსულმა ენამ. ივანიშვილს ყელში ჰყავდა ნაჭერილი სააკაშვილი, როგორც მისი ფინანსური რეკეტიორი წლების

განმავლობაში და მისგან გათავისუფლებას ლამობდა. ამ ფაქტორებმა აქციეს ბანკირი ივანიშვილი „პოლიტიკოსად“, საქართველო კი, მისი მემკვიბით, რუსეთის ბიზნეს-ინტერესების სარბიელად; 2014-15 წლებში გაიზარდა რუსული ავიაკომპანიების რაოდენობა და ფრენის სიხშირე საქართველოში და მონოპოლიურიც ხდება, რადგან თითქმის განიდევნა უცხოური ავიაკომპანიები, რასაც უშედეგოდ აპროტესტებს „აიზენა“. საქართველოს ბაზარზე შემოსვლა იწყო რუსულმა ავტონარმოების მანქანებმა, რომლებიც ჯერ ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შემოვიდნენ, რითაც რუსული ავტონარმოებელი კომპანია FA3-ჯგუფი, არღვევს საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ გამომდინარე იქედან, რომ FA3-ჯგუფი ოფიციალურად თანამშრომლობს საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან.

ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია, FA3-ჯგუფის მიერ წარმოებული ავტომობილების დაბალი კლასი და ხარისხი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. საქართველოს მალაზიებში გაჩნდა რუსული წარმოების სასურსათო თუ სამრეწველო პროდუქციები, გაჩნდნენ და გააქტიურდნენ რუსული ორიენტაციის ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც არც მალავენ რომ რუსეთთან ფინანსდებიან. რუსეთთან ინტეგრაციის საჯარო განცხადებებს აკეთებენ პარლამენტში ბიზნესმენი დეპუტატები „მრეწველებიდან“ გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე, ამოქმედდა რუსული სატელევიზიო არხები, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო განცხადებები (90 სტუდენტი) ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სექტემბერში გაემგზავრებიან მოსკოვს და ა.შ. და ა.შ.

ბიძინა ივანიშვილს, ლეგალურად, 1980 წლის შემდგომ არსად, თვით მოსკოვშიც კი არ

ერისთვის საშიშნი!!!



თავისი მომხრეები, 21 მარტის აქციაზეც უბრალოდ მოატყუეს და ხელისუფლების გადაყენების მუქარით წამოიწყებულ მიტინგზე მთავრობის კანცელარიასთან გადანიაცვლებით და სიმბოლური წითელი ბარათების აწვეითა („ნადი! ნადი!!“) და ზვიგენის ბუშტების გაშვების შოუ-აქციით დაასრულეს.

მაინც რა იყო, 21 მარტის თვესავერით ადრე დაანონსებულ-მომზადებული საპროტესტო აქცია? რეალურად ეს იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დასაწყისი, რომლის შემდგომი განვითარება ამ აქციაზევე დაანონსეს „ნაციონალებმა“, რომ ისინი მთელი საქართველოს მასშტაბით გააგრძელებენ მსგავსი აქციების ჩატარებას...

ე.ი. კვლავ ვდგებით მოჯადოებული საარჩევნო დილემის წინაშე, ანუ კვლავ მზადდება (იქმნება) ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი! მაინც ვინ არის ან რომელია ის კონკრეტული ძალა, მხოლოდ ამგვარ რეალ-ვითარებას რომ გვახვევს თავს და არა და არ გვიტოვებს თავისუფალი (უკეთესი) არჩევანის შესაძლებლობას?!

სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენივე მომავლის თვითმკვლელებად უწინარესად თავადვე ვიქცით უპასუხისმგებლო და დაბალი ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნებით. ხელისუფლება კი მონსტრია!

XXI-ე საუკუნის საქართველოში ათობით მილიონერი ბიზნესმენები გაჩნდნენ და საზღვარგარეთაც არანაკლები მილიონერი ქართველები არსებობენ. უყვართ ქართველ ბიზნესმენებს თავიანთი სამშობლო საქართველო და მშობელი ერი?

არ უყვართ! საქართველო, ლამის 25 წელია, უცხოელი ინვესტორების ძიებაშია, რათა ქვეყანა ეკონომიურად განვითარდეს და ხალხს სტაბილური საარსებო მინიმუმი მაინც გაუჩნდეს. ამ მილიონერებთანავე, არც ერთი ქართველი სერიოზულ ინვესტიციებს არ აბანდებს საქართველოში. თვით საზღვარგარეთ მოღვაწე ბიზნესმენები, არც ერთ ეროვნულ-პატრიოტულ გაზეთს და არც პოლიტიკურ პარტიას შეენევა ფინანსურად, ნიგნასაც კი არ დაგაფინანსებს, რომც მიაწვდინო ხმა; ისე არიან ჩაკეტილ-გასაიდუმლოებულნი, რომ კონტაქტიც კი შეუძლებელია. საქართველოში გამდიდრებულები კი, მთავრობისა და მისი ძალოვანი სტრუქტურების შიშით (აბა, მათთან თანამშრომლობის გარეშე, როგორ გამდიდრდებოდნენ!), დაფინანსებას, როგორ გაბედავენ, როცა ასეა ყოველი ლარის მოძიება კონტროლირებული სახელისუფლო სტრუქტურების მიერ! ბიზნესმენებს მხოლოდ ანტიეროვნულ-ანტიხელმწიფოებრივი პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების უფლება ეძლევათ ფაქტიურად! საქართველოში პროფესიული და პოლიტიკური განვითარება მხოლოდ ხელისუფლებების ქოლგის ქვეშაა შესაძლებელი,



უმუშავია, მაგრამ იგი მსხვილი კორპორაციებისა და ბანკების მფლობელი ხდება ისე, რომ დღემდე ზის სახლში და არამად ეზრდება შემოსავლები. ასეთი „ყისმათიანები“ არიან კანონიერი ქურდები და ოლიგარქები („ოლიგარქის“ კატეგორიის გასააზრებლად მკითხველთა უმეტესი ნაწილისათვის განვმარტავთ, რომ ოლიგარქად ითვლება მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის წარმომადგენელი, რომელსაც თავისი კაპიტალი უმაღლეს სახელისუფლო პირებთან თანამშრომლობით, გარიგებით აქვს უპირატესად დაგროვილი). ივანიშვილს ცხოვრების მანძილზე არ შეუძენია და ამადაც, არც გააჩნია ლეგალური მუშაობის უნარ-ჩვევები, რისი მიზეზითაც უმოკლეს დროში გაიქცა იგი თანამდებობიდან ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, თუმცა, პოლიტიკაში ამ მაგენ და დანაშაულებრივი პრაქტიკით მაინც მკვიდრობს.

ამგვარად კი, მილიარდების მფლობელი ივანიშვილი, სააკაშვილზე არანაკლები საშიში ხდება საქართველოსთვის თავისი არაკონსტიტუციური მმართველობითაც! ყოველი არჩევნების მოახლოების ჟამს, ელექტორატში თავსატეხ დილემად ჩნდება კითხვის ვერტიკალი: ვინ, თუ არა, არსებული?... სანამ რეჟიმების ნაირსახეობები იარსებებს საქართველოში, მანამ დაისმება ეს მწვავე კითხვა და ეშმაკეულად ჩაიღიმებებს ივანიშვილიც, რომელსაც, აგრეთვე არ სჭირდება ალტერნატივად მამულიშვილი.



შანი სურათი ზვიად გამსახურდიას (ესსე)

ვერ მოესწრები, ჩემს საკუთარ თვალში რომ დამამცირო!

გაიქცნენ და გაიპარნენ კომუნისტების მიერ, "საკუთარ თვალში დამცირებულნი", მოგზავნილები, მალვით მავნებლები, ერთგულების შემომფიცველნი. „გეთესმანიის ბაღში მაცხოვარი ხედავდა, რომ ყველა მის მომხრეს ეძინა, ხოლო ყველა მისი მოწინააღმდეგე ფხიზლობდა“, ამბობს პასკალი. მე შენ მაცხოვარს არ გადარებ, არ ვაჭარბებ...

მე ეს სურათი გუშინ ვნახე, გაზეთში იყო დაბეჭდილი. ამოვჭერი და შევინახე, შევინახავ სამუდამოდ...

დილით, როდესაც გამომეღვიძა, პირველი, რაც მომინდა, ეს იყო გულის გამომღვივი, აუტანელი სურვილი:

ისევ დამეხედა ამ სურათზე, ერთხელ კიდევ შემეველო თვალი, მენახა... ამ სურვილმა გამანადგურა.

ჯერ თავად სურათს აღვწერ, მერე განვმარტავ იმას, თუ რატომ გამანადგურა... ტყე. ნაძვნარი.

სამეგრელოს მთის სოფლებში სადღაც მინახავს ასეთი ფერდობს შეფენილი მეჩხერი ნაძვნარი; ბავშვობისას, სიყმანვილისას ხშირად დავდიოდი ამ სოფლებში და მინახავს... თითქოს ის ნაძვიც მინახავს, რომლის გვერდითაც დგახარ. შენი მხრების სიმაღლეზე ოდნავ გადახრილია ეს ხე, მარჯვენა ხელი იდაყვიანად დაგიყრდნია მასზე; ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც გადამრუდება იწყება... შენი სამშობლოც, შენი ერიც, ხომ გადამრუდდა?! ხომ გადაამრუდეს?! ხომ გაანადგურეს?!

გაშლილი ხელისგული ისე თბილად გიღვეს ამ მრუდზე, თითქოს მორჩენას უპირებ მის წყლულებს, თითქოს ამ ნამრუდის გამართვა გინდა.

ხე მაინც კივის თავის სატკივარზე, კივის შენი სამშობლოც. შენი ერიც კივის. კივის შენი სულიც... მაგრამ ამნუთებში უხმოა ეს კივილი.

უხმოა შენი სამშობლოს კივილი, უხმოა შენი ერის კივილი. უხმოა შენი კივილიც...

ამ ნუთებში ეს კივილი ხედვით შესაცნობია, სმენით კი არა. ეს გარინდების კივილია. საბედისწეროდ გარინდულა ცაც და ხმელეთიც, შენი გულის ხმას უსმენს თითქოს ორივე: ცაცა და მინაც... სადღაც ახლოა ის საბედისწერო ნუთიც... გაახლოვდებიან უკვე...

ჩაქრა „ფიერვერკები“. გათავდა საზიზღარო წარმოდგენა. ყველა მიიმალა, მიიჩქმალა ყველა, არავინ არ ჩანს.

კომუნისტურ ტვინს სხვა რა შეუძლია?!

მახსენდება დიდებული მერი უოლსტონკრაფტ შელი; ფრანკენშტაინი ეუბნება მონსტრს: შენ შეიძლება კაცთა შორის ყველაზე უფრო უბედური გამხადო, მაგრამ იმას



ამ სურათიდან აშკარად იგრძნობა, რომ ყველა შენი ნამდვილი მომხრე შორსაა შენგან, ყველა შენი ცრუ მომხრე და მოწინააღმდეგე გიანლოვდება... მაგრამ შენ საკუთარ თვალში ვერ დაგამცირებენ... რამდენადაც გაგწირეს, იმდენად უფრო ამაღლდი, იმდენად განათლდი, გასაკვირველდი...

ნახვამდის, ჩემო პრეზიდენტო! ჩვენ, სადმე სივრცეში, ისევ შევხვდებით ერთმანეთს...

აკოლონ აღონია

ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ან უკვე ამქვეყნიური სოფლიდან თვითონაც მონამეობრივად გასული, თითქმის უცნობი გენიოსის, აკოლონ აღონიას სული, სადმე ზეციურ სივრცეში, მართლაც შეხვდება ზვიადის სულს ... (რედ.)

1991 წლის 31 მარტს სრულიად

საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეთა 90,08%-მა, ანუ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფასა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას!

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე!

2008 წელს ჩატარდა ნატოში

განევრიანების პლებისციტი, რომელშიც, აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის 77% მხარი დაუჭირა ნატოში განევრიანებას.

საქართველოს სახელმწიფოს

პოლიტიკური კურსი, ამ უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური ისტორიული აქტებით, სამერმისოდაც განსაზღვრულია!

უცდოგების ბასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (43), გვ. 3, 4 „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა – ირაკლი შონიას ჟურნალისტური გამოძიება“ გაიპარა სამწუხარო შეცდომები: გვ 3-ზე განთავსებულ ფოტოზე გაკეთებული წარწერა მიმანიშნებელი ისრით „ბადრი ზარანდია“ მცდარია და რეალურად იგი გახლავთ ზაზა ბურჯანაძე, ხოლო გვ. 4-ში მეორე სვეტის, მეორე სურათის ქვემოთ ზვიადის სიტყვებში გაპარულია კორექტურა: „ვართო“ს ნაცვლად უნდა იყოს - „ვარო!“ ამავე გვერდზე მესამე სვეტის აბზაცში: „ოფიციალური ვერსიით ზვიად გამსახურდია დაიღუპა 31 იანვარს“, თარიღი მცდარია და უნდა იყოს „1 იანვარს“.

თბილისის ქაეფხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

ანატოლი სობჩაკი

ანატოლი სობჩაკის, არცთუ მცირე მოცულობის ზემოდასათუარებულ წიგნიდან, ჩვენ ვბეჭდავთ ფრაგენტებს 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებზე და ამთავითვე უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ პარტიული ნომენკლატურის უმაღლეს წარმომადგენელს ანატოლ სობჩაკს, 1989 წლის თბილისის ჟამტეხილი, დაწერილი აქვს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების და განსაკუთრებით კი ზვიად გამსახურდიასადმი მწვავე კრიტიკითა და უსამართლო ბრალდებებით, რაშიც არ შეიძლება ვეთანხმებოდეთ მას, მაგრამ მისი კომუნისტური ბიოგრაფიიდან გამომდინარე (იგი გახლდათ გორბაჩოვის დროინდელი საბჭოთა ხელისუფლებისა და ელცინის დროინდელი რუსეთის ერთ-ერთი ლიდერი) ლოიალური ვერ იქნებოდა საბჭოთა დისიდენტების მიმართ. თუმცა მან, როგორც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელმა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გააკეთა, რათა სიმართლე 9 აპრილს საბჭოთა ჯარების სასტიკ მოქმედებებზე გამჟღავნებულიყო. იმისათვის რომ 21-ე საუკუნის ახალგაზრდებისათვის ნათელყოფილი სობჩაკის ფიგურა, მისი ბიოგრაფიიდან ვაუწყებთ, რომ რუსეთის დღევანდელი ლიდერის პუტინის აღზევებაც რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში, სწორედ ლენინგრადიდან, სობჩაკის გუნდიდან მოხდა. 2000 წელს სობჩაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კი არსებობს ვერსიები (და ამ ვერსიას სობჩაკის მეუღლე ავრცელებს), რომ იგი მოკლეს. სობჩაკის წინამდებარე წიგნი მწვავე კრიტიკას თვით საბჭოთა რეჟიმისადმიც შეიცავს და მრავალ საინტერესო ცნობებს გვანჯდის საქართველოს პარტიული ფუნქციონერების როლზე 9 აპრილის ტრაგედიაში. ამადაც, მნიშვნელოვნად მივიჩნით ამ ფრაგმენტების დაბეჭდვა მისი წიგნიდან (რედ.).



8 აპრილი ლაკირისპირების უკანასკნელი ღვე - მოქალაქე

ილია. მოედანს ჯერ ხეირიანად არ გაუღვიძია და ხალხი ცოტაა. ყოველ შემთხვევაში, წინ იყო მანიფესტანტთა ჩვეულებრივი ღვე, რომლებსაც

მკვეთრი ცვლილებებისა არაფერი ეტყობოდა. ხელისუფალნი მანიფესტანტებს არ ფაციფუცობდნენ. მეტწილად ფანჯრებთან იდგნენ და ხალხს ადევნებდნენ თვალს. შუადღისას, როცა საკმაოდ ბევრი ხალხი იყრიდა თავს, კვლავ იწყებოდა მიტინგი, ადამიანთა მასა ინთებოდა, იგზნებოდა, ყვიროდა, ყიჟინას სცემდა. მაგრამ მიტინგის ორგანიზატორებს შორის უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომ 14 აპრილისათვის ყველაფერი შეენწყვიტათ: არა მარტო შიმშილობა, არამედ მოედნის მანიფესტაციებიც.

ხალხს დალა დაეტყო. გადანწყვიტეს, კიდევ ორიოდე დღეს დარჩენილიყვნენ, მერე კი დაშლილიყვნენ, რათა შეეკრიბათ ძალები შემდეგი დარტყმისათვის, ვინაიდან ახლა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის გამოცვლის შემდეგ, ამ პრობლემის სიმწვავე, რომლითაც დაიწყო ყველაფერი, ჩაცხრა. არადა, დაძაბულობის პიკზე ხალხს უკვე ვეღარ ამყოფებდნენ, ამას ვერავინ შეძლებდა. ასე თუ ისე, დაქვეითება გარდაუვალი იყო. აქცია დროზე უნდა შეენწყვიტათ, რათა ხალხი აქედან გულგატეხილი არ წასულიყო და ასეთი ღონისძიებები არ მოეზრებოდა. მაშინ იმათი რიცხვი, ვისაც მთელი არსებით სწამდა და ვინც მზად იყო, ბოლომდე მდგარიყო და ადგილიდან ფეხი არ მოეცვალა, არცთუ ისე დიდი იყო და მოედანზე თავშეყრილ ადამიანთა ძირითად ნაწილს ცნობისმოყვარეობა შეადგენდნენ. ექსკურსიამძღოლებს მოედანზე ტურისტთა ჯგუფებიც კი მოჰყავდათ, ვინაიდან მიტინგი ქალაქის ცხოვრების ჩვეულებრივი ღონისძიებად იქცა. არაფორმალუბის ლიდერებს ეს ესმოდათ, უკან დახევის დრო სულ უფრო ზუსტად იკვეთებოდა. და ალბათ, ყველაფერი ასეც მოხდებოდა. ასეც მოხდებოდა, რომ...

დღით პატიაშვილმა მოსკოვში დაურეკა იაზოვს და იმან უთხრა, 10-15 წუთში თქვენთან კოჩეტოვი და როდინოვი მოვლენო. როდინოვი ოთახში შესულიც არ იყო, ზღურბლიდანვე მიაძახა, მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნის განმედიის ოპერაციის ხელმძღვანელობა მე დამეკისრაო.

პატიაშვილს ხმა არ ამოუღია, მერე კი როდინოვს ჰკითხა მხოლოდ ერთი რამ – რა საშუალებები ექნებათო ჯარებს. გენერალმა უპასუხა: ფარები და ხელკეტები. სხვა კითხვები აღარ დასმულა. ოპერაციის დროს შესახებ არ ულაპარაკიათ, გადანწყვიტეს, ეს საკითხი თავდაცვის საბჭოს სხდომაზე განესაზღვრათ. კომისიის ძალზე აინტერესებდა, მანაც ვინ დანიშნა როდინოვი მოედნის განმედიის ოპერაციის ხელმძღვანელად. ერთი მხრივ, ოპერაციის განსახორციელებლად მოზიდული იყო ძალები, რომლებიც როდინოვს როგორც ოლქის სარდალს არ ექვემდებარებოდნენ, – მედესანტები, შინაგანი ჯარები, საგანგებო დანიშნულების მილიციის რაზმები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. მეორე მხრივ... აი, რას წერს, მაგალითად, თავის მოხსენებით ბარათში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი სამსონოვი:

„მოგახსენებთ: სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის და გენერალური შტაბის უფროსის წერილობითი ბრძანება (განკარგულება) კომენდანტის საათის შემოღებისას საგანგებო რაიონის კომენდანტად და მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნის განმედიის ოპერაციის ხელმძღვანელად ოლქის ჯარების სარდალის დანიშვნის შესახებ, აგრეთვე თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, ოლქის შტაბში არ შემოსულა. საგანგებო რაიონის ადმინისტრაციის დანიშვნის შესახებ გამოიცა ოლქის ჯარების სარდალის ბრძანება.“

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. სამსონოვი. 1989 წლის 16 მაისი.

ახლა კი ნახეთ ამონაწერი იმ ახსნა-განმარტების სტენოგრამიდან, რომელიც კომისიას მისცა პატიაშვილმა:

კითხვა: ვინ დანიშნა როდინოვი მოედნის განმედიის ოპერაციის ხელმძღვანელად?

პატიაშვილი: ამხ. როდინოვი შემოვიდა და მითხრა ამხ. კოჩეტოვის თანდასწრებით, რომ მას დაეკისრა ხელმძღვანელობა, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისაც. ეს იყო 8 აპრილს, დღით.

ამის თაობაზე მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება“.

სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს, რატომ გადანწყვიტა როდინოვმა, ეკისრა მოედანზე თავმოყრილ ადამიანთა გარეკვა? რამ ააღებინა მებრძოლ ოფიცერს პოლიციელის ხელკეტი? საქართველოს მთელი ხელმძღვანელობის უმწიბრებამ? ბრტყელ-ბრტყელმა ლაპარაკმა წესრიგის დამყარების შესახებ, იმის აუტანლობის შესახებ, რაც მოედანზე ხდებოდა და რაიმეს გაკეთების სრულმა უუნარობამ?

როდინოვი წესრიგისა და დისციპლინის კაცია, მისთვის ცხადი იყო საქართველოს ხელისუფალთა უძლურებაც და ისიც, რომ სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. როდინოვმა კარგა ხანია გამოიტანა დასკვნა და აცნობა კიდევ ეს მოსკოვს, – დროა, ძალა ვისმართო. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ იგი უფრო ყურადღებით არ დაკვირვებია მოედანს და არ დაუნახავს, რა ხდებოდა მოედანზე.

გოგო-ბიჭები! დიახ, ისინი გაიძახდნენ და ლაპარაკობდნენ გენერლისა და კომუნისტის ყურისათვის უჩვეულო, უფრო მეტიც, მკრეხელურ სიტყვებს. თუმცა, იგივე როდინოვი რომ დაკვირვებოდა მიმდინარე ამბებს, დარწმუნებული ვარ, აღარ მოუწოდებოდა ჯარისკაცების გამოყვანა მომიტინგეებთან საბრძოლველად.

მაშ რამ აამოძრავა იმ დროს ეს მანქანა? რალაცნაირად თავის გამორჩენის სურვილმა? არ მჯერა. მას ისედაც მრავლად ჰქონდა ჯილდოები და რეგალიები. თანაც, არ არის ამის კაცი.

ეგენი შვარცის ცნობილ ზღაპარში, როდესაც ერთ-ერთი გმირი თავს იმართლებს, მე რა შუაში ვარ, მე მხოლოდ უკეთურის შეგირდი ვიყავიო, მას მიუგებენ: „კი მაგრამ, რატომ იყავი შენ მისი საუკეთესო და უპირველესი შეგირდი?“

ხომ არ იყო ეს საუკეთესო შემსრულებლის სინდრომის ბრალი, შემსრულებლისა, დიდად რომ არ იტყუებს თავს იმის ზნეობრივ შედეგებზე ფიქრით, რაც მისი ბრძანებით ხდებოდა? როგორც ჩანს, როდინოვის მიმართ ყველაფერი უფრო რთულად არის. როგორც შემდეგ გამოირკვა, უშუალო წერილობითი ბრძანება მას საერთოდ არ მიუღია. მაშ, რა მოხდა? ის ხომ არა, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, როდინოვმა იგრძნო, რას მოელან მისგან იგივე პატიაშვილიც და მოსკოველი ხელმძღვანელობაც და გადანწყვიტა, ინიციატივა გამოიჩინა? ყველას უნდოდა, რაც შეიძლება მაღლ შეენწყვიტათ ეს შიმშილობანი, მიტინგები, მანიფესტაციები და ვიდაცას ხომ უნდა ედო კისრად ეს ბინძური საშუალო. საქართველოს ხელმძღვანელობისათვის ამკარა იყო, რომ ამის გაკეთებას შეძლებდა მხოლოდ არმია და, მამასადამე, როდინოვი.

შევეცადოთ, გავიგოთ, რამ უბიძგა როდინოვს, მიეღო საბედისწერო გადაწყვეტილება. იგი ყოველდღე ხედავდა გაღიზიანებულ, აფორიაქებულ ბრბოს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას, თვითონ არ მუშაობდნენ, ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ. ალგზნებულ, მყვირალო ხალხს თავზევით ეკავა ლოზუნგები. მათგან, ზოგიერთ რუსულად დანერვილს, თვითონაც არჩევიდა. აბა, შეეძლო 1989 წლის აპრილში, ჯერ კიდევ სახალხო დეპარტამენტი პირველ ყრილობამდე, გენერალ როდინოვს გაეზიარებინა ეს ლოზუნგები? რა თქმა უნდა, არა!

გავიხსენოთ, როგორ თანდათან ვიშორებთ კომუნისტურ და სოციალისტურ ხუნდებს. როგორ ღმუროდნენ აუტანელი ტყვილისაგან ისინი, ვისაც ყოველივე ეს წმიდათა წმიდა ეგონა, სჯეროდა და ყოველივეს შეჩვეული იყო. უნდა შევიძლოთ მათი გაგება და შეცოდება. არა ყოველთვის, და არა ყოველ კაცს ხელეწიფება, დროზე მიხვდეს და გააანალიზოს ყოველივე, გამოიტანოს სწორი დასკვნები. მასმედიის მასობრივი ზენოლა საბჭოთა ადამიანების გონებაზე 70 წლის განმავლობაში უშედეგოდ ვერ დარჩებოდა, ცნობიერების დეფორმაცია უცხად ვერ გაქრებოდა. იმ მომენტში როდინოვს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ლოზუნგებში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, რომ საქმე ეხება ანტისამთავრობო, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში სრულიად ჩვეულებრივ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ არსებობის უფლება.

გაგრძელება გვ. 6

მედიაკავშირი „ოზიექტივი“ და ე.წ. „პატრიოტთა ალიანსი“

სიმართლეს დანატრებულ ხალხს, მავანმა ეს მედიაკავშირ-მაუწყებლობა მზაკერულად შემოაჩეჩა და ოზიექტივმა უმალ აიტაცა, არიქა, გვეშველაო!

აქაოდა, სიმართლის მაძიებელი და მქადაგებელი ჟურნალისტების საკრებულოა-ო. იქ მართლაც ჰყავთ რამდენიმე წამყვანი, რომლებიც ასე თუ ისე ახერხებენ ტაბუირებული თემების გაშუქებას. მედიაკავშირის პოლიტიკური კი ეს მხოლოდ ფასადად სჭირდება.

„თავისუფალი მედიასივრცე“ წაგლეჯილ საქართველოში (თუმცა ის დედამიწის ზურგზე, არც სადმე არის) ეს გაერთიანება „პოტიომკინის სოფელია“, გარედან მტერს უვსებს თვალებს, შიგნიდან კი მოყვარეს.

იქმნება ილუზია, თითქოს ამ მაუწყებლობიდან შუქდებოდეს ქვეყნის საჭირობო საკითხები, მისი სატიკვარი, მაგრამ ესეც მხოლოდ ნახევარსიმართლეა.

ნახევარი სიმართლე კი სიცრუეზე მეტად დამლუპველია.

ადრე მათ გადაცემებს ხშირად ვუსმენდი, ვერთვებოდი პირდაპირ ეთერშიც. თავიდანვე გამოიკვეთა ერთი რამ - ამ „დემონკრატ“ ჟურნალისტებს განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო, ესეთივე რეაქცია ჰქონდათ, როგორც მათი კრიტიკის ობიექტს - მიშას რეჟიმს.

ექსტრემალურ სიტუაციაში კი ეთერში მედიაკავშირის მთელი პოლიტიკური შემოიჭრებოდა და მტრისას!... აქ მხოლოდ სააკაშვილისა და მის „შაიკის“ გაშვებაა მოდამი.

მედია-კავშირ „ბრბობიექტივის“ პრეტენზიებიდან გამომდინარე, ხალხმა ცალსახად უნდა იცოდეს ვისთან და რასთან გავქვს საქმე, ვინ აფინანსებს ამ კავშირს, ვინ იხდის მათ ევროპული ვოიაჟების ან თუნდაც იმ ოფისისათვის, რომელიც მათ ქალაქის პრესტიჟულ უბანში, სოლიდურ შენობაში აქვთ ნაქირავები?

არა და ეს შენობა, კინოს სახლი, მხოლოდ სიავით დაამახსოვრდა ქართველ ხალხს, ეს შენობა ხომ თავშესაყარი იყო მანქურთებისა და კოლაბორაციონისტების. სწორედ, ამ შენობაში იხარა ბოროტების თესლმა და დაასამარა საქართველოს დამოუკიდებლობა 1990-იან წლებში!

„მსმენელები“ წლების განმავლობაში „ვევდრებოდნენ“ „წინააღმდეგობის მოძრაობა“ პოლიტიკურ პარტიად გადააკეთეთო და ამდენი ხეცნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა გაიღეს წყალობა და გაახარეს თავიანთი მრევლი და ან უკვე „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ად მოგვევლინენ.

კოსმოსური სიჩქარით ყალიბდებიან, ფრაქციებსაც ქმნიან რაიონულ თუ საქალაქო საკრებულოებში, მერე და ვისგან, არ იკითხავთ? მიშას გოგო-ბიჭებისაგან, რომლებზედაც აცრილები არიან ეს ცხრა წელიწადი. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“-ო! თუ ეს გოგო-ბიჭები მიშას ხელში არ ვარგოდნენ, თქვენთან მიერთებით გაკეთილშობილდნენ და გაპატრონდნენ?!

გუშინ ჯვარს რომ აცვამდნენ სააკაშვილის რაზმს, დღეს მას საბაზო ორგანიზაცია ირგებენ. რა იქნება მათი ნაზავი?! ჩვენთან ხომ პარტიებისა და ბლოკების ცვლა რჯულად ექცათ ურჯულო პოლიტიკურსტებს!

სამშობლოს ბედზე მჭუნვარე ჟურნალისტები თავს „იმტრევენ“, რატომ ვართ ამ დღეშიო?! ვერ გაუგიათ, უფრორე, არ უნდათ გაიგონ მიზეზთა-მიზეზთაგანი. ისე ახსენებენ სახელმწიფო გადატრიალებას, თითქოს ეს ჩვენში უცხოპლანეტელებს განეხორციელებინათ.

აბა, ვინმეს თუ გსენიათ, რომ ამ მაუწყებლობის დამაარსებელთაგან, რომელიმეს ემხილებინოს შევარდნაზე და მოეთხოვოს მისი საჯაროდ გასამართლება? პირიქით, ჩემი ერთ-ერთი ოპონენტი ბონდო მძინარაშვილი აცხადებს და ამაყობს კიდევ იმით, რომ ის ორ პრეზიდენტს ემსახურებოდა.

„არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ

ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზილებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც.“ (მათე, 6, 24)

ამ გაერთიანების მეორე წამყვანი „ჟურნალისტკა“ მაკა რაზმაძე ჩვეულებას არ ღალატობს და დღესაც აფრქვევს ცილისწამებას და სიძულვილს პირველი პრეზიდენტის მიმართ. ეს ის მაკა რაზმაძეა, რომელიც იმ წყეული 21 დეკემბრის ღამეს მთავრობის სახლის მისადგომებთან მიკროფონით ხელში ავის მომასწავებლად გაჰკიოდა. მინც ვინ შეჰყარა ამ საქართველოს ცოდვით სავსეებს ეს სიძულვილის ვირუსი?!

ამ მედიაკავშირში ნახსაყუდელი ჰპოვა ქართველთა ხოცვა-ჟლეტაში, ქართული სოფლების დარბევა-გადანვაში გათანაგულმა დოდო გუგუშვილმა, რომელიც „პოეზიის 3600 წამით“ დააურვეს.

მედიაკავშირის დრო, აგრეთვე ეთობა მრავალ ცნობილ პუტჩისტს, მათ შორის დიმა ჯაიანსა და გოგი ქავთარაძეს. იმ ქავთარაძეს, რომელიც, როგორც სჩანს, დეპუტატობისთვის ყოფილა გაჩენილი და ახლა ბიძომაძე შეათარია „პარლამენტში“ და ზესტაფონლები კი მას მისაბეგვად დაეძებენ და ვერკი იხელთებენ.



ქავთარაძე უზენაეს საბჭოში კომუნისტების სიით იყო წარდგენილი, კომუნისტები კი 1991 წლის 19 აგვისტოს მოსკოვური პუტჩის ღია და აშკარა მხარდაჭერისათვის დაითხოვეს უზენაესი საბჭოდან. ორმაგი პუტჩისტი!

ჯავაშვილ ნერუ სწორედ ასეთ გაიძვერებზე ამბობდა: „არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“.

მედიაკავშირელები სიმართლისთვის თავგადაკულ მებრძოლებად გვისაღებენ თავს, პატიმრების ქომაგებად გვევლინებიან. მიტინგების დარბევა-დანოკებას ხმის ჩახუჩვამდე პროტესტებენ.

ბეიკერის თვალწინ რომ გადაუარეს მომიტინგეებს, ეს არ დაუნახავთ?!

დაინახეს, როგორ არ დაინახეს! მაგრამ... 1992 წელს სისხლის კალოებს რომ ღენავდნენ თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე, არც ეს შეუმჩნევიათ...

სამართლიანობისათვის მებრძოლო ჟურნალისტებო, სად იყავით მაშინ, როდესაც საქართველოში სიმართლეს კლავდნენ? სად იყავით მაშინ, როდესაც ძალმომრეობასა და უსამართლობას მართლაც პატიოსანი ჟურნალისტები რომ ეწირებოდნენ?

სად იყავით მაშინ, როს სულნათელ ირაკლი გოცირიძეს ურბევდნენ რედაქციას, ოჯახს?

ყელაფერს ხედავდით და ყველაფერიც გესმოდათ, მაგრამ დუმდით ან ემსახურებოდით ძალმომრეობას.

თავლთმაქცნო, საბრალო ნაზი შამანაურის პრემიაც კი დაარსეთ და მისი „ლირსული“ მფლობელიც თქვენვე - ირმა ინაშვილი გახდით. თან დისიდენტურ მოძრაობას უსაყვედურეთ, უმწეო ქალი არ დაიცვას-ო. არა და, საქართველოსა და მსოფლიოს სწორედ ზვიად გამსახურდიას წერილებმა და მიმართვებმა გააგებინა ნაზი შამანაურის უბედურების ამბავი, რომელსაც მე და ჩემი ცნობილი დედა

„კაპიროვიკის“ ფურცლებით ვამრავლებდით და ვავრცელებდით ხალხში.

თქვენ არ ჩანდით ნაზი შამანაურის რეაბილიტაციისა და დუშეთში მისი სახელობის ქუჩის გახსნისას, რადგანაც ეს საქმეც ზვიადმა გააკეთა!

სიტყვამ მოიტანა და, სად ბრძანდებოდით, როდესაც შევარდნაძის რეჟიმი ჯურღმულებში ანამებდა და აუბედურებდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს? ოდესმე გინახავთ, ნანამები ნემო ჭანტურიას სურათიც კი?

რატომ არ გააპროტესტეთ მკლავმოჭრილი და გულამოგლეჯილი ვახტანგ ნოდის მიმართ ჩადენილი გაუგონარი სისასტიკე? იმიტომ იყურეთ, რომ თქვენთვის საძულველი გამსახურდიას სურათი დახატა, არა?...

შეისმინეთ კი შუბლში ტყვიადახლილი გოჩა ჯიქიას დედის თამარ შერაზადაშვილის გოდება?

არა, ეს უდანაშაულო კაცი, უნიჭიერესი არქიტექტორი ხომ ნარკოტიკებით გამხეცებულმა შევარდნაძის „გვარდიელმა“ ჩააკლა უბედურ მშობლებს ხელებში... ამ ოჯახმა კი შეიფარა მძევლად აყვანილი მკვლელების უსტაბაშები, ყარყარაშვილი და მისი ამფსონები. ცივ ნიავსაც არ აკარებდნენ, თამარ შერაზადაშვილი ჩვენი დროის ლეგენდა - მოყმის დედაა...

სად იყავით მაშინ, როცა ქართველი ჰეროსტრატენი წვავდნენ კოლხურ კომპს? დუმდით და ამ დუმით სულს უბერავდით კოლხურ კომპში აგიზგიზებულ ხანძარს!

იმიტომ რომ ეს სახლი საქართველოს თავისუფლების აკვანი იყო!

მძინარაშვილი მეტრბახება - ზვიად გამსახურდიასთან მისაუბრია კიდევ-ო. ბატ. ბონდო, ზვიად გამსახურდიასთან კიდევ მისაუბრია და 1981-82 წლებიდან მოყოლებული, როდესაც თქვენ გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეს ზეიმობდით, სამშობლოს თავისუფლებისთვისაც მასთან ერთადაც მიბრძოლია, ღამეებზე მითენებია, მიმომილია, შემცივინა, ტყვიის ქარ-ცეცხლში გამივლია...

მე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თქვენგან განსხვავებით, „პერესტროიკის“ დროს, როს „გარდაქმნა და საჯაროობა“ მოდამი შემოვიდა, არ ჩავბულვარ. ყოველთვის საჯაროდ გამოვხატავდი ჩემი სამშობლოს თავისუფლების სურვილს, რისთვისაც საკმარისი ვინევივით მე და ჩემმა ოჯახმა, რომელიც აღარც კი მაქვს. არც ვის ვამადლი, ალალ იყოს ჩემი სამშობლოს საკურთხეველზე! მეორე სიცოცხლე რომ მომეცეს, ისევე იმ გზას გავივლიდი, მამულის სამსახურის გარდა არსად ჩავდგებოდი, თუმცა შენზე ნაკლებად, არც მე დამმშვენებოდა პალსტუხი, მზის სათვალე, ტყავის ჩანთა და პრიალა მოკასინები (შენი ზუგდიდური ვოიაჟი)!

სიძულვილს როგორღა გვენამებთ, როცა თქვენი ზეობისას სიძულვილის ღვარცოფები ჩქეფდა საქართველოში, ვაი რომ არც ახლა დაგწერტიათ შხამი და სამსალა!

საკუთარ თავზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ, რა ვქნა მაიძულეთ...

შენ ცერცვს ეძებ, შემეყარო, მე კი მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ: „ედვარდ-გიორგის“ სამსახურში ნამყოფ კაცს საამაყო რა გაქვს, განა!

მძინარაშვილო, აქეთ გვტუქსავ, მე ჩემს დამოკიდებულებას პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართ ჩემს გადაცემებში გამოვხატავ-ო, და თუ ასე აკეთებ, აქაც ყალთაბანდობ, იმ გულუბრყვილო „ზვიადისტების“ გულისმოგებას ცდილობ, დროდადრო რომ გეხმინებებიან და გელაციციებიან. როგორც ჩანს, თვალთმაქცობა ყმანვილობიდანვე შეგისისხლბორცვება!

კი ცინიკოსი ყოფილხარ ბატ. ბონდო; ჩემს წინარე ბმულში ვახსენე, რომ მასპინძელი ოჯახები ჩიტის რძეს არ აკლებდნენ-თქო, შენ კი უარყავი, „ფარშავანები“ სად ჰყავდათო. ფარშავანგი შემთხვევით არ გისხენებია, თქვენი

გავრძელება გვ. 7

თბილისის ქაშაფხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

დასაწყისი გვ. 4

მაგრამ გენერალი როდინოვი საბჭოთა სისტემაში გაიზარდა და

არა მარტო გაიზარდა, არამედ მსახურებდა კიდევ ამ სისტემას. მას, როგორც ძალაუფლების მქონეთა უმრავლესობას, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მოედანზე დამნაშავენი შეყრილიყვნენ და, მასასადამე, მათ წინააღმდეგ ძალა უნდა გამოეყენებინა.



გენერალმა როდინოვმა ამ ამბებში დაინახა საფრთხე იმ ცხოვრების მთელი წყობისადმი, რომელსაც იგი შეჩვეული იყო, რომელიც უყვარდა და რომელსაც უფრთხილდებოდა. აბა, რა გულით გადავბოდა განზე? კომუნისტური იდეის ერთგული და კომუნისტური იდეოლოგიის ატრიბუტიკით დამძიმებული სული ამას არ დაანებებდა, აკი არც დაანება. და მაინც, როდინოვის პირადი ნაცნობობა მიკარნახებს, რომ მას არ ჰქონდა ბრძანება, თუნდაც არაფორმალური (არა დოკუმენტის სახით გაფორმებული, არამედ, ვთქვათ, ტელეფონით გადაცემული ან იგივე კორექტორის მიერ სიტყვიერად მიცემული), იგი ვერ გაბედავდა დამსჯელი ოპერაციის ხელმძღვანელობის კისრად ღებას. გენერალმა მაშინ შესცოდა, როდესაც არ მოითხოვა წერილობითი ბრძანება. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ბრძანება ისე მალლა მდგომი პირის სახელით გადასცეს, რომ ასეთ მოთხოვნას ვერც გააცხადებდა?

როგორ ვითარდებოდა მოვლენები შემდეგ. აი, როგორ აღწერს ამ ამბებს თავის მოხსენებით ბარათში ნ. ფოფხაძე:

„8 აპრილს დილის 11 საათისათვის ჩვენ, ბიუროს წევრები, სათათბირო ოთახში შეგკრიბეს. ენსერებოდნენ ბიუროს წევრები (იმთა გარდა, ვინც აფხაზეთში იყო – ანჩაბაძე, ენუქიძე, ჩხეიძე). ესწრებოდნენ ამხ. ამხ. ლობკო, სელივანოვი, ბუიანოვი (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა), ამხ. კორექტორი. სხდომა ხანმოკლე იყო. ამხ. პატიაშვილის გამოსვლის შემდეგ (ვითარების მიმოხილვა, სიტუაციის სიმწვავე, გამოსვლის ქვეტექსტიდან იგრძნობოდა, რომ ცენტრი მხარს გვიჭერს) მის წინადადებას წესრიგის დამყარების შესახებ მხარი დაუჭირეს ამხ. ნიკოლსკიმ და ბიუროს სხვა წევრებმა. ამ სხდომაზე მე არ გამოვსულვარ. საწინააღმდეგო აზრი არავის ჰქონია. კენჭისყრა არ გამართულა. დოკუმენტის პროექტი არ დარიგებულა, ამიტომ ოფიციალური გადაწყვეტილება დღემდე თვალთ არ მინახავს.“

ბიუროს სხდომაზე გვითხრეს, რომ აქციის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ამხ. ი. ნ.

როდინოვს (სხვათა შორის, არ მახსოვს, სახელდობრ ვინ, მაგრამ ვილაცამ თქვა, რომ ამის თაობაზე ინსტანციების გადაწყვეტილება არსებობსო)“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. პატიაშვილის, ამხ. ნიკოლსკის გამოსვლებში, ამხ. ლობკოს გამონათქვამებში გამოსჭვივოდა ის აზრი, რომ პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა ცენტრშია სანქცირებული და იქ იწონებენ ყველა ჩვენს ღონისძიებასო. ამას მონიშნავდა ამხ. კორექტორის აქ ყოფნაც. სწორედ ამით აიხსნება მდღემარე თანხმობა ბიუროს ზოგიერთი წევრისა საერთო გადაწყვეტილებაზე.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ამის შესახებ როდინოვი: „ცეკას ბიუროს მუშაობაში 7 და 8 აპრილს მონაწილეობდა მისი ყველა წევრი, სამხრეთ ოსეთის, აჭარის, აფხაზეთის პირველი მდივნებისა და იმათ გარდა, ვინც ამ დროს აფხაზეთში იმყოფებოდა (ვინ – არ მახსოვს).“

განვიხილავდით ერთ საკითხს: ვითარებას რესპუბლიკაში და, უწინარეს ყოვლისა, ქ. თბილისში. გამოვიდნენ ამხ. ამხ. ჯ. პატიაშვილი, ნ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, გ. გუმბარიძე, ნ. ფოფხაძე, ი. როდინოვი და სხვები.

ქალაქში შექმნილ ვითარებას ყველანი აფასებდნენ როგორც უკიდურესად დაძაბულს, კონტროლს დაუქვემდებარებულს, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა განუწყვეტელი შედეგი, არ იყო გამორიცხული მთავრობის სახლის, ცენტრალური კომიტეტისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდება.

ყველა გამომსვლელი წინადადებას იძლეოდა, ძალა ვეცხმარა. საწინააღმდეგო მოსაზრება ან სხვა წინადადება არ ყოფილა. ყველანი გეთავაზობდნენ სულ უახლოეს დროში გამოგვეყენებინა ძალა“.

აი, ასე გადაწყდა მოედნის განმედიის საკითხი. ფორმალურად კორექტორი არ იყო აღჭურვილი რაღაც საგანგებო რწმუნებებით. თუ მოვლენათა მონაწილეების სიტყვებით ვიმჯჯვლებთ, ყველაფერი თითქოს „შინაურულ დონეზე წყდებოდა“. კორექტორის ტელეფონით დაელაპარაკა იაზოვს და გადაწყვიტა, როდინოვთან ერთად წასულიყო.

ეს ახლავს, რომ პატიაშვილი, რომელმაც ეტყობა, თავი ლეილაში გაუჩინარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსხვერპლად თუ განტყვევების ვაცად იგრძნო, ომახინადა კითხულობს: რა საფუძველზე აიღო როდინოვმა ყველაფერი თავის თავზე?! უფლება არ ჰქონდაო! მაგრამ სად იყო რესპუბლიკის მეთაურის რიხიანი ხმა 7 აპრილს, როდესაც კორექტორიც და როდინოვიც საგანგებო წესების და კომენდანტის საათის შემოღების წინააღმდეგ იყვნენ, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობა წესრიგის დამყარებას მოითხოვდა?! რატომ არ დაამყარა მაშინ წესრიგი თვითონ საქართველოს შსს მინისტრთან გორგოძესთან ერთად? და რატომ იყო, რომ როდესაც 8-ში დილით როდინოვმა ინიციატივა გამოიჩინა, პატიაშვილმა არ მისცა მას თავისი მრისხანე რიტორიკული შეკითხვა.

ამ ისტორია უკანასკნელი წერტილი დაუსვა გენერალმა კორექტორმა, რომელმაც პასუხისმგებლობა აღნიშნული აქციისათვის თვითონ იკისრა:

„იმისათვის, რომ ხალხისთვის რაღაც გეზი მიგვეცა, იმისათვის, რომ იქნებ, გვეჩვენებინა, რას გამოვიყენებდით, რომ მოედნის განმედიში სამხედროები მიიღებდნენ მონაწილეობას, მე და ჯარების სარდლებმა შევთავაზეთ, მოგვეყო ტექნიკის სადემონსტრაციო მოძრაობა. ამ მიზნით გამოვიყო სამი ასეული. ეს ასეულები შსს სახელმწიფო ავტორისპექციის თანხლებით ქალაქ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში დადიოდნენ.“

მას შემდეგ, რაც ამ ქვეგანაცოფების სადემონსტრაციო მოქმედება განხორციელდა, ვითარება, პირდაპირ ვიტყვი, გამწვავდა იმ თვალსაზრისით, რომ მოპირისპირე ელემენტებმა ბარიკადებით გადახერგეს რუსთაველის პროსპექტი და მასზე გამავალი ქუჩები – ჩაყენეს ავტობუსები, თვითმცვლელები, დაწუტეს საბურავები, გამოყარეს მძღოლები და სცემეს მათ, ერთი სიტყვით, აღმართეს ბარიკადები, რათა მათთან ვერ მივსულიყავით“.

მე სულ მუდამ ვფიქრობ, როგორ შეეძლოთ ხელისუფლებებს, მოემოქმედათ ესოდენ პროვოკაციული აქცია ჯავშანტექნიკის მონაწილეობით. მართლაც,

სულ არ უნდა იცნობდე ქართველ ხალხს, მის თავმოყვარეობას, სიამაყეს, რომ შეეცადო ასე უნიჭოდ „მოახდინო ვითარების სტაბილიზება“. არადა, კორექტორი თბილისში ჩავიდა სწორედ, როგორც საქართველოს მცოდნე. ეტყობა, მართალია, როცა ღმერთი კაცის დასჯას განიზრახავს, პირველად ჭკუას ართმევს. ძალის მუქარის პასუხად დედაბრებიც კი დაიძრნენ მოედნისაკენ: აბა რა იქნებოდა, მოშიშმილეთა შორის ძირითადად მათი შვილები და შვილიშვილები იყვნენ.

შვეულმფრენების გრიალი და ტანკების გრუხუნი ქართველებისათვის გაისმა განგამის ზარად და ახლა უკვე თითქმის აღარავის სურდა, განზე დარჩენილიყო. ეს დაძაბული დღე მთავრობის სახლის მობინადრეებისათვის თავდაცვის საბჭოს სხდომით დამთავრდა.

თავდაცვის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: ამხ. ამხ. პატიაშვილი, ჩერქეზია, ნიკოლსკი, გუმბარიძე, ჩხეიძე, როდინოვი, გორგოძე, კორექტორი, ნოვიკოვი.

იყო თუ არა ამ სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. გორგოძე, მას არ ახსოვს.

თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოენყოთ მოედნის წმენდა 9 აპრილს 4.00-ზე, როდესაც იქ მინიმალური რაოდენობის ხალხი დარჩებოდა. ოპერაციის განხორციელების დრო პირველად განისაზღვრა ამხ. როდინოვის წინადადებით.

პატიაშვილმა დაახასიათა სიტუაცია. განიხილეს ლიდერთა დაპატიმრების საკითხი. რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ თქვა, რომ ოთხი ძირითადი ლიდერის დაკავების საფუძველი აქვთ. როდინოვსა და გორგოძეს დაევაღათ, მოეზადებინათ მოედნის განთავისუფლების გეგმა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა 1989 წლის დეკემბერში შეიკრიბა. ჯერ არ გაუქმებულიყო კონსტიტუციის მე-6 მუხლი სკკპ ავანგარდული როლის შესახებ. ჯერ არ გასულიყვნენ კავშირიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ეგორ ლიგაჩოვიც მეორე კაცი იყო ქვეყანაში ნომენკლატურული მდგომარეობის მიხედვით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ არაფერი მოასწავებდა სისტემის მოახლოებულ კრახს, სისტემისა, რომელიც მონღოლეთში გაჩენილი ზარების მიუხედავად, ურყევად გამოიყურებოდა.

ყრილობამ სწრაფად და უდავიდარაბოდ მიიღო დადგენილება თბილისის კომისიის მოხსენების გამო. მასში ყურადღება ეთმობოდა „სერიოზულ ხარვეზებსა და შეცდომებს, რომლებიც დაშვებულ იქნა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნის უსანქციო მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის დროს, აგრეთვე, შინაური კონფლიქტების გადასაწყვეტად შეიარაღებული ძალების გამოყენების წესისა და პრაქტიკის ზუსტი საკანონმდებლო რეგლამენტაციის არსებობას“. ყრილობამ დაგმო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში გამართული დემონსტრაციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება და დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, გაეგზავნა ჩვენი კომისიის წინადადებანი შესაბამისი ორგანოების განსახილველად. ყრილობამ, აგრეთვე, ხმა მისცა ტელევიზიის პირველი პროგრამით უშკომის ოპერატორთა მიერ გადაღებული თბილისის ამბების ასახველი ფილმ-ქრონიკის ჩვენებას.

სამწუხაროდ, ყრილობის ამ გადაწყვეტილებათაგან არც ერთი არ შესრულდა. საგულისხმოა თბილისის საქმის გამოძიების ბედიც – იგი არაფრით დამთავრდა. პროკურატურამ, საბოლოო ანგარიშით, ვერ შეძლო, აღმოეჩინა და პასუხისმგებლობა მიეცა, ვერც ერთი შეიარაღებული „ბოევიკი“ თუ ექსტრემისტი, რომლებზეც ლაპარაკობდა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში სამხედრო პროკურორი, მაგრამ ამავე დროს პასუხისმგებლობას დაუძვრნენ, აგრეთვე, ის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, გენერლები და ოფიცრები, რომლებსაც ბრალი მიუძღვოდათ უმწეო ადამიანთა დახოცვაში და რომლებიც სათითაოდ არიან დასახელებულნი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში. როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს იყო ყოველთვის მიღებული – თავსაც და ბოლოსაც წყალში გადაუახვებს.

გაგრძელება გვ. 8

მედიაკავშირი „ოზიქტივი“ და ე.წ. „პატრიოტთა ალიანსი“

დასაწყისი გვ. 5 ცილისწამების მიხედვით, გამსახურდამ ხომ თბილისის ზოოპარკიდან გამოყვანილი ფარშავანგები თან წაიყოლა დევნილობის ნარ-ეკლიან გზაზე? უმადური კაციც ბრძანებულხარ. ბატ. ბონდო, ორ დიდებულ ქალბატონს



ახსენებ, შვიდი შვილის აღმზრდელ დედასა დოდო მაქაცარიასა და ქეთევან აბდალაძეს, სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დამაშვრალთ. დაინტერესებულხარ კი, თუ რა გადაიტანეს ამ ქალბატონების ოჯახებმა, მას შემდეგ, როცა შენმა შევარდნაძემ ბალტინის ჯარები შეუსია დასავლეთ საქართველოს? გიკითხავს კი ოდესმე ქეთი აბდალაძის ნაწამები ვაჟის შესახებ? არც ჰკითხავდი, შენ ხომ მის ოჯახში სტუმრად უფალს არ მოუვლენიხარ, არამედ ბელზებულმა შევარდნაძემ გაგზავნა მსტოვრად და ჯაშუშად საქართველოს უკანასკნელ ბასტიონში! ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“ ინგლისურ ენაზე გამოეცით, მსოფლიოს მხოლოდ ამ კუთხით დაანახეთ და არა ისე, როგორც დევნილი პრეზიდენტი-ო - ცალკეად გემოდღვრავ. რა ჭკუისკოლოფი ხარ?! ბატ. ბონდო, მაგ წიგნისთვის იყო, რომ გვარბევდა და გვანოკებდა ამომგდები და მახობარი შენი ბატონი, ეს წიგნი „პროვინციული ფაშის“ დოქტრინად შერაცხეს. გირჩევთ, როცა ვინმე სამართლიან შენიშვნას მოგცემთ. ნუ „უცილობლობთ, ვითა ჯორი“. ამაოთა თვის მართლება. ჩვენ ყველაფერი გვახსოვს: ოპერის ბალსა თუ ტელევიზიის კიბებზე კოტრიალი, ავტომატების კაკანი, პირიდან გესლის ნთხევა... როდესაც ოპოზიციონერი ჟურნალისტი ინაშვილი აქციებდა და გამოსვლებს აწყობდა, მისი ძმა სასჯელს გლდანის ციხეში იხდიდა, როგორც ამბობენ ნარკოტიკების მოხმარების გამო. ციხის ზედამხედველები ვინმე ქილერა, იგივე მუხაძე და ძმანი მისი, ხელისგულზე ატარებდნენ, ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საპროცესოც გაუჩაღიჩეს და ერთ ნელში გამოუშვესო. ეს იმ დროს, როდესაც ტყიდან კენკრის გამოტანის გამო სასჯელმიხდელ ხალხს ხორცის მანქანებში

ატარებდნენ. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ჩვენი ცოდვა-მადლის შესახებ, მათ უნდა დაგვარქვან ნამდვილი სახელი და მოგვიჩინონ კუთვნილი ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში - თქვენ კვისლინგებსა და ჩვენ - უსახელო უფლისციხელებს!

მინაწერი
მოკლედ, რომ იტყვიან, ძაან უხერხული სახელი დავიგდე, ყოველი მხრიდან მსაყვედურობენ - რავა არავინ და არაფერი მოსწონს ამ კაცს-ო. სხვას ვინ დაეძებს, ამ ცხოვრების გადამიკიდეს ჩემი თავიც რომ არ მომწონს, ესაა საქმე? მომწონს, ბატონებო, მომწონს! მომწონს ისეთი ხალხი, ვინც არასოდეს მოდებია ლობე-ყორეს, წინდასავით არ უცვლია შეხედულებები, პოზიცია. მომწონს და ვეთაყვანები მას, ვინაც ყველაფერი გაიღო და არაფერი დაიტოვა სათავისოდ. ვინაც უკან მისაბრუნებელი ყველა გზა მოიჭრა, რამეთუ სხვაგვარად არ ძალუდა! „დროში რომ ჩარჩა“, ის ხალხი მომწონს და მიჩვენებია ათას მდროვესა და სალახანას! არ მომწონს ისეთი ხალხი, ვისაც გუშინ ნატო უნდოდა და დღეს ნატომას ეკურკურება. არ მომწონს ისეთი ხალხი, ვინც სამშობლოს ერთგულებს კერპთაყვანისმცემლებს ეძახდა და დღეს მამულიშვილობის მტკიცებით გულ-მუცელს იღადრავენ. ისევე გვატყუებენ და მიტომ! არ მომწონს ის ხალხი, ვინც გუშინ შევარდნაძის კანცელარიის მღრნელი იყო და დღეს კაცობის ქუდის დახურვას ლამობს. მაინც არაკაცად დარჩება და მიტომ! უბედურება ისაა, რომ პირველები ცოტანი არიან, სანთლითსაძებრები. მეორენი კი „ნავალომ!“, მათი კონის ფასი კაპიკია და ვისაც გინდათ მოიწონეთ, თქვენთვის მომიგდია!

ალექსანდრე სანლუხაძე

პოლიტიკური პარტიების პასუხისმგებლობის შესახებ



2015 წლის საქართველოს პოლიტიკურ ველზე პოლიტიკური დასახელებების სხვა სიაა წარმოდგენილი ვიდრე გასული წლების წინ, მაგრამ იმ პერიოდში მოქმედი ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე პოლიტიკური პარტიების წევრები მრავლად არიან წარმოდგენილი ვაბატონებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ისინი შეიძლება ვნახოთ სახელისუფლებო და მისი ოპოზიციის რიგებში, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობების ორგანოებში. ეს პოლიტიკანები და ექსპერტობაზე პრეტენზიის მქონე მკითხავეები საგულდაგულოდ მალავენ, თუ რა როლი აქვთ შესრულებული

ანტიკონსტიტუციური გადატრიალებისა და ტირან ე. შევარდნაძის ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი რეჟიმის დროს. კონსტიტუციური კანონიერების დასამხობად ცილისწამება მათი ერთ-ერთი იარაღი იყო. ამას ადასტურებს თუნდაც გაზეთ „წყალტუბოში“ 1991 წლის 14 ნოემბერს (№133(4079)) გამოქვეყნებული დეზინფორმაცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - IV დასი; ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, თავისუფალი წევრები, წყალტუბოს დემოკრატიული ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭო 6 ნოემბრის დეკლარაციით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობილებას, თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული წესით არჩეულ კონსტიტუციურ ხელისუფლებას უწოდებს „ნეოავანგარდისტულ, ულტრამემარცხენე, ფსევდოქრისტიანულ, ქარიზმატულ (ბელადურ), ანტიეროვნული მოძრაობის „მრგვალი მაგიდის“ მიერ დამყარებულ ავტორიტარულ - ტოტალიტარულ რეჟიმს“. ეს ცილისწამება ამ პოლიტიკური პარტიების მხრიდან მართლაც ემსახურებოდა ანტიეროვნული ავტორიტარულ-

ტოტალიტარული ტირან ე. შევარდნაძის რეჟიმის დამყარებას. ამ პოლიტიკურმა პარტიებმა, ტირან ე. შევარდნაძის რეჟიმის მიერ წარმოებულ ექსპლუატაციისა და რეპრესიების პოლიტიკის გატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ამ პოლიტიკური პარტიებიდან გამოსული პირები დღესაც ცდილობენ იპოლიტიკოსონ. არ შეიძლება ამ პარტიების და მათი ყოფილი თუ მოქმედი წევრების პოლიტიკანობის თავისუფლება. მათ უღალატეს სამშობლოს და უმტრეს ხალხს. მათ პოლიტიკანობას არავითარი გასაქანი არ უნდა მიეცეს, თუნდაც სხვა დასახელებს პოლიტიკურ პარტიებსა თუ საექსპერტო საზოგადოებაში. მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა კანონის ძალით უნდა იწინიონ.

„შრომის კოდექსი“, ისავე თუ არა იგი საქართველოს შრომელებს?!

2006 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დავალებით პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა მოამზადა და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ მიიღო „შრომის კოდექსი“, რომელმაც ქვეყანაში გააუქმა შრომის უსაფრთხოებაზე სამართლებრივი და ტექნიკური კონტროლის ინსპექცია. სამუშაო ადგილებზე მშრომელთა გარდაცვალებისა და დაშავების ეს სია სახელმწიფოს არ შეუდგენია, ეს ციფრები მშრომელებმა, ვინც არიან პროფკავშირის წევრები მათ მოიპოვეს, მაგრამ პროფკავშირში დღეს დასაქმებულთა უმცირესობა არის გაერთიანებული და დაშავებულ-გარდაცვლილთა რეალური რაოდენობა, სამწუხაროდ მეტია. დღეს მშრომელებს მონიტორინგი კი არ ესაჭიროება, არამედ მათთვის სრულფასოვანი ინსპექცია აუცილებელი, რათა დაცული იქნეს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა სამუშაო ადგილებზე.

სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილ და დაშავებულ მშრომელთა რიცხობრივი სია:
2007 წელი გარდაიცვალა 33 დაშავდა 25
2008 წელი გარდაიცვალა 38 დაშავდა 34
2009 წელი გარდაიცვალა 41 დაშავდა 56
2010 წელი გარდაიცვალა 81 დაშავდა 168
2011 წელი გარდაიცვალა 21 დაშავდა 53
2012 წელი გარდაიცვალა 29 დაშავდა 118
2013 წელი გარდაიცვალა 30 დაშავდა 42
2014 წელი გარდაიცვალა 41 დაშავდა 66

ლაშით პრაბიძე

თბილისის ქაეფხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

დასაწყისი გვ. 6

არ შემოძლია, მთლიანად არ მოვიტანო ბარათის ის ამონარიდი, რომელიც შეიცავს ამ საქმის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

იქნეს მიღებული, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედი მე-8 მუხლის გამო, რომელიც ამკვიდრებს სკკპ პრიორიტეტულ როლს საზოგადოებაში, პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებანი დირექტიულ ხასიათს ატარებდა. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო

მსხვერპლთა ბრაღი, იმიტომ, რომ „ლბერალურად, რადიკალურად და ექსტრემისტულად განწყობილი ოპოზიციური ძალები სახელმწიფო ორგანოებისადმი აშკარა დაპირისპირების გზას დაადგენენ“.

თბილისის საქმეში ჭეშმარიტების დამახინჯების, საპარლამენტო კომისიის დასკვნების მიჩუმების ან გამტყუნების ცდებს ზედიზედ მიმართავდნენ ყრილობის დამთავრების შემდეგაც. დავინყოთ იმით, რომ ჩვენი კომისიის დასკვნა ოფიციალურად, თავიდან ბოლომდე მინც არ გამოქვეყნებულა, ამ საკითხისადმი მიძღვნილი ყრილობის სხდომის ტრანსლაცია ტელევიზიით არ წარმოებდა. „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ცნობა კომისიის დასკვნებისა და ყრილობის დადგენილების შესახებ, მაგრამ ამ არასრულმა პუბლიკაციამაც კი მნიშვნელოვანი ძალისხმევა მოითხოვა. საჭირო გახდა მოთათბირება გორბაჩოვთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანთან იდეოლოგიის დარგში ვ. მედევედევთან, და მხოლოდ ი. ლაპტევის მტკიცე პოზიცია, რომელიც იმ დროს გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო, დაგვეხმარა, გამოგვექვეყნებინა მასალა.

შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმზე დაუვინყარი ეგორ კუზმაძე ლიგაროვი თბილისის მოვლენათა შეფასებას დაუბრუნდა. ეს მით უფრო უცნაურად გამოიყურებოდა, რომ აძლევდა რა ასხნა-განმარტებას საპარლამენტო კომისიას, ლიგაროვი ამტკიცებდა, 1989 წლის 7 აპრილის სამუშაო თათბირის გარდა, პოლიტბიუროს თბილისის საკითხზე არავითარი სხდომა არ ჰქონიაო და უეცრად პლენუმზე იგი აკეთებს აშკარად საპირისპირო განცხადებას: თურმე ყოფილა სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ლონდონიდან ჩამოფრენილი გორბაჩოვიც, რიჟკოვიც, შევარდნაძეც და იაკოვლევიც...

სხვათა შორის, რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა 1905 წლის იანვარში გაცლილებით უფრო ერთსულოვნად და მტკიცედ დაგმო სისხლიანი კვირის ამბები, ვიდრე ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა (თუ პრესის პუბლიკაციებით, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლებით ვიმსჯელებთ) მოახდინა რეაგირება 1989 წლის აპრილში თბილისის ამბებზე...



კომიტეტის ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მართლზომიერების დასაბუთებას: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ასეთ გადაწყვეტილებათა მიღების უფლება ეკუთვნის სახელმწიფო, და არა პარტიულ ორგანოებს. ამასთანავე, მხედველობაში უნდა

ორგანოებისათვის საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების დავალების მიცემა დასაბუთებული იყო“.

ხოლო სტალინისტური ყაიდის საპროკურორო ლოგიკის მიხედვით, თურმე, ყველაფერი ყოფილა თვით

ჩემო კარგო სამშობლო...



ნავიკითხე, რომ ხელისუფლება ჰყიდის ქართველი ხალხის კუთვნილ, სხვადასხვა შენობას, რომელთა შორის ერთ-ერთია საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა...

ვინაიდან ბანკები დახურული დაწესებულებებია, ადამიანთა ძალიან მცირე ნაწილია ჩახედული მათ თავისებურებებში... მე ცხოვრებამ ბედად მარგუნა და ამაყი ვარ, რომ ვმუშაობდი სახელმწიფო ბანკში ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა დავამტკიცო, მიგნიდან ვიცნობ ამ შენობას და თქვენც გაგაცნობთ მის უნიკალურობას...

შენობის მთავარი ნაწილი ამეწებულა ორი საუკუნის წინ, აქ უმუშავია ილია ჭავჭავაძეს, აქვე დგას მისი სამუშაო მაგიდა (ამჟამად მუზეუმში...),

შენობას აქვს უნიკალური საცავი, რომლის ანალოგი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მხოლოდ ლატვიაშია (რიგაში), ჩვენთან ინახებოდა საბჭოთა კავშირის ქონების უდიდესი ნაწილი (ამ საცავის მაღალი სანდოობის გამო), მათ შორის რუსეთის მეფის, ნიკოლოზის დროს გამოშვებული ბაჯალლო ოქროს მონეტები, რომელსაც კუბური მეტრებით ვითვლიდით (დაფასობას თავისი წესები ჰქონდა), საცავს, ატომური ბომბი თუ არ გამოიყენეს, ვერაფერი ააფეთქებს, მისი შიდა ნაწილი დამზადებულია იტალიაში და აწყობილი-გერმანიაში, მსოფლიოს ქურდები რომ მოგროვდეს და სამივე გასაღები მისცენ, კარებს ვერ გააღებენ, მას ისეთი საიდუმლო აქვს (მე ოთხი წელი მეზარა ერთი გასაღები)! გარდა ამისა, მთავარ დარბაზში ჰკიდია (ეკიდა) ერთ ტონამდე წონის, ამერიკის ნაჩუქარი, 200 წლზე მეტი ხნოვნების ბროლის ჭალი, მთავარი შენობა გადახურულია ერთიანი სახურავით, რომლის შეკეთება (რაც ალბათ არასოდეს დასჭირვებია, მე მისი შეკეთების საჭიროება არ მინახავს), ან ჩამოღება (!?) შესაძლებელია მხოლოდ შვეულმფრენზე გამობრძოლით, რომ ერთიანად ასწიონ... ეს შენობა მდებარეობს ლეონოძის 3 ნომერში (ყოფილი კიროვის ქუჩა №3/5). მთავარი შენობის უკანა მხარე, რომელიც ეზოშია განფენილი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, მიშენებულია საბჭოთა კავშირის დროს და ის უნიკალურობით არ გამოირჩევა...



ასეთია ეროვნული ბანკის შენობის მოკლე დახასიათება... მე ძალიან მიკვირს, ვინ უნდა იყიდოს და გამოიყენოს ასეთი შენობა? ან იცინა მისი შიდა მონყობის თავისებურებები? უცხოელები თავიანთ საგანძურს, ალბათ, აქ არ ჩამოიტანენ შესანახად, ადგილობრივი თუ შეიძენს და ბანკი არ იქნება, ვერც გამოიყენებს, დანგრევა შენობის ფასზე მეტი დაუჯდება...

არ ვიცი, მისი გაყიდვისა და შემოსული თანხის გახარჯვის შემდეგ, რა დაგვრევა უფრო ღირებულია, ან თუნდაც მისი ტოლფარდი?!

მე გული მიკვდება...

ჩემო კარგო სამშობლო, შენ?!

თბილ. ლაპირბანი

ქვეყნის ავითარებით ხელბურული და ცივილური სამყაროს ნაწილი ვერ გავხდებით

(ბრძოლა საყდრისისთვის!)



წერილი მინდა დავიწყო იმ ანბანური შეგონებით, რომ ქვეყნის ავითარებით კულტურული და ცივილური სამყაროს ნაწილი ვერ გავხდებით! ბოლშევიკებიც ანგრევდნენ ქვეყნებს და შლიდნენ წარსულის კვალს, მაგრამ ისტორიასთან ჭიდილში დამარცხდნენ.

საყდრისმა გამოავლინა, რომ საქართველოში სულიერი ღირებულებებისა და ფასეულობის მიმართ მატერიალისტური დამოკიდებულებაა, სახელმწიფოს სტრუქტურებში კი სახელმწიფოებრივი აზროვნების კრიზისია.

ვინ ანგრევს და რატომ ანგრევს? დავძაბოთ მეხსიერება და გავიხსენოთ, როგორ ქილიკობდნენ ეროვნული ხელისუფლების მონინალმდეგები, საქართველოს რა გააჩნია, რომ დამოუკიდებლად იარსებოსო? თუმცა, ეს გაიძვერები, მას შემდეგ, რაც კანონიერი ხელისუფლება დაამხეს და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღეს, საქართველოს ქონების გადანაწილებასაც შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ საქართველოს მინერალური წყლით, მიწისქვეშა წიაღისეულით, ხე-ტყით და სხვა ბუნებრივი სიმდიდრით ერთეული ადამიანები ქვეყნისა და მთელი მოსახლეობის გაღატაკების ხარჯზე გამდიდრდნენ; ყველაზე გულუბრყვილო ადამიანიც კი არ დაიჯერებს, რომ ეს სახელმწიფოს კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან გარიგებების გარეშე მოხდებოდა.

აბა, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ოქროსა და სპილენძის მოპოვებაზე ლიცენზია უსასყიდლოდ ჯერ 9 თვით, შემდეგ კი 5 წლით გაუგრძელა ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია RMG Gold-ს. მიუხედავად საზოგადოების არასამთავრობო სექტორის თუ ოპოზიციური პარტიების პროტესტისა, მსოფლიოს უძველესი ოქროს მალაროს წერეთის პროცესი ხელისუფლებამ შესაბამისი ბრძანებულებებითაც განამტკიცა.

ეს კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს 90-მდე საბადოზე მუშაობის ლიცენზიას და აქედან 40-მდე ოქროს საბადო. ბოლნისის რაიონში 300 ჰა-ზე აქვს მუშაობის უფლება, ხოლო საყდრისის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის ბორცვის ფართობი დაახლოებით 1 ჰა-ს შეადგენს. 2013 წლის 26 აპრილს RMG Gold-ის ხელმძღვანელობა პრემიერ-ივანიშვილს სთხოვს დახმარებას საყდრისის ბორცვის ათვისებაში და პირობას დებს რომ 7-8 წლის განმავლობაში 100 მილიონი დოლარის შემოსავალს ჩარიცხავს ბიუჯეტში და ადგილობრივ მოსახლეობასაც დაასაქმებს 1000 ლარიანი ხელფასებით. აქ საინტერესოა ერთი ფაქტი: 2012 წელს, მაშინ, როცა RMG Gold-კომპანიამ ეს ლიცენზია კვარციტისგან (კობა ნაყოფია) შეიძინა, საყდრისს ჯერ კიდევ ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და ამიტომ მისი ბიზნეს-გათვლები ამ ბორცზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მას არც კი უნდა სცოდნოდა, თუ წიაღისეულის რა მარაგებია ამ ბორცზე, რადგან ოფიციალურად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გეოლოგიური მარაგების დათვლა მოხდა 2010 წელს ამ ტერიტორიის გარეშე, რამეთუ იმ დროისთვისაც საყდრისის ბორცს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, კანონი იცავდა ასეთი ტიპის ჩარევებისაგან. ეს დასტურდება ასევე 2014 წლის 9 დეკემბერს გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული

საპასუხო წერილით - „ჩვენს ხელთ არსებული ბოლო მონაცემებით, ჯერ-ჯერობით, საყდრისის საბადო არ არის მთლიანად შემოკონტურებული არც ფლანგებზე და არც სიღრმეში. საბადოზე მიდის დეტალური საძიებო სამუშაოები.“ 12 დეკემბერს კი კომპანია RMG Gold-მა, კულტურის სამინისტრომ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უკანონოდ რამდენიმე სამართლებრივი აქტი განახორციელეს, რათა, 2014 წლის 13 დეკემბრის დილას საყდრისზე აფეთქებებით ნგრევითი სამუშაოები დაეწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სამინისტრომ უარყო აფეთქებაზე ნებართვის გაცემის ფაქტი, პროკურატურისათვის აღნიშნულ დარღვევაზე მას არ მიუშარათავს. სამაგიეროდ, სასამართლოსა და პროკურატურას საყდრისის გულშემატკივრებმა მიმართეს რამდენიმე სარჩელით 12 დეკემბრის უკანონო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მაგრამ დღემდე პროცესების ჩანიშვნას სასამართლო საეჭვოდ აჭიანურებს.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირის და ლარის კურსის დაცემის ფონზე, გასაკვირია, რატომ გაუგრძელდა უსასყიდლოდ ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია RMG Gold სპილენძისა და ოქროს მოპოვების ლიცენზია; არემგის საქართველოდან გააქვს: 1-კვარციტებიდან ამოღებული ოქროს დორე შენადნობი; 2-სპილენძის კონცენტრატი. სახელმწიფო კი დღესდღეობით არსებული კანონმდებლობით ვერ აკონტროლებს მათ პროცენტულ შემადგენლობას. ის „ენდობა“ კომპანიის მიერ წარმოდგენილ ლაბორატორიული ანალიზების პასუხებს. ასეთი უკონტროლობით საქართველოდან აღურიცხავად გაედინება ოქროსა და სპილენძის გარდა კიდევ 9 სახეობის ძვირფასი ლითონი, რომელთა მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანია.

ყოველწლიურად აღურიცხავად, ჩვენს მიერ დაუზუსტებელი ინფორმაციით, 20 ტ. მხოლოდ სელენი გაედინება, რომლის გამოც საქართველოსთვის 30 მილიონ ლარზე მეტი იკარგება.


ახლა კი ეკოლოგიური კუთხით შევხედოთ საყდრისის პრობლემას. კომპანია ოქროს მოპოვებს ღია კარიერული წესით და ნატრიუმის

გარემოში ცხოვრების უფლება. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები) შეიმუშავეს ციანიდთან მოპყრობის ეროვნული მარეგულირებელი აქტები. საქართველოში კი კონსტიტუციის 37-ე მუხლი იცავს ჩვენი მოქალაქეების უფლებას, იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში, მაგრამ კონსტიტუციის დაცვის მოთხოვნით არც მოქალაქეები აქტიურობენ და ხელისუფლებასაც თვალი აქვს დახუჭული ამ და სხვა უამრავ დარღვევაზე საყდრისთან თუ საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებაში.

გარემოს ეკო-გეოქიმიური მდგომარეობა უარყოფითადაა შეფასებული მთელი რიგი კვლევების შედეგად, რაც ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა ამ რეგიონში სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ლაბორატორიების მიერ. ქართველი და გერმანელი სპეციალისტების მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სპილენძის, თუთიის, კადმიუმისა და სულფატების ჯამური შემცველობები მდ. კაზრეთულაში, ფოლადაურსა და მაშავერაში ბევრად აღემატება ზედაპირული წყლებისათვის დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. ეს მდინარეები კი რეგიონის სასოფლო-საგარეულების სარწყავი სისტემის ძირითად წყაროს წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო საგარეულების მძიმე ლითონებით საგანგაშოდ დაბინძურებულია, აგრეთვე, — კულტურული მცენარეებიც.

ჯერ კიდევ 2000 წელს დადგინდა დაბა კაზრეთის მოსახლეობის ავადობის ძალზე მაღალი მაჩვენებელი, ხოლო ბოლნისის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვადასხვა წლებში ჩატარებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეფასებულია როგორც „არაკეთილსაიმედო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რეგიონში მოწეული მოსაგალი საქართველოს ყველა საკომეურნეო ბაზარზე იყიდება, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობაა საფრთხის ქვეშ! საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით კი ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებების 7000 ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის მიხედვით ავთვისებიანი სიმსივნეიანი ავადმყოფების



ციანიდს ასხურებს ღია გამოსატუტ მოედნებზე. ამ მეთოდის მანებლობაზე დაწერილებით წერია „ასოციაცია მწვანე ალტერნატივას“ მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში „ოქროს მოპოვების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის“. ციანიდება პირველად თურქეთის ქალაქ ბერგაბაში სასამართლოს გადაწყვეტილებით აიკრძალა 1997 წელს. მოსამართლემ დაადგინა, რომ ოქროს მოპოვებელი კომპანიის საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა თურქეთის კონსტიტუციას, სადაც წერია, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს ჯანსაღ

მკურნალობაზე სახელმწიფო 15000 ლარის დახარჯვას იღებს თავის თავზე ყოველწლიურად. ე.ი. 7000 ავადმყოფს სახელმწიფომ 105 მლნ ლარი უნდა დაახარჯოს. სახელმწიფო არ ავალდებულებს წარმოებას, რომ მისი მუშაობის შედეგად ეკოლოგიაზე მიყენებული ზარალი ანაზღაუროს. საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციების კვლევების მიხედვით მხოლოდ 90-იანი წლების შემდეგ ისტორიული ნარჩენების რეკულტივაცია საქართველოს

გაგრძელება გვ. 12

ლიტერატურული ბმები

ბაღდან ბილიკი

ნოველა

მინა თაგაზაშვილი

მინა ელოდა. ელოდა ხან გაზაფხულს, ხან შემოდგომას. ზამთარს ძლივძლივობით გადაიტანდა ხოლმე, თავისით, გაჭირვებით. თებერვალშიც ელოდა ხოლმე, მომსვლელი კი არ ჩანდა. მომსვლელი რას მიქვია?! პატრონი, მოჭირისუფლე, დამბარავ-დამმუშავებელი არ ჩანდა, არა... მინა კი ელოდა, რომ მის ნაპატივებ, მოვლილ გულს ისევ მოიკითხავდა თავისი განმგებ, მოუვლიდა, დაბარავდა, გაახარებდა... პატრონი ქალაქში ცხოვრობდა, ბალი კი იქვე ახლოს იყო, ქალაქგარეთ. ელოდა და ელოდა თავის პატრონს ბალი; თავის სიხარულს ელოდა ბალი. ასხენდებოდა: ადრე სულ სხვაგვარად იყო ყველაფერი, თავის კარ-მიდამოზე, თავის მკერდზე. ხეების ძირში, ამობარულეებში, ბლუჯა-ბლუჯად მიეთეს-მოეთესათ მწვანელი: ოხრახუში, ქინძი, კამა. მათ შორის კი, ზოგან, გაზაფხულზე იები ამოკრთოდა ხოლმე; განა სადმე, სხვაგან, მარტო ღობისძირებში?! არა, აი, აქ, ხეების ირგვლივ შემობარულეშიც: ვაშლის ხის ძირში, ირგვლივ მრგვლად შემობარულეში, ბლუჯებზე ია ამოსულიყო, ალაგ-ალაგ ოხრახუში ერეოდა. აგერ, მსხლის ძირშიც იყო ია და მწვანელი ამობლუჯული, იქით - შინდისა და ნუშის ძირებშიც... ყველგან, თითქმის ყველა ხესთან... დანარჩენი მინა კი, დაბარული, დასუფთავებული, წკრიალებდა, ზედმეტი ბალახის ღერიც კი არ ჩანდა არსად. წერილად ბილიკები იყო გაყვანილი, რომ ფეხი უდიერად არ მოხვედროდა მინის გულს სადმე. მზე რომ დააცხუნებდა, ხეების ბობლილა ჩრდილები დადიოდნენ და დასეირნობდნენ მინის დაწკრიალებულ გულისპირზე. გაზაფხულიდან შემოდგომამდე, გვიან შემოდგომამდე, გიორგობამდე, ხილი ხილს ენაცვლებოდა, ახალ-ახალი, და მღერასა და სიხარულს გადასცემდა ირგვლივ არემარეს. ჯერ კი, ხილობამდე, გაზაფხულზე ამოფეთქებოდა ყვავილებად ეს ნაირ-ნაირი ხეები: ზოგი თეთრ ყვავილს გამოიმღერებდა და მოიმშვენებდა, ზოგი - მკრთალ-პირისფერ-ვარდისფერს, ზოგიც - ყვითელსა. დაინყებოდა ნუშის, ტყემლების, ალუბლების, ატმის ყვავილობა. ნელსურნელებით ივსებოდა ჰაერი. მზის მცხუნვარებისას კი ჩრდილები დასეირნობდნენ დაკრიალებული მინის გულზე, თვითონ ხეთა ფოთლებს ეფარებოდნენ ჩრდილები, ჩეროში მოითქვამდნენ ხოლმე სულს ადამიანის სულის გასახარებლად. რომელ ხეს აღარ ნახავდით აქ?! რომელ ხილს აღარ შეავლებდით მზერას?! ალუჩით იწყებოდა ხილთა კეკლუცი და უხვი დღესასწაულება. გაზაფხულზე, სულ ადრეიან გაზაფხულზე, ჯერ ალუჩა გამოიკვირებოდა და იწყებდა ზრდას, შეთვალვას, შენაყოფებას. იზრდებოდა, ივსებოდა, მწვანიდან სიყვითლემი გადასდიოდა ფერი შემოსულ ალუჩებს. პირველი ხილობა ალუჩობა იყო... შეთქვირული ალუჩები და ხის ძირებში ბლუჯებზე ამოსული იები... ცის ტატნობზე კი ჟამის სიღურჯე და უსაზღვროება იკითხებოდა, იწერებოდა და საყოველთაოდ გადაშლილიყო. ამ უსასრულო ჟამის ფრთეთა ქვეშ, ცისკიდურების ლურჯი უსაზღვროების ქვეშ შეფარებულიყო, შეთვალულიყო ეს უხეხილიანი ბალი, ჩეროდამშვენებული, ფერ-ხილით დარწყულებული.

ალუჩის მწიფობას მოჰყვებოდა ტყემლების კარნახი - ნითელი და მწვანე ტყემლებისა. ნითელი ტყემლები რაღაც სიღინჯითა თუ განცდათა ელვარებით ასეთსავე ნითელ, უფრო სწორად, რეჰანისფერ ფოთლებში მოინეოდნენ ხოლმე, შემწიფდებოდნენ, ფერს მოიხდენდნენ და რაღაც დინჯი დიდებულებით გადმოსცქეროდნენ არემარეს, თითქოსდა ტყემლები კი არა, - ძონეულის დედოფლები ყოფილიყვნენ. ჩეროებში გაყვანილ კვლებში ჯერ თეთრი წვრილი ყვავილები გამოიფეთქებდა, მერე კი იქიდან მარწყვის ნითელგულეები გამოიჭყიტებდნენ ხოლმე: ნაირ-ნაირები, წვრილები, მსხვილები, ვარდისფერ-ნითლად შეფაკულეები. ამათ დაკრეფას დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, - ერთს რომ მოწყვეტდი, სხვა არ უნდა დაზიანებულიყო; ასევე დაუზიანებლად და სიფრთხილით უნდა მოგეთავსებინა ლამაზ კალათაში

და თანდათანობით მოჰყოლოდი ამ კვალს ბოლომდე... იქიდან კი (აქეთა მიმართულებით) მერე კვალს გამოჰყვებოდი და ახლა მერე კვალში მოაგროვებდი ფოთლებიდან გამომზირალ მარწყვებს... ალუჩები, თეთრ-ნითელი ტყემლები, მარწყვი (იის სურნელი მარწყვის სურნელთან შეზავებული) კეკლუცობდნენ, თავმომწონებდნენ და სიცოცხლეს შეჰხაროდნენ... მისში გადაიშლებოდა ხოლმე აქა-იქ, ალაგ-ალაგ მიმოფანტული ვარდი: თეთრი, ნითელი, ვარდისფერი... თავისი დედოფლური მშვენიებით ირგვლივ დასტურს დასცემდა სიცოცხლის სიხარულსა და სილამაზეს... აფრქვევდა სურნელს... ასე შედიოდა მერე სიმწიფეში თანდთან ბალი (თეთრიც და შავიც), ალუბალი ჩვეულებრივი და ნამყენიც), ვაშლიც(კეხურაც, სინაფიც, წვრილი ვაშლიც)... ერთ რამედ ღირდა მერე ამ დაკრეფილი ვაშლის გამლა სახლში და ვაშლის სურნელით ავსებული ოთახები. იმ ვაშლითა და შინაური თაფლით ვაშლის ძმარს დაამზადებდნენ ხოლმე ქალები და გვიხაროდა, რომ ჩვენივე დამზადებული ვაშლის ძმრით დავიწყებდით ხოლმე დილებს უზმოებს. ალუბლებთან ერთად ნითელი მოცხარიც შემოვიდოდა, დაამშვენებდნენ ხოლმე ერთმანეთს ალუბალი და მოცხარი. მიდიოდა დრო-ჟამი წელიწადისა და ვკითხულობდით: ახლა რა არის შემოსული ამ ჩვენს ბაღში, რომელი ხილი? დამწიფდებოდნენ ქლიავეები, ატმები, მსხალი... ჭერები, ჭერმები გააყვითლებდნენ ხოლმე ამ ნითელ-მწვანედ ატკარცალეულ ბაღს: ჭერამიც და გარგარიც; წვრილ-წვრილი, უტკბესი ჭერამიც და მსხვილი, გლუვი, თითქოს ჩამოკვეთილი გარგარი... გულს, გულს უხდებდა ჭერამიო და გულს აგვიფსებდა ხოლმე ჭერმის ალმაცური სიყვითლე, მწვანე ფოთლებში გამომკრთალი და სურნელით სავსე. თანდათანობით ემზადებოდნენ ზაფხულის ბოლოსთვის ლეღვები: თეთრიც და შავიც, აქაც და იქაც... შეითვალებოდა ყურძენიც - ადესაც და რქანითელიც (ცოტა, ცოტა, აქა-იქ ბუჩქად დარგული)... მერე შემოვიდოდა კაკალი, ნუში. თხილიც თავს იწონებდა ნუშის გვერდით და გვახარებდა თავისი კნატაკნუტით. შემოდგომაზე ნითლად აბდგვრილდებოდა ხოლმე ბრონეული - თუ ყვავილით და თუ ნაყოფით... აბა, როგორ არ გავახსენდებოდა მზესავით ელვარე ქალი - მარიაა?! აბა, როგორ არ დაფიქრდებოდი სილამაზეზე?! აბა, როგორ არ იკითხავდი, თუ საიდან მოდის სილამაზე და, ნეტავ, საით მიედინება?! ბრონეულებს მხარს უმშვენებდა კარალოკი, ძლივძლივობით მონეული კომში... ასე გადავიღიდა წელიწადი ჩვენი ბაღის თავზე და ბოლოს, ასკილებს შორის, ეს მკვახე-მკვახე ზღმარტლი არ დამწიფდებოდა ხოლმე?! ზოგი - მწიფე, ზოგი - ჯერაც შემოუსვლელი... დეკრეფდით, მოვარგობდით - მწიფესაც, შემოუსვლესაც. ის შემოუსვლელი სახლში შემოვიდოდა ხოლმე: დაკრეფილი მწიფდებოდა... კარგი მწიფე კი დნებოდა, ლღვებოდა ენაზე... ეს იყო ჩვენი ბაღის ბოლო აკორდი, მწიფე ხილის ბოლო გაჟღერება, რომელიც ყვითლად, ყვითელი ფოთლებით შემოსილ არემარეზე გამოიმზირებოდა... გვესმოდა ასე შემოდგომის მელოდია, შემოდგომის ხმა, ჟღერა შემოდგომისა.. ზღმარტლობისას უკვე გვიანი შემოდგომა იდგა, ნოემბერი, გიორგობას მიწვენილიყო... აქა-იქ ბაღში უკვე გეორგინებიც გამოკრთოდნენ, ვარდების ნაცვლად, სევედისფრად, მკრთალად, ხანაც მკვეთრი ფერებით შეზავებულნი... ასე გადაიმღერებდა ხოლმე ალუჩობიდან ზღმარტლობამდე ეს ჩვენი ბაღი... ორი ძირი მურაკი (ბობიდან ჩამოტანილი) და ორი ძირიც შინდი (დამყნილი, დუშეთისა) თავ-თავის დროზე იტყოდნენ ხოლმე თავისი სიმწიფის სიმღერას. ასეთი იყო ეს ჩვენი ბაღი. უფრო ადრე კი, სულ ადრე, სიმინდის უღვაშები და ტალღები იწონებდნენ აქ

თავს, ლობიო, პამიდორი და ხახვ-ნიორი... და ატმები, ატმები... ბევრი ატამი, ნაირ-ნაირი, სახეჩიც და ისიც... მათ განაპირას ჩადგმული პატარა ქოხი შეიფარებდა ხოლმე დალილ მუშაკს, მწყურვალს ან მშიერს. კაცი რომ მოკვდა, ქალმა სულ ხეხილის ბაღად აქცია იქაურობა: ხეებს უფრო ადვილად უვლიდა, ვიდრე ვენახსა და ბოსტნეულს. გამოუბარავდა ხეებს ძირებში, მორწყავდა დროდადრო და ბალიც ყვავოდა და ფართქალბედა.

— ბრონეულების ბალი მიწოდდა მქონდაო,- იტყოდა ხოლმე ქალი,- საკუთარი სახლი ბელეტაჟზე და ამ სახლის ეზო - ბრონეულების ხეებით სავსე. ეს ნატვრა დარჩა ქალს (რადგანაც ქალაქში ცხოვრობდა,



ჩვეულებრივ სამოთახიან ბინაში). ასე გავიდა დრო. ასე გავიდა წლები: თურმე ქალის სიკვდილის საათიც მოახლოებულიყო. ამ აფეთქებული ბალიდან სიკვდილისაკენ გაიღო გზაწერილი: ერთ დღესაც, ივნისის დასაწყისში, მოცხრობა-ალუბლობისას, გამოიხურა ქალმა ამ ბაღის კარი და სიკვდილის გზას დაადგა, შორ გზაზე წავიდა. გამოვიდა ბალიდან, იარა - იარა, მოვიდა თავის სახლში და მოკვდა იმ დღეს. ბალიდან წასული მოკვდა - ხიდი გაიღო ბაღის სილამაზესა და სიკვდილს შორის, ბაღის ფერადებსა და სიკვდილის შავეთს შორის. ამ დღეს ბალიდან გაკვალული ბილიკი ქალმა სიკვდილის ბილიკს შეუაერთა და შეუერთარსა.

მოიწყინა ბაღმა იმის მერე. ველარ მოუარა იმ ქალის შვილმა, ველარ მოუარგურა, ველარ უნანავა. არა იმიტომ, რომ არ უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ვერ შეძლო. მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია, სხვა მოთხრობა, თუმცა კი ამის გაგრძელებაა, აქედან ალმოცნებელი. მოიწყინა ბაღმა, მოწყინა მინამ, მაგრამ მაინც ელოდა; იმას, შვილს, ქალისა და კაცის დანატოვარს --- თავის პატრონს, თავის ჭირისუფალს; მაინც ელის, გაუხარლობის ბინდებუნდში შემალული; იმიტომ ელის, რომ ეს კავშირი მარად დაურღვეველია - კავშირი შვილობისა; მარადიულია ის გზაც, ფერადი ბალიდან სიკვდილის შავეთში მიმავალი. როგორც იტყოდა ჩვენი რეზო ინანიშვილი, ამ გზაზე - ვერ ვცნობ და მაინც: დედაჩემს სავსე ტომრით დარდი მოაქვს ჩემთანო. ის კი სიხარულად ამოიჭიატებს ხოლმე, რომ ერთხელაც, ალდგომის წინა დღეებში, შვილმა, იმქვეყნად წასული ქალისა და კაცის შვილმა, ენდროს ფესვები იპოვა მოულოდნელად, მინაში შემალულები. რუდუნებით, სიფრთხილით გაასუფთავა, მოაგროვა და ამ ენდროში, ბაღში მოულოდნელად ნაპოვნ ენდროში, შეღება სააღდგომო კვერცხები: ალდგომის სიხარულს შეუთანადა თავისი მინავლული ბაღის სიცოცხლის ფეთქვა. სული და გული სიხარულით აუვსო ენდროს პოვნამ თავის დარდიან ბაღში. ასეთი იყო ფერადი ბალი, საიდანაც სიკვდილის ბილიკს გაუყვა ქალი და ფერადებიდან შავეთში შეაღო დახშული კარები, მაგრამ მეფე-პოეტი არჩილი ერთგანაც გვეუბნება,- გზა გიპოვიათ სამოთხის დახშული კარ-ბაღებისაო. ამ ჩვენი ფერადი ბალიდან შავეთის გავლით სამოთხის კარ-ბაღები გაგვღებოდას ამ ბაღის შვილებს!

ელოდა მინა. ელოდა ბალი. ახლაც მოელის. და დაბრუნებაც იქნება კვალად. შვილის დაბრუნება. ბაღის დარწყულება. აფერადება და გზაზე სიარული.

ლოტიმრატურული ბვირდი

ნანა აბესაძე



ჩემო აპრილო

ჩემო აპრილო, გზაში რამე ხომ არ შეგემთხვა, ანა, სადა ხარ, რად არ მესმის შენი შრიალი? იქნებ ყვავილებს გითელავს გზა,

მავალი ჩემსკენ, ან ზედისწერა სადღარ გტკვებს ოხერ-ჭიალი? მე ხომ უშენოდ, მდინარე ვარ უკალაპოტო, ყველგან რომ არის და არავის

არსად სჭირება. ანდა ჩამქრალი და ჩამწვარი ძველი სანთელი, მისი შუქი რომ არასოდეს არ გაბრწყინდება. სულ გელოდები, იმედის კარს ღიას გიჭოკებ, აჭმის ყვავილებს სხვის ეზოში

ვუხფი დღეობას, თუ ჩემს ქუჩაზე გაზაფხულად არ შემოხვედი მამ რა აზრი აქვს მხოლოდ თვეთა მონარველიობას.

მე

მე, დაკარგული თაობის ნაწილი ვარ... თაობისა, რომელიც ერთი ხელის მოსმით, უმისამართოდ გადაკარგეს... მე, 9 აპრილის ხსოვნა ვარ... მე, 90-იანები გამოვიარე... მე, ზევრჯერ მომატყუეს, არა იმიტომ რომ უმეურარი ვარ, არა... მე, ნათქვამის მტერი ვარ... მე, ზოგჯერ მავინყდებ ვინ ვარ, იმიტომ რომ მე და ჩემნაირები დროს დავავინყდით... მე უკვე აღარ მტერა...

მე უნდა მერქვას

მე უნდა მერქვას ქალი- ორენა არა იმიტომ-ვარ საორენებო. ორენას, ხშირად თავს რომ ვაფარებ, გადასარჩენად და საარსებოდ. მე უნდა მერქვას ქალი- სიზმარი, რადგანარ, ხშირად რასაც იქ ვხედავ, რხადმა არასგზით არ მაღირსა და სინამდვილისთვის არ გაიმეტა. მე უნდა მერქვას ქალი- არყოფნა, თავად ყოფნაში გადაკარგული, რომლის ამქვეყნურ უთავბოლოობას, არც სანყისი აქვს არც, დასასრული.


მე უნდა მერქვას მტვრიანი ნიგნი, რაღარ, რთული და არნაკითხული, რომ გადაშალეს, დაეზარათ და დარჩა ეგრევე, გადაფურცლო...
* * *

ჩემნაირები ვერ იზრდებიან, მუდამ რჩებიან ნანყენ ზაშვებად, თითქოს ვიღარა რომ გაეზუტათ, და აღარავინ ეთამაშებათ. ჩემნაირები ადრე კვდებიან, არა, ამქვეყნად დადიან მაგრამ, დაატარებენ მძიმე გულენს და დროდარო სვამენ რხოვრების ზალოდამს. ჩემნაირები დროსარ არ უყვარს, თითქოს თავისთვის აჩერებს მათში და მედიდურად რომ ითარეშოს, ხელს მუდამ უშლის ნანყენი ზავში.
* * *

ხალხი რას იტყვის?ის თქვან რარ უნდათ. სად არის ხალხი როცა შენ გტკივა, ან თუნდარ მამინ როცა მარტო ხარ, ან რხელ ზაფხულში სასტიკად გრევა? სად იყო ხალხი როცა შენ გაჩნდი და ჩასუნთქვისას იგრძენ ტკივილი. მარტო იყავი სანამ აქ მოსვლის, რთულ და მძიმე გზას გამოივლიდი... და როცა ნასვლის უამი დადგება, მამინარ ვიერი, იქნები მარტო... სიკვდილს პირისპირ შეეფეთები, რარ უნდა ზევრი, ხალხმა იდარდოს. ხალხი რას იტყვის?რარ უნდათ ის თქვან. სინდისთან იყავ მართალი მარტო.

დრო

თუ არ გაუღებ კარებს მათხოვარს, თუ არ განუხებს სხვისი ტკივილი, თუ ჰურს ჭამ მარტო, სხვას არ მიანვდი, თუ ზოღმას მოგგვრის სხვისი ღიმილი, თუ პატებარ არ შევიძლია, თუ აქეთ ელი სხვისგან შენდობას, თუ შენ გგონია რომ მართალი ხარ, თუ თავზე დასრქერ შენ, შენს მეგობარს, მე შენ, გულწრფელად შემებრალეები დრო რომ გაჩვენებს თავის მეფობას. მგონი ამოვნურე ჩემი თავი, რაღარ ურნაურად ავიჩემე. ირგვლივ საათების ნიკნიკია, დროს კი აღარეროთი არ მიჩვენებს. ნლოები გამირბიან შლოეგბივით, თითქოს სივრეში ვარ დაკარგული. აუ ეს რამდენი ყვავილია, ჩემგან სხვის ეზოში გადარგული. ანდა სად არიან სურვილები, მე რომ სიურრხლისკენ მიზიძებდნენ. არა, დავიღალე და არც მინდა უკვე გადაღლილი ვიღვიძებდე. მგონი ამოვნურე ჩემი თავი, რაღარ ურნაურად ავიჩემე. ირგვლივ საათების ნიკნიკია, დროს კი აღარეროთი არ მიჩვენებს.



ირინა კორკულიძე

ნასოფლარი

სოფელია? რის სოფელი უფრო ნასოფლარია, კარის კვალი აღარა ჩანს, ეზორ ნაოხარია. დაკეცილი კარ-ფანტრები, მორღვეული ჭიშკარი, მოღებულა სარეველა, გადამხმარა ხილნარი. სახურავი ავსებულა, ნაირ-ნაირ ზალოხით, ჭურ-მარანი სადღა არის? დაფარულა ტალოხით. სადღა არის ყვავილონარი, აქ ფუტკარი აღარ ფრენს, არც ჩიტების ჭიჭიკია, დამლა ადევს ყველაფერს. ძველი სკოლის ნანგრევებში გაყურსულა ზარები, ვის რად უნდა, ამა მიხხარ, არსად ჩანან ზალოლები. სიჩუმეში რაღარ ისმის, ძროხების ზღავილია? მაგრამ ძროხებს აქ რა უნდა, - ტურების ჩხავილია. გადამხმარი ვენახებერ გართხმულია მინაზე, თითქოს ლორვად ჩურჩულენ: „აღვსდგებითო ტინაზე“. მშველელი კი აღარა ჩანს, შენიზნულა დიდ ქალაქს, თუმცა უჭირს, მაგრამ მაინც, არ ზრუნდებარ ნასახლონარს. თუ რაიმე არ ვილონეთ, არ გვიშველის ჩვენ ვიში, სამხუხაროდ, ნასოფლარზე, დასახლოდებარ სხვა ტიში.



მარიამ

ქეზაძე

უფალო, ყველგან გამონვდილი ხელებია, მე ვის რა ვუშველო? როცა დახმარებარ აქეთ მინდა უშნოს და უშენოს. ძლივს გამეჭებული გროშებიდან ნყალოზას მოველი, ფარისეველად ვიქერი და ფარსია ყოველი. სხვისი ჭირი რომ ღობეს ჩხირი გახდა ხომ იერი? უგულორ გახფი და უდარდელის მანტიარ მოვისხი. მომხედე, უფალო, აღარ ძაღმიძს ტარებარ ამ სულის, ისმინე ვედრებარ უგულო, უშნო და უძლები ასულის.

ნოდარ ფულეისკირი - ჭეშმარიტი მწერლისა და მამულიშვილის სიმბოლო!

დიდი გულისტკივილით მივიღე ცნობა ბატონ ნოდარ წულეისკირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი



პრეზიდენტის ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატი და კულტურის მინისტრი, ეროვნული (მაშინდელი საჯარო) ბიბლიოთეკის დირექტორი ორი ათეული წელზე მეტ ხანს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვში მწერლის სააგარაკო ნაკვეთში ცხოვრობდა და დაუძღვრებამდე, ამ სოფლის მიხედვით ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლას დირექტორობდა. განდევნილობაში მცხოვრები ბატონი ნოდარი 2006 წლის 19 ივნისს, მე და ანგარდაცვილი მამა კონსტანტინე კოლუაშვილმა, ჩემი თხოვნით წერაქვში მოვიწვევეთ.

მამა კონსტანტინე, როგორც მღვდელი და მოძღვარი, დიდ მწერალთან სრულყოფილად მომზადებული წამოვიდა; ისინი, ურთიერთგაცნობის შემდეგ განმარტოვდნენ, ხმადაბლობით, არცთუ ხანმოკლედ ისაუბრეს და მერმედ მამომ, განდევნილობაში მცხოვრები მწერალი, აღსარების ჩაბარების შემდეგ აზიარა. თუ არ ვცდები, საბჭოთა ათეისტურ ეპოქაში მოხილი და გაზრდილი ჩვენი სათაყვანებელი მწერლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ბატონ ნოდარ წულეისკირის, ეს ერთადერთი და პირველი ზიარება იყო...

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ და გვიანობამდე დავრჩით სილატაკეში მცხოვრებ განდევნილ მწერალთან. ეს სამახსოვრო ფოტოები გაზეთ „სვაბოდნაია გრუზიას“ კორესპონდენტმა მამია ალაშვილმა გადაგვიღო, რომელიც მწერალთან სტუმრობისას თან გვახლდა და მამა კონსტანტინეს სულიერი შვილი იყო. მინდა აღვნიშნო, რომ მამა კონსტანტინე და მამია ალაშვილიც ბატონ ნოდარ წულეისკირზე უადრეს გარდაიცვალნენ...

ბატონ ნოდარ წულეისკირის უშუალო მზრუნველობითა და თანადგომით გახდა შესაძლებელი ჩემი მოთხოვნების პირველი და ერთადერთი ნივთის „გადაარჩენით ადამიანის“ გამოცემა „მერანში“ 1990 წელს, რომლის ერთი ვრცელი მოთხრობა „სათავე“, 1986 წელს, საბჭოურმა ცენზურამ („მთავლიტი“) ჟურნალ „მნათობიდან“ ამოიღო და ერთი კვირით შეაჩერა ჟურნალის გამოცემა...

ერთხელ უნივერსიტეტიდან „მარშრუტით“ ვიმგზავრე. ასვლისას დავინახე, მძღოლის გვერდით, ბატონი ნოდარი იჯდა. თბილისში არეულობა (მიტინგები) დაწყებული იყო. ბატონმა ნოდარმა მანქანაში ასული უფრო ადრე შემამჩნია, მისალმება

მოვიხსენებ და თვალი ამარიდა. მის ზურგსუკან მომინია დაჯდომა და პროფილს წრილით შევხედე. იგრძნო. გაფითრებული სახით მომიბრინდა და ხმადაბლა მკითხა: ლეილა, შენც ხომ არ გადაგვიდექი და ოპოზიციაში შენც ხომ არ გვიდგახარო? არა-მეთქი და სიხარულით გაბადრულმა სამგზავრო ფული გადამიხადა. მაშინ კულტურის მინისტრი იყო და ჩემსავით „მარშრუტით“ მგზავრობდა. უნივერსიტეტის დერეფნებში ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა. მან გამაცნო თავისი საუკეთესო სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის პატრიოტულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, მაკო ჯანჯიბუხაშვილი და სხვები. მაკო ჯანჯიბუხაშვილის მონათხრობიდან მახსოვს, რომ ბატონ ნოდარს მისთვის (მოკითხვისას) უთქვამს: როგორ უნდა ვიყო, ნეტავ მათ „ბუნკერში“ მოვეყალი, ამით უფრო გამართლებული იქნებოდა ჩემი არსებობა...

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომ ბატონი ნოდარი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოვიწვევეთ, სადაც იგი 1992 წლის 19 მარტამდე დირექტორის თანამდებობაზე იყო შემორჩენილი და ნებით არ თმობდა კუთვნილ პოსტს, 31 მარტამდე მაინც არ წავალო (უფრო, რეფერენდუმს გულისხმობდა, ალბათ)! მწერალი, მომხდარით მეტისმეტად ტრაგიკული და დათრგუნული იყო. აღელვებულმა მაგიდიდან ორი ტყვიანა აიტაცა და ბიბლიოთეკის ფანჯრებისკენ გამახედა, აი იქედან მესროლეს, ამ შენობის ფანჯრებიც კი არ დაინდეს, აქ სამუშაო მაგიდასთან



ვიჯექო. მერმედ, მაგიდის უჯრიდან გაზეთი „დრონი“ ამოიღო და მღვდელმთავრად მითხრა: ეს მართლა შენ დაწერე? ასე როგორ დაწერე ან როგორ დაგიბეჭდესო, ამ გაზეთის ჩემს არქივში სათუთად შევინახავო... ადგა და ცრემლმორთულია გულში ჩამიკრა, მომეფერა, მეც ამიჩვილდა გული...

ჩემი ლაკონური სტატია კი, რომელიც უფრო რეპლიკას წარმოადგენდა ხუნტის ჯალათებისადმი სატირული სათაურით „გილოცავთ...“ გაზეთ „დრონი“ მაშინდელმა რედაქტორმა არჩილ გოგელიამ დიდი ნინააღმდეგობისა და ჩხუბის შედეგად საბოლოოდ მაინც დაბეჭდა, თუმცა... განმაქიქებელი და

ცინიკური კომენტარით! წერაქვში სტუმრობისას ბატონმა ნოდარმა გამოცხადებისას მითხრა, რომ აქ, წერაქვში უნდა ყოფილიყო მისი სამუდამო განსასვენებელიც და საკუთარ ეზოში საფლავის ადგილზეც მიმითითა. მწერალ ბატონ ოტია იოსელიანისგანაც ვიცოდი (რომელიც თბილისში ჩამოსვლისას ჩემს ქუჩაზე თამაზ ნიჭარაძის სახლში იდებდა ხოლმე ბინას და ხშირად ენახულობდი), რომ ნოდარ წულეისკირმა ბოლო მონახულებისას მასაც სიტყვიერ ანდერძად დაუტოვა წერაქვის საცხოვრისი ეზოში დაკრძალვის სურვილი. თავად ბატონი ოტია იოსელიანი კი, როგორც ვიცით წულეისკირზე ადრე გარდაიცვალა და მისი გარდაცვალების შემდგომი სურვილიც, სხვებთან და ჩემთანაც საუბარში, ანალოგიური იყო და დაიკრძალა კიდეც საკუთარ ეზოში.

ბატონი ნოდარ წულეისკირის უკანასკნელი სურვილიც მისი ოჯახის მიერ აღსრულებულ იქნა, თუმცა მწერალთა კავშირის თხოვნით კულტურის სამინისტრომ და მერამ დიდუბის პანთეონში გამოყოფა ნაკვეთი მის დასაკრძალად; უფრო კი, მთაწმინდის პანთეონს იმსახურებდა...

წერაქვში, დიდი მწერლისა და მამულიშვილის დაკრძალვაზე ჩასასვლელად, ივანიშვილის მთავრობის არცერთ წევრს (არც დეპუტატებს, არც მთავრობის მეთაურსა თუ მის წარმომადგენლებს, არც პრეზიდენტს) თავი არ შეუწუხებიათ. არცთუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული

ხელისუფლების ყოფილ (რენეგატ) წარმომადგენლებსა თუ მომხრეებს (ზვიად ძიძიგურს, ბიძინა გუჯაბიძეს, ეკა ხერხეულიძეს, ნუგზარ ნიკლაურს, სევდია უგრეხელიძეს, პაატა ბარათაშვილს, ამირან ნიკლაურს...). არც რომელიმე სატელევიზიო არხი ჩასულა დაკრძალვის გასაშუქებლად. საგულისხმოა, ისიც რომ მილიარდერ ივანიშვილისეულ კულტურისა და ხელოვნების ცნობილ მუშაკთა დაფინანსების სიაში მოხვედრილი არ იყო ნოდარ წულეისკირი და სხვა მისებრი იდეური მწერლები თუ კულტურის მუშაკები.

ნოდარ წულეისკირის დაკრძალვაზე წერაქვში სულ სამასამდე ადამიანი ჩავიდა (გწუხვარ, რომ პირადად ვერ შევქედი ჩასვლა ავადმყოფობის გამო). 82 წლის ასაკში აღსრულებული მარტივი რაიონის სოფელ ბანძაში დაბადებული დიდი მწერალი და მამულიშვილი, მისი ანდერძის თანახმად, წერაქვში საცხოვრისი ეზოში ეროვნული შინდისფერი დროშის სუდარით დაკრძალეს...

ვიმედოვნებ, რომ მომავალი თაობა, წერაქვში, ამ სოფლის ჭეშმარიტი მკვიდრის, რეპრესირებული დიდი მწერლის მიხედვით ჯავახიშვილის ძეგლის გასწვრივ, მარტივი ნოდარ წულეისკირის ბრინჯაოს ძეგლსაც სიამაყით და მადლიერებით აღმართავს!

ლეილა ტოპია

დასაწყისი გვ. 9 ბიუჯეტს ერთჯერადად 100 მლნ ლარი დაუჯდება.

ამ 3-4 წლის წინ viasat history-ტელეარხზე სისტემატურად გადიოდა ავსტრალიაში რუსეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული დევიდ ადამსის შემეცნებითი ხასიათის ფილმი, რომლის ერთი ნაწილი არგონავტებსა და ოქროს სანძის მიეძღვნა. ავტორი ამტკიცებს, რომ არგონავტები ოქროს სანძის საძებრად საქართველოს ტერიტორიაზე არ შესულან, იქ ხომ ოქროს მოპოვება არ ხდებოდაო. თუმცა, ნუ იტყვი და, სოჭის მიმდებარე ყოფილა მდინარე ფაზისი, იქ შეცურებულან არგონავტები და ჩრდილოკავკასიიდან შუააზიაში გადასულან.

საყდრისის უძველესი ოქროს მალაროს განადგურებით ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეების ნაშლაც ხდება, რაც ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნე მეზობელი ქვეყნების დიდი სურვილია.

საყდრისის საკითხის პოლიტიზირება ჩვენს ინტერესში არ შედის და ეს არც თავად საყდრისის წაადგება. პარლამენტში საყდრისის თემა 13 დეკემბერის შემდეგ გახდა აქტუალური. არადა, ჯერ კიდევ მაისში მივმართეთ ყველა პარტიას მხარდაჭერისათვის და მხოლოდ არასაპარლამენტო

პარტიების ხელმძღვანელების შეგროვება მოხერხდა. საყდრისის საგამოძიებო კომისიის შექმნის და მისი ნგრევითი სამუშაოების შეჩერების საკითხი პარლამენტში ოპოზიციურმა ფრაქციებმა დააყენეს. უმრავლესობის ფრაქციის დეპუტატებს კი არ ეყოთ გამბედაობა, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედათ და გადაერჩინათ ეს უნიკალური მალარო. მათთვის ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ლარიაშვილის მიერ ტელეეთრით გაკეთებული ამგვარი ზერულე განცხადებები, რომ თითქოს არ დასტურდება, მავანთა მიერ ატეხილი ხმაური საყდრისი რაიმე ღირებულის წარმოადგენს შესახებო, ფაქტიურად დაუნერული ბრძანება აღმოჩნდა საყდრისზე ვანდალური სამუშაოების გასაგრძელებლად! ორმაგად სამწუხაროა, რომ ამ დეპუტატთა რიგებში ეროვნული ხელისუფლების მომხრეებიც აღმოჩნდნენ...

საყდრისის უნიკალური მალაროს გადაარჩენად, ამ ერთი წლის განმავლობაში პრემიერ-მინისტრისა თუ კულტურის მინისტრის სახელზე ვეროპელი და ამერიკელი მეცნიერების წერილები იგზავნებოდა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საყდრისი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საკუთრებაა და ითხოვდნენ მის შენარჩუნებას. ამ საკითხით დაინტერესდა იუნესკო, მიუხედავად იმისა, რომ მის დასაცავ ნუსხაში საყდრისი

შეტანილი ჯერ არ არის. „ევროპა ნოსტრა“-მ ასევე დაიცვა საყდრისის ინტერესები. როგორც ხედავთ, მთელი ცივილიზაციის სამყარო მხარს უჭერს საყდრისს, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოში მაინც ანგრევენ მას. მხოლოდ ეს ფაქტი, ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს განვითარება არ მიდის სწორი გზით? ევროპის ინტეგრაციის ხელშეკრულების გზაზე იქნება თუ არა ეს ფაქტი ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება?

რატომ მიეცა განუზომელი უფლებები გაურკვეველი წარმოშობის კომპანია RMG Gold-ს? რატომ არ აკონტროლებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები საქართველოდან გადინებული ოქროს, სპილენძისა და სხვა ძვირფასი ლითონების რაოდენობას, რატომ გაუგრძელდა უფასოდ მას ლიცენზია, რატომ არ ავადმდეულებს ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებას, რატომ ხუჭავს სახელმწიფო თვალს იმ სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც საყდრის-ყაჩალიანის დანგრევა მოჰყვა. რატომ არ რეაგირებს სახელმწიფო ამ კომპანიის მიერ კონსტიტუციის 34-ე და 37-ე მუხლების იგნორირებაზე, რატომ არ უსმენს სახელმწიფო მეცნიერებს, რატომ არ ისმენს საკუთარი მოქალაქეების ხმას, რატომ ანგრევენ სახელმწიფო საკუთარ ისტორიას?!

ანა შიქაშვაძე

იპარტიის სტრუქტურის რუსეთი საქართველოს ავტონომიის იზარება!

მიმდინარე წლის 18 მარტს მოსკოვში გაფორმდა ე.წ. ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის, რასაც ხელს მოაწერეს ვლ. პუტინმა და ცხინვალის რეგიონის მარიონეტმა ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა და რაც ენიშნავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ხელშეკრულება მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ კი ითვალისწინებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების და უშიშროების სამსახურების ნაწილის უშუალოდ მოსკოვის დაქვემდებარებაში გადასვლას, ასევე როკის გვირაბზე საზღვრის თავისუფლად გადაკვეთას, სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებას და მათი პენსიებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას.

პუტინმა ცხინვალთან ხელშეკრულების გაფორმება აშკარად და ნიშანდობლივად დაამთხვია ყირიმის ანექსიის 18 მარტის თარიღს. რუსეთ-ცხინვალს შორის დადებული ეს ე.წ. ხელშეკრულება დაგმო ყველა საერთაშორისო სახელმწიფოებმა, ისევე როგორც 2014 წლის ნოემბერში რუსეთ-აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის რატიფიცირება რუსეთის დუმამ, აგრეთვე მიმდინარე 2015 წლის 23 იანვარს მოახდინა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამჯერადაც დაადასტურა თავისი პოზიცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მხარდაჭერის

საკითხში და ორივე პოლიტიკურ აქტს არალეგიტიმური უწოდა. გარდა იმისა, რომ რუსეთი ფორსირებულად იერთებს ოკუპირებულ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს, აგრეთვე იგი ამ რეგიონების ტერიტორიების მცოცავ ანექსიასაც აგრძელებს, ლარსის რაიონის მთავრობა კი პრაქტიკულად უუნაროა შეაჩეროს მცოცავი ანექსიის პროცესი; გორის რაიონის სოფელი ჯარიაშენიც რუსული მავთულხლართებით შემოიღობა. ერთ დროს რუსი ოკუპანტების მიერ ორად გაყოფილი ჯარიაშენი, ამჯერად თითქმის მთლიანად ოკუპანტების კონტროლირებად მხარეს მოექცა.

ადგილობრივ მოსახლეობას ტერიტორიაზე გადაადგილება საკუთარი უსაფრთხოების ფასად უწევს. ადგილობრივები საკუთარი მიწის, ვერც დამუშავებას ახერხებენ და ვეღარც სასაფლაომდე მისვლას ბედავენ. საკუთარ ნაკვეთებში გასულ „საზღვრისპირა“ მოსახლეობას რუსი მესაზღვრეები იტაცებენ, ართმევენ ტექნიკას, მიჰყავთ ცხინვალის იზოლაციაში და რამოდენიმე თვიანი პატიმრობის შემდგომ, მხოლოდ გამოსასყიდის საფასურად ათავისუფლებენ.



მოსახლეობა პატრულირების გაძლიერებასა და უსაფრთხოების მიზნით ბლოკ-საგუშავს დადგმას ითხოვს. გორის რაიონის ამ სოფელში მავთულხლართები რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ გაჩნდა. მაშინ სოფელი ორ ნაწილად გაიყო. ახლა კი მცოცავი ოკუპაციის შედეგად მოსახლეობა სოფლის მთლიანად დაკარგვას შიშობს. ეს ჯამში 80 ოჯახი და 20 ჰექტარი მიწაა.

ქეთევან ჭანჭიანი

იჭვივი პრაქტიკულად ზვიად გამსახურდიას ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით ...

ერთ მშვენიერ დღეს მობილურზე დამირეკა ცნობილი მწერალი და უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა და მამცნო, რომ ახალგაზრდა რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, თურმე ფილმის გადაღებას აპირებს ზვიად გამსახურდიასზე და იქნებ, თქვენ, როგორც ეროვნული გაზეთის რედაქტორმა დაურეკოთ და სთხოვთ გაგაცნოთ სცენარი ან სულაც ინტერვიუ აიღოთ მისგანო. თავად ბატონ გურამს ეს მეტად საგულისხმო ინფორმაცია ქვემოთ მოდევანე ქართული კინო-დოკუმენტალისტის ქალბატონ ლიანა ელიაშვილის ერთ-ერთი პირადი საუბრის დროს მოუხმენია, რომელიც ზვიადის ჩამოდის საქართველოში. ოვაშვილის მობილური ტელეფონის ნომრის დადგენაში ერთობლივად დამეხმარნენ ქალბატონი ლიანა და ბატონი გურამიც. ტელეფონით ურთიერთგაცნობისას მე ოვაშვილს ვთხოვე გაცნო ჩემთვის სცენარი და გვეთანამშრომლა ამ მეტად საპასუხისმგებლო ფილმთან დაკავშირებით, შევთავაზე უფასო კონსულტაციები, მაგრამ ოვაშვილმა მითხრა, რომ ეს არ არის დოკუმენტური ფილმი, არამედ ზვიადი ჩემს ფილმში ფრაგმენტულად იქნება ჩართული, ძირითადად კი მისი პერიოდის მღელვარე საქართველო იქნება ასახული და ვალდებულად არ თვლით თავს გამაცნოს სცენარი, ეს ჩემი თავისუფლების შეზღუდვააო. ოვაშვილმა უარი

მითხრა ჩვენი გაზეთისთვის ინტერვიუს მოცემაზეც! სხვა გაზეთებში მიცემული ინტერვიუებიდან კი ვგებულობთ, რომ ოვაშვილის ფილმი, რომლის 20%-იან დაფინანსებაზეც კი უარი უთხრა ივანიშვილ-ლარსის რაიონის მთავრობამ და მთლიანად უცხოეთის დაფინანსებითა და საქართველოს გარეთ უცხო მიწაზე უნდა გადაიღონ სახელწოდებით „სიბუღა“, პრეზიდენტის უკანასკნელი ცხოვრების 50 დღეს ასახავს სამეგრელოში მკვლელობის აქტამდე და არამც და არამც არ შეეხება პრეზიდენტის მკვლელობის ტაბუდადებულ საკითხს. ფილმში პრეზიდენტის სახელიც კი „ზვიადი“ არ იხსენიებაო...

ამთავითვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გიორგი ოვაშვილის ფილმში ნამდვილად არ იქნება ასახული საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (თვით აფხაზეთის ავტონომიისა და ცხინვალის რეგიონის) 87%-ით არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეიარაღებული გადატრიალებით დამოხობა, ეროვნული ხელისუფლების განდევნა საქართველოდან, არცთუ პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ფილმში კადრები, ან თუნდაც მწირი ინფორმაცია მაინც. მაქვს დიდი ეჭვი, რომ ფილმი იქნება ოთარ იოსელიანის ფილმის ანალოგიური 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაზე, სადაც ფრაგმენტულად გაეღებოდა ზვიადი და მერაბი,

ხოლო ეროვნული მოძრაობა წარმოდგენილია ეგზალტირებული, პირდაღებული და კვეცილი ხალხით... ახალგაზრდა რეჟისორის გიორგი ოვაშვილის სცენარით, თავის მხრივ ასევე დაინტერესდნენ ბატონი გურამ პეტრიაშვილი და კინო-რეჟისორი ქალბატონი ლიანა ელიაშვილიც, მაგრამ ოვაშვილმა მათაც უარი უთხრა სცენარის გაცნობაზე!

ლიანა ელიაშვილს 10 წელია გადაღებული აქვს ფილმი ეროვნულ მოძრაობაზე, მაგრამ არცერთმა მთავრობამ არ დაუფინანსა იგი და დღემდე ვერ ხერხდება მისი ჩვენება ფართო ეკრანზე. მე კინოს სახლში, ვინრო წრეში მაქვს ნანახი ქალბატონი ლიანა ელიაშვილს ფილმი (თუ არ ვცდები 2005 წელს), სადაც 90-ანი წლების ეროვნული მოძრაობა წარმოდგენილია თავისი სიდალით. ქალბატონი ლიანა სამი წელი ეხვეწებოდა სააკაშვილს, რათა პრეზიდენტს საკუთარი ფონდიდან, ან მაშინდელ კულტურის სამინისტროს დაეფინანსებია მისი ფილმი, მაგრამ პროფესიონალი კინო-რეჟისორის ქალბატონ ლიანა ელიაშვილს თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, არცთუ ივანიშვილ-ლარსის რაიონის ხელისუფლების მხრიდან!

ლეილა ტომაია
2015 წლის 31 მარტი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს!

საქართველოს პარლამენტმა 88 ხმით აირჩია უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, რომლის კანდიდატურა ერთხელ უკვე ჩააგდო პარლამენტმა. ნინო გვენეტაძემ ამ მალალ პოსტზე შეცვალა ნაციონალურების მიერ 10 წლის ვადით დანიშნული კოტე კუბლაშვილი. პარლამენტის ამავე პლენალურ სხდომაზე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დამტკიცეს, აგრეთვე მერაბ ტურავა. ორივე ყოფილი მემბროს მოსამართლეები დევნილი იყვნენ უზენაესი სასამართლოდან მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მიუკერძოებლობისა და სამართლიანობისადმი პრინციპულობის გამო!

ნინო გვენეტაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, აგრეთვე 10 წლით იქნა არჩეული. მის არჩევას ხმა არ მისცეს ნაციონალმა პარლამენტარებმა და მისმა კონკურენტმა ზაქარია ქუცნაშვილმა კოალიცია „ოცნებიდან“.

კითხვაზე: „აგებენ თუ არა პასუხს ის ადამიანები, ვინც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება იარაღით დაამხო და მშვიდობიანი მოქალაქეები დახვრიტა?“ ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ უპასუხა: „თუკი საქმეების გადახედვა-გადასინჯვისთვის სამართლებრივი ბერკეტები იარსებებს, რასაკვირველია, სასამართლო შეასრულებს კანონის მოთხოვნებს, ხოლო, თუ საპროცესო ხანდაზმულობის ვადები გაშვებული იქნება, ბუნებრივია, სასამართლოში ამ საკითხებზე ვერ იქნება მსჯელობა. ჩემი მხრიდან პირდაპირი პასუხი არ იქნება მართებული. საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე შეიქმნას ისეთი საპროცესო ჩარჩო, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, განიხილოს და გადასინჯოს ის საქმეები“- განაცხადა გვენეტაძემ.



წყარო: <http://www.timer.ge/?p=15214>

ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რჩევები

განიკურნა კიბოსგან!

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ფაქტი ფაქტად რჩება - ამ ექსტრაქტით

პროფილაქტიკისთვის კი საკმარისია ერთი ასეთი კურსი წელიწადში. ეს ექსტრაქტი ყველა ადამიანს აძლევს ენერჯიას და მხნეობას.

2 კვირის განმავლობაში დადგით ნათელ, მზიან ადგილას და დღეში ერთხელ ფრთხილად შეანჯღრიეთ რომ ინგრედიენტები კარგად აირიოს.

2 კვირის შემდეგ სითხე გაწურეთ და მინის ჭურჭელში გადმოიტანეთ.

ერთი თვის განმავლობაში დღეში სამჯერ ერთი ჩაის კოვზი მიირთვით.

გაითვალისწინეთ: ამ წამალს სერიოზული ეფექტი აქვთ და განმეორებითი პროცედურის ჩატარება ერთთვიანი კურსის შემდეგ მხოლოდ 6 თვიანი პაუზის შემდეგ შეგიძლიათ.

წყარო: <http://dare.ge/remedy/>



ნესვის მირთმევა სხვა საკვებთან ერთად კატეგორიულად არ შეიძლება!

ნესვი შეიცავს B1, B2, PP, A, C ვიტამინებს. განსაკუთრებით მდიდარია რკინით. ამ ელემენტის მასური წილი ნესვში 17-ჯერ აღემატება რძეში არსებულს. ნესვში უხვად არის კალიუმი, კალციუმი, ნატრიუმი და ქლორიც. ამიტომაც ურჩევნია მას ანემიის (სისხლნაკლებობის) და ორგანიზმის განლევის, აგრეთვე ათეროსკლეროზისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს. ნესვი აძლიერებს ანტიბიოტიკების მოქმედებას, აქვეითებს მათ ტოქსიკურობას. ნესვი უამრავ ფერმენტს

მკურნალობენ კიბოს ბულგარეთში და უფრო მეტიც.

აღმოჩნდა, რომ ამ ექსტრაქტის გამოყენება 100 - პროცენტით გარანტიას იძლევა, რომ სრულიად განიკურნოთ როგორც ოპერაციამდე, ასევე მის შემდგომ პერიოდშიც და ეს სულაც არ არის მოგონილი ზღაპარი.

ეს მცენარე ყველასათვის ცნობილია საქართველოში, მას ჩვენი წინაპრები ოდითგანვე იყენებდნენ კუჭ-ნაწლავის მოსაწესრიგებლად (ფაღარათის დროს). რეცეპტი სხვათა შორის ძალიან მარტივია და რუსეთში არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ ექსტრაქტით ისინი სრულიად განიკურნენ ამ მომაკვდინებელი დაავადებისგან, რომლისგანაც უამრავი ადამიანი იტანჯება დღესდღეობით.

მოდი მივყვით მისი მომზადების რეცეპტს, როგორც ტექსტშია აღწერილი. შევარგოვთ ანწლის კენკრის მარცვლები სუფთად, ეს მცენარე ხომ მთელ საქართველოშია გავრცელებული (ягоды бузины черной). ჩავყაროთ ფენა-ფენა მშრალ, სუფთა მინის ჭურჭელში, დაახლოებით 1სმ კენკრა შემდეგ შაქარი და ასე შემდეგ ვიდრე არ გავავსებთ ბოლომდე მინის ჭურჭელს და დავდგათ 1 თვემდე გრილ ადგილას. შემდეგ მიღებული ექსტრაქტი გაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ ერთი სუფრის კოვზი ჭამის შემდეგ, ხოლო ჭამამდე 10 წუთით ადრე დალიეთ 150გრ. გამოსხილი წყალი. მკურნალობის კურსია 45 დღე. ერთი თვის შემდეგ ისევ გაიმეორეთ. სამი ასეთი სეანსი და კიბოც ქრება.

ჯადოსნური სასმელის უმარტივესი რეცეპტი, რომელიც დაგავინწყობთ რას ნიშნავს დაღლილობა

ორგანიზმში საკვებით, წყლისა და ჰაერის საშუალებით ათასობით უსარგებლო ნაწილაკი და მომწამლავი ნივთიერება ხვდება. ნეგატიურ ეფექტს აძლიერებს ხშირი სტრესი, არასწორი კვება, გამოუძინებლობა და დაბინძურებული გარემო. ორგანიზმი სუსტდება. ჩვენ ქრონიკულად დაღლილები და ენერჯისგან დაცლილები ვართ. ასეთ დროს აუცილებელია სისხლის ხშირი წმენდა.

ამ ჯადოსნური წამლის დამზადება ძალიან მარტივია და მხოლოდ ნიორი და ნითელი ღვინო დაგჭირდებათ. იგი წმენდს სისხლს, გამოდევნის ცხიმებს, მარილებს და მავნე ნივთიერებებს ორგანიზმიდან და აუმჯობესებს საჭმლის მომწელებელი სისტემის ფუნქციონირებას.

ინგრედიენტები:

ნახევარი ლიტრი ნითელი ღვინო

12 კბილი ნიორი

მომზადება:


კარგად დასუფავებული ნიორის კბილები ოთხოთხად დაჭერით და დოქში ჩაყარეთ, ზედ ნითელი ღვინო დაასხით და მჭიდროდ დაუცეთ თავი.



შეიცავს, ამიტომ ის ადვილი ასათვისებელია და ნაწლავთა ფუნქციასაც აუმჯობესებს. ის შეგიძლიათ მიირთვათ საჭმლის მოწელების ნებისმიერი დარღვევის დროს, ოღონდ, არავითარ შემთხვევაში სხვა საკვებთან ერთად! ის აუცილებლად ჭამიდან ჭამამდე, შუალედში უნდა მიირთვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოწელება გააგვირდეთ. არ არის სასურველი ნესვის ჭამა უზმოზე.

ექიმები ნესვს გვირჩევენ ღვიძლის ნებისმიერი პათოლოგიის, ასევე თირკმელებისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადების დროს. ის მაღლა სწევს ჰემოგლობინის დონეს და აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს გარეგნობას.

ნესვი ფოლიუმის მჟავას ანუ 9 ვიტამინის უნივერსალური წყაროა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საჭიროა ქალებისთვის ორსულობისა და კლიმაქტერიულ პერიოდში, ასევე მათთვის, ვისაც მესხიერების გაუმჯობესება და დეპრესიის დაძლევა სურს. ნესვში უხვად არსებული ბეტა კაროტინი ალამაზებს კანს და აუმჯობესებს თმის სტრუქტურას. ნესვი ამაღლებს გუნება-განწყობას, ხსნის უძილობას, დაღლილობასა და გაღიზიანებადობას. ეს ფერმენტ სუპეროქსიდისმუტაზის დამსახურებაა. ნესვის სამკურნალო თვისებებს მასში შემავალი მიკროელემენტები განსაზღვრავს.



კონსტანტინე გამსახურდიამ კაპიტალის 3 მილიონ მარკაზე უარი უთხრა



კონსტანტინე გამსახურდიამ გერმანიაში სწავლობდა. როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომელი, ის დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თხოვნით სახელმწიფოსათვის აუცილებელ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგალითად გადმოჰყავდა გერმანიიდან ყოფილი სამხედრო ტყვეები. იმ დროს ხომ კაცობრიობას ჯერ მოშუშებული არ ჰქონდა პირველი მსოფლიო ომით მიყენებული მრავალი ჭრილობა.

1919 წელს ბერლინში, უნივერსიტეტში ლექციების დროს კონსტანტინე გამსახურდიამ გაიცნო მოხუცი კაცი. ვინაიდან მოხუცი აუდიტორიაში იჯდა, ახალგაზრდა გამსახურდიას ის ახალი პროფესორი ეგონა. იმ დროს გამსახურდია დოქტორანტი იყო უკვე. აღმოჩნდა, რომ მოხუციც დოქტორანტი ყოფილა. ერთხელ მას შვილები გახუმრებია, ვერასოდეს შეძლებ დირექტორი გახდეთ. მისი შვილები ქარხნების დირექტორები იყვნენ. შვილებისათვის თავისი შესაძლებლობის დამტკიცების მიზნით მოხუცმა გადაწყვიტა ბერლინის უნივერსიტეტში სწავლა. როცა გამსახურდია გაიცნო, ის უკვე დოქტორანტი გახლდა.

უნივერსიტეტელი მოხუცი ამხანაგი ძალიან დიდ ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდა ქართველი კოლეგის მიმართ.

მოხუცი აღმოჩნდა გერმანელი ებრაელი, გვარად ვასერმანი. ვასერმანებს ჩვიდმეტამდე ტყავის ქარხანა ჰქონდათ ბერლინში და ბერლინს გარეთ.

მოხუც ებრაელს, ალბათ, მოეწონა თავისი შვილების ტოლი, და კიდევ უფრო უმცროსი, ახალგაზრდა, კოლხური გარეგნობის, დახვეწილი, ზრდილობიანი და ვაჟკაცური ბუნების გამსახურდია.

შაბათობით, მოხუცი დოქტორანტი მეგობარი მანქანას უგზავნიდა ახალგაზრდა დოქტორანტ გამსახურდიას და თავის მდიდრულ ვილაში ეპატიჟებოდა. კონსტანტინე ხატრს ვერ უტყებდა მზრუნველ მოხუცს და სტუმრობდა ხოლმე. ვასერმანის მეუღლე ალფრედინა სპეციალურად ქართველი სტუმრის პატივსაცემად, თავისი ხელით აცხობდა ნამცხვარს და სთავაზობდა მეუღლის უმცროს ამხანაგს. რა თქმა უნდა, დიდი კონსტანტინე არასდროს ყოფილა ანტისემიტი, მაგრამ, ქართული სამზარეულოს კოლხური კერძებით გაზრდილს, დიდად არ მოსწონდა ებრაული ნამცხვარი, და საერთოდ ებრაული სამზარეულო, მაგრამ, თავს ძალას ატანდა და მაინც მიირთმევდა, დიასახლისის გულის გასახარად.

ვასერმანი ზრუნავდა გამსახურდიაზე, ხანდახან კრედიტსაც სთავაზობდა, თუმცა კონსტანტინე არ ართმევდა. იმ ხანად, ის საკმაოდ მაღალ თანხას 1500 მარკას იღებდა თვეში და კიდევაც ეხმარებოდა ბერლინში ჩასულ ახალბედა ქართველ სტუდენტებს. გავიდა დრო, გერმანიაში დაიწყო ეკონომიკურ-

ფინანსური კრიზისი. დაიწყო გერმანიიდან ე. წ. კაპიტალის გაქცევა. დიდი თუ პატარა კაპიტალისა და ქონების მფლობელები ცდილობდნენ, გერმანიიდან გაეტანათ ანაბრები შვეიცარიაში. ცუდი დღე გაუთენდათ გერმანულ ბანკებს. მდიდრები უკავშირდებოდნენ საელჩოებს და დიპლომატებს, რომ მათი მეშვეობით ემოქმედათ.

ერთ საღამოს, ვასერმანმა თავის ვილაში მყოფ კონსტანტინე გამსახურდიას, ვახშმის მერე, უთხრა: "მე კარგად ვიცი, თქვენ როგორც საელჩოს ატაშეს დიპლომატიური პასპორტი გაქვთ და გერმანიის საზღვრებზე ისე გადახვალთ, ვერაფერს გაბედავს თქვენი "ბაგაჟის" გაჩხრეკვას. მე სვალვე გადმოგცემთ თქვენ ჩვიდმეტ მილიონ მარკას. აქედან სამი თქვენი იყოს, ხოლო დანარჩენი შვეიცარიის რომელიმე ბანკში მოათავსეთ ჩემს სახელზე.

რა თქმა უნდა, მე თვალდახუჭული ვენდობი თქვენს კეთილშობილებას".

სამი მილიონი მარკა იმ დროისათვის ძალიან დიდი ფული იყო. ამ ფულით ადამიანს შეეძლო მაშინდელ ევროპაში ფუფუნებაში ეცხოვრა, შეიტანდა ბანკში და პროცენტებით მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნებოდა, ან რაიმე საქმიანობას წამოიწყებდა. შეიძლება ქარხანაც შეეძინა და კაპიტალისტი გამხდარიყო.

ვასერმანს იქნებ, არც გაემტყუნებოდა. ის ამგვარ ვითარებაში გერმანიის მთავრობამ ჩააგდო, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ დაიწყო ომი, თანაც რამდენიმე ფრონტზე და დამარცხდა.

მსოფლიო ომში მარცხმა გამოიწვია გერმანიის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება. არა მარტო გერმანელი ებრაელები, არამედ გერმანელი კაპიტალისტებიც კი ცდილობდნენ თავიანთი ანაბრების და ფულის გადაარჩენას.

მეტიც, პირველ მსოფლიო ომში დამარცხების მერე, გამარჯვებული ქვეყნებისა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით, იმპერატორის ტახტიდან გადადგა ვილჰელმ II. მასთან ერთად ტახტიდან გადადგა ყველა გერმანელი მეფე-მთავარიც. გერმანიაში გაუქმდა მონარქია. ქვეყანა აირია. ასეთ ვითარებაში იყვნენ მაშინდელი გერმანიის საქმიანი წრეები.

ასეთ მაცდურ და საქმიან წინადადებაზე, 3 000 000 მარკის შეთავაზებაზე, ებრაელ კაპიტალისტს, ახალგაზრდა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გაუღიმა და ასე უპასუხა: „სამწუხაროდ გულახდილად უნდა ვითხრათ, ჰერ ვასერმან, ასეთ საქმეში მე ვერ გამოგადგებით. ერთი ცენახოთ, გერმანიის კონტრდაზვერვამ დაარღვიოს საერთაშორისო კანონი და ასეთი რამ, როგორც მოგეხსენებათ, არა ერთხელ მომხდარა, ეს რომ მოხდეს და ყოველივე გამოაშკარავდეს, ჩემს ქვეყანას და მე საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება".

მოხუცი კაპიტალისტი კარგა ხანს დუმდა. ეტყობა ეწყინა ამაღენ ფულს რომ გადაარჩენდა. ალბათ, უფრო საქმიანი თუ პრაგმატული ეგონა ქართველი, ან უარს არ ელოდა, ასეთი დიდი თანხის სანაცვლოდ. ასეა თუ ისე, გამსახურდიას უთხრა: „ბატონო გამსახურდია, ნუ გეწყინებათ. გულწრფელად გეტყვი: თქვენგან საქმის კაცი არასოდეს გამოვა, თქვენ ალბათ გამოუსწორებელი რომანტიკოსი დარჩებით, ხოლო რომანტიკოსების ხვედრი თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. დიდი პოეტი შილერი და დიდი მუსიკოსი შოპენი რომანტიკოსები იყვნენ და მიტომაც შიმშილით ამოძვრათ მათ სული".

გერმანია მეოცე საუკუნის დასაწყისში ძალიან მეგობრულად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ. რუსეთის იმპერია მათი მტერი იყო, რომელსაც ებრძოდნენ. საქართველო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გერმანელი ხალხის მოკავშირე გამოდიოდა. დიპლომატიური პასპორტის ძალიან ჭრიდა, თუ კონტრდაზვერვას რაიმე ეჭვი არ ექნებოდა ალბათ. ვასერმანის წინადადება, მართლაც, განხორციელებადი ჩანდა.

მაგრამ, ქართველებს პატიოსანი ახალგაზრდა მწერალი ჰყავდათ, რომელიც ფულისთვის ოჯახისა და სამშობლოს ავტორიტეტს ჩრდილს არ მიაყენებდა.

მეოცე საუკუნის დიდმა რომანტიკოსმა ასე მიმართა კაპიტალისტს: "თუ ჩემგან საქმიანი კაცი არ გამოვა, ამას არ ვიფარებ. მე დიახაც რომანტიკოსი ვახლავართ და ასეთი დავრჩები ალბათ სიკვდილამდის".

წყარო: <http://georoyal.ge/?MTID=5&TID=46&id=1643>

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების სარჩელი პროკურატურაში



და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, რომ ყოველ ხელისუფლებას ვუყენებდეთ ამგვარ სამართლიან მოთხოვნებს და თან საზოგადოებას ვახსენებდეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ჭეშმარიტი გარანტის - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების, რუსეთის მიერ მართულ და დაფინანსებულ, შეიარაღებული გადატრიალებით დამხობის შავ-ბნელ უახლეს ისტორიას.

შეშვენიერებული



2015 წლის 2 თებერვალს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთმა ჯგუფმა სარჩელი შეიტანა საქართველოს პროკურატურაში 90-იან წლებში მშვიდობიანი საპროტესტო მანიფესტაციების დროს შევარდნაძის ხუნტის სტრუქტურის ხროვის მიერ (სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი-ყარყარაშვილი) დახვრეტილთა გამოძიების მოთხოვნით, თუმცა არავითარი იმედი არ არსებობს, რომ ხუნტის მემკვიდრე ივანიშვილის რუსეთში ხელისუფლება გამოიძიებს ამ ისტორიულ დანაშაულს, მაგრამ იმისათვის, რომ არ მოხდეს სამართლებრივი წყვეტა აღნიშნულ მოთხოვნაში აუცილებელია

იმავერიული სიყალბე: რუსული ისტორიის 15 მითი – სიმაჩთლე და სიძრუე!

„ბატონყმობის“ ფენომენი - ეს დასაბამისეულ მოსკოვერი ფენომენია და ეს ზევრს ნიშნავს.

მთელს მსოფლიოში მონებად იყვნენ სხვადასხვა ხალხებისა და რასების წარმომადგენლები, ხოლო რუსეთში მონა იყო მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოსახლეობა.

მითი 1. „რუსეთი“
ყოველ ხალხს გააჩნია თვითსახელწოდება. ქვეყნებისა და ხალხების სახელწოდების ცვლელადობა ძალზედ ხშირად ხდება, მაგრამ რუსეთისათვის რატომ გახდა საჭირო აელო უცხოური სახელწოდება? ეს ის პარადოქსია, რომელიც იშვიათად გვხვდება.

საშინელეა იქნებოდა რომ გერმანელებს თავიანთი თავისთვის ეწოდებინათ არა «Deutsche», არამედ აელოთ სახელწოდება «Allemand», ეს იგი, როგორცაა მას უწოდებენ მეზობელი ფრანგები. მაგრამ რუსეთის შემთხვევაში ეს ნორმალურად ითვლება. რატომ?

იმიტომ რომ რუსეთისათვის ეს ხელსაყრელია. ეს შეიძლება გასაგები ყოფილიყო თუ, დაკუმვათ, ბერძნებს გარკვეულ პერიოდში Русь-ისთვის ეწოდებინათ «Руссия», და ასე გაეცნოთ ის მსოფლიოსა და ევროპისათვის. ე.ი. ყველა სხვა ხალხი ბერძნებისაგან Русь-ს შეიტყობდა როგორც «Руссия», - ეს ნორმალური იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი ასე არაა. მეფე პეტრე პირველი 18-ე საუკუნეში მოსკოვისათვის ღებულობს ზღვისიქითურ სახელწოდებას - Руссия, რომელიც უკვე აღარ გამოიყენებოდა ასწლებლების განმავლობაში, მოსკოვერ მიწებთან მიმართებაში კი საერთოდ არასდროს გამოიყენებოდა და ამით სახელდება ქვეყანას. რატომ? პასუხი მარტივია.

იმისათვის, რათა მოსკოვია ჩათვალათ რუსიად, მოსკოვის სახელმწიფოსთვის „სიძველის“ მინიჭებას ნიშნავდა და, რაც უმთავრესია - იმისთვისაც, რათა შემდგომში ეწარმოებინათ მითითური „რუსის მიწების შეკრების“ პოლიტიკა - სინამდვილეში კი ღია დამპყრობლური ომები მეზობელი ხალხების დასამონებლად და გასამარცხად. სწორედ ამიტომ გადააკეთა რუსი - მიწა რუსისა რაღაც მიწა МалоРоссия-დ და ВеликоРоссия-დ, რომელსაც უკვე 400 წელზე მეტი ხანია, რაც აღარავინ უწოდებდა.

რატომ დაჭირდა პეტრე პირველს კიევის რუსის დამორჩილების შემდეგ სწორედ ბერძნული სახელწოდების აღება, არც ვინესთვის არის საჭირო ამის ახსნა - შუა საუკუნეებში იყო რუსიც და იყო მოსკოვიაც, პეტრე პირველის დროს კი გახდა Великороссия და Малороссия, ე.ი. რუსი არ გამქალა, არამედ წარსდება ახალ ხარისხში. ისტორიული საწყისები კი მოგვიანებით მოიგონეს.

ბრიტანული ენციკლოპედიის პირველ 1771 წლის გამოცემაში არ არსებობს რაიმე სახის მოხსენიება რუსეთის იმპერიისა. იქ წერია, რომ მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო, რომელიც მოიცავს თითქმის მთელს ევრაზიას არის დიდი სათათრეთი. მოსკოვის სამთავრო კი, სადაც ამ დროისათვის სამართავად დასვეს რომანოვები, იყო მხოლოდ პატარა პროვინცია ამ უდიდესი იმპერიისა და იწოდებოდა მოსკოვის სათათრეთად. იქვე წარმოდგენილია ევროპისა და აზიის რუკები, რომელზედაც ეს ყველაფერი ჩინებულად ჩანს. უკვე ბრიტანული ენციკლოპედიის შემდგომ გამოცემაში, მთელი ეს ინფორმაცია საერთოდ აღარ არსებობს.



მითი 2.
„კულიკოვოს ბრძოლა“ - ეს არის მითი რუსების მონღოლ-თათრების უღლიდან გათავისუფლების შესახებ, მოსკოვის სამთავრო წყვეტს ხარკის გადახდას და იძენს სრულ დამოუკიდებლობას მხოლოდ ურდოს დაშლისა და სახანოებად დაყოფის შემდეგ. ეს კი მხოლოდ რამდენიმე ასეული წლის შემდეგ, 16-ე საუკუნეში ხდება.

ისევე ამ ბრძოლის შესახებ:
Налетело на русь великую, иго поганое.
И встали воины русские на брань великую.
И подняли мечи булатные, руками могучими.
И сокрушили войско, счету которому не было.
დაახლოებით ასეთი სიტყვებით არის აღწერილი დიდი „კულიკოვოს“ ბრძოლა, რომელიც 1380 წლის 8 სექტემბერს რუსულმა ჯარებმა მოიპოვეს

გამარჯვება მამაის არმიავ. ძველი მხედართმთავრების განსაცვიფრებელი სტრატეგიული სვლები ისე დეტალურადაა აღწერილი, თითქოს გუშინდა გადაიღეს მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებმა და ტელევიზიებმა ეს ბრძოლა და შემდეგ შთამომავლობისათვის გადასაცემად გმირებისაგან ინტერვიუებიც კი აიღეს.

დამარცხებული თათრების დანაკარგი დღესაც კი აოგნებს ჩვენს გონებას, რომელსაც ახსოვს მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლი. კურსკის რკალიც კი მასთან შედარებით მერვეკლასელების ჩხუბად წარმოჩინდება, სადაც თათრებმა ერთდღიანი ბრძოლის მსვლელობისას 800000-1 500 000 მეზობელი დაკარგეს. ჩვენ აღვიზარდეთ სამშობლოს დამცველ, საკუთარი სიცოცხლის ფასად გამარჯვებულ, ჩელუბეისთან მეზობელი პერსევეტის გმირულად დაცემაზე. მაგრამ არსებობდა კი ეს ბრძოლა საერთოდ? თუ ეს ღამ-ღამობით პორნოსურათების თვალთვრებით გართული ბოტანიკოსის მორიგი მოთხრობაა, თავისი სასიყვარულო ამბების შესახებ? ან იქნებ მორიგი სიყალბეა მსგავსად „ბრძოლა ყინულზე“ და „პროზოროვსკის ბრძოლისა“? მოდი შევეცადოთ, თავს ძალია დავატანოთ და გავაანალიზოთ.

დიდი რუსეთის ყველა დიდი გამარჯვება ეფუძნება ჟამთაღმწერლობას და ერთობ ურთიერთსაწინააღმდეგოს. მაგრამ თუ ლადოგის ტბის გამარჯვების მტკიცებულებები ტბის ფსკერზე ჩაიყარა, პროზოროვსკისთან სამარცხვინომ და სისხლიანმა მარცხმა შეიძინა გმირული გამარჯვების სტატუსი, რომელიც მხოლოდ პოლიტხელვისა და საბჭოთა პრესის საამაყო სიტყვებით დასტურდება. მაშინ მტკიცებულებები ამგვარი დიდებული და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებისა, დავეუშვათ მსხვერპლის ოცჯერადი შემცირებითაც კი, ნამდვილად უნდა დარჩენილიყო. ჩვენ ვთხრით მიწიდან მილიონი წლების წინანდელი დინოზავრების ჩონჩხებს, ვპოულობთ გამოქვაბულების ადამიანთა გაქვავებულ ნაკვალეებსა და მათი შრომის იარაღებს, მაგრამ კულიკოვოს ბრძოლის ნაკვალევი არ არსებობს, უზარალოდ, ისინი არ დარჩენილან. რატომ???

რუსული მეცნიერების დიდი ტვინები ჩვენ გვამდევენ ამის ერთობ საეჭო ახსნა-განმარტებებს „როგორც ჩანს, ცხედრები ძალიან ღრმად ჩაფლეს“. რუსეთის ისტორიკოსების კვლევების თანახმად დავეუშვათ, რომ მამაის ჯარები შეადგენდნენ 900 ათას კაცს საერთო რაოდენობით. დავეუშვათ რომ თითოეულმა მათგანმა გაისროლა თითო ისარი, ესე იგი ბრძოლის შემდეგ უნდა დარჩენილიყო 900 ათასი წამახული ისრის წვერი, დანა, მახვილი, ცხენის ადვილი და ა.შ. მაგრამ აქ მეცნიერება ათას საეჭოს ხლართავს, როგორც ჩანს, მაშინ ეს ყველაფერი ძალიან ძვირი ღირდა და გამარჯვებულებმა პირწმინდად აკრიფეს და თან წაიღეს. ე.ი. გამოდის, რომ დიდი რუსი მეომრები მკვდარი მტრების უკანასკნელ მაგამდე გამარცხვლები ჩვეულებრივი მორთაბორები იყვნენ და მათი შიშველი ცხედრები ღრმად ჩაფლეს, რათა შთამომავლობას არ ეხილა მათი უზნეო საქციელი.

1997 წელს თანამედროვე ისტორიკოსი და მკვლევარი ვიქტორ შავრინი ჟურნალ „როდინაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „განუყოფელი ველი“ წერდა: „არქეოლოგიურმა ჯგუფებმა დიდ კულიკოვოს ველზე იპოვნეს ასეულობით დასახლება, სადგომები, სამარხები. ათასეულობით საგანი. ვერ აღმოჩნდა მხოლოდ იმ უმთავრესი მოვლენის კვალი, რის გამოც გაითქვა სახელი ამ ადგილმა.

გამაწილებელი შედეგი აკნინებს ჩვენს წარმოდგენას რუსული ისტორიის გარდამტეხ მოვლენაზე და ყველას არ შეუძლია ეს „ღირსეულად გადაიტანოს“.

დიდი ისტორიის დიდი გამარჯვებების ბატონო მქადაგებლებო, მოდი თუ დაეწამებთ ცილს რუსული მიწების თათარ- მონღოლი დამპყრობლებისაგან დამცველ მეზობლებს. და არა მარტო თათარ- მონღოლებისაგან, იმიტომ რომ რუსი მეზობლებიც თავად ოლეგის მეთაურობით მამაის მხარეზე იყვნენ, თუმც რუსეთში ხომ მოღალატეები არ ყოფილან, ამიტომ ბრძოლის ამ, არც თუ მთლად პატრიოტული ნაწილის გამო, ცდილობენ არ ახსენონ ეს ისტორიის სახელმძღვანელოები.

მაგრამ რა არის გამარჯვება დღესასწაულისა და მეგობრების გარეშე? ამიტომ მთავრობის უზნეო კაცები დღესასწაულის თარიღს მიუთითებენ (მართალია თარიღში 13 დღით ცდებიან) და ტულაში 21 სექტემბერს იმართება დღესასწაული სახელწოდებით „ გამარჯვება დიდი მთავრის დიმიტრი დონელის მეთაურობით რუსული პოლკების მიერ თათარ-მონღოლების ჯარებზე კულიკოვოს ველზე“.

მაგრამ თათრები, რომელთა წინაპრები ამაოდ ეკუთვნოდნენ ამ დაუმარცხებელ და დიდ ქვეყნას, რომლის მოსახლეობის 3.83% შეადგენენ დღეს, უნდა შეწუხებულიყვნენ იმის გამო, რომ მათზე გამარჯვებას ზეიმობენ, სულ მცირედ, ეს არის ბიძგი ეროვნული შუღლისკენ. მამაი-ხანა არ წარმოადგენდა მთელს ხალხს და არც იმ თურქმანული ხალხების წარმომადგენელია, რომელიც თათრებად იწოდებიან და ასწავლიან რუსეთის სკოლებში რუს ბავშვებს, რომელთაც გაკვეთილებზე

მასწავლებლები მოუთხრობენ ვერაგ თათრებზე გამარჯვების შესახებ.

მაგრამ რუსეთის ისტორიაში „გარდამტეხი“ ბრძოლის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა, იმიტომ რომ ორი წლის შემდეგ 1382 წელს თოხთამიმ ხანმა გადაწვა მოსკოვი, დიდი რუსი მთავრები კიდი-კიდე მთელი რუსული მიწებისა, რომლებიც სწორედ ორიოდ წლის წინ შეერთდნენ მის დასაცავად, დაკავებულები იყვნენ ერთმანეთშორის ომებით და ხელისუფლებისკენ სწრაფვით, რიგ-რიგობით მიდიოდნენ ხანებთან მთავრის იარლიყის მოსაპოვებლად, რათა მშვიდათ ეგროვებინათ მოძულე თათრებისათვის გადასახდელი ხარკი.

სხვათაშორის თათრები არ ზეიმობენ მოსკოვზე გამარჯვებას, რამეთუ არც ასწავლიან ბავშვებს დიდი თათარ-მონღოლურ უღლის შესახებ, არ მოუთხრობენ ბავშვებს იმ „დიდი“ რუსი მთავრების შესახებ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათი მსახურები იყვნენ.

მითი 3.
ეს მითი „კიევი - დედა რუსული ქალაქებისა“ - როგორც სხვა ისტორიული შტამები, წარმოადგენს მითს, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა გააჩნია რუსეთის მითითური ისტორიის შემადგენლობაში. და თუ დავეუშვებთ რომ ოლეგმა თქვა ის სიტყვები, მაინც არ გააჩნია რაიმე კავშირი მოსკოვისათან და მითუმეტეს თანამედროვე რუსეთთან. იმ დროებისთვის არ არსებობდა, არც პირველი და არც მეორე. იყო მხოლოდ რუსი. ხოლო რუსის ტერიტორიის ძირითადი მიწები იყო დღევანდელი ბელორუსი და უკრაინა. ნოვგოროდი და სუზდალიც კი შედიოდნენ რუსის გაგებაში, მხოლოდ ძალიან ფართო გაგებით.

მითი 4.
„ისტორია რუსეთისა“ - მიუხედავად იმისა, რომ მე-18 მე-19-ე საუკუნეებში კარის ისტორიკოსების მიერ გამალებით იქმნებოდა და იწერებოდა ახალი რუსეთის ისტორია, 1946 წლამდე აკადემიურ ისტორიაში არ არსებობდა ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთი სათავეს იღებდა სახელდობრ კიევიში. კარამზინმა, მწერალ რომანისტმა, ეროვნებით თათარმა (ყარა მურზის გვარიდან) პირველმა შეთხზა რუსეთის ისტორიის „ოფიციალური“ ვერსია. ტატიშჩევთან ყველაფერი სხვაგვარად იყო, მაგრამ ტატიშჩევისეული არქივები გაჰქრნენ უკვალოდ. ისტორიის გადაწერისას აუცილებელი იყო ძველი „ვერსიების“ განადგურება. რაც გააკეთეს კიდეც... ბევრი ისტორიკოსი მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ რუსეთის ისტორია იწყებოდა მე-13 მე-14-ე საუკუნეებიდან მოსკოვის სამთავროს და მოგვიანებით მე-14 მე-15 საუკუნეებიდან რუსი ხალხის ფორმირებით. და ეს ისტორიულად სწორია და სამართლიანი, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს სხვა ისტორიული საფუძველი და პარტიული ხელმძღვანელების მოსაზრებით, არცთუ განსაკუთრებული, განსაკუთრებით უკრაინასა და ბელორუსიაში ეროვნული თვითგამორკვევის გამძლიერების პირობებში.

აქ დაიბადება კითხვა - რა ხდებოდა დღევანდელი რუსეთის ტერიტორიის 70%-ზე მანამდე, სანამ მოსკოვის სამთავრო წარმოიშობოდა? გამოვანა და ეს საიდუმლო მოცულია სიბნელით. „საბჭოთა სკოლაში“ ამას არ ასწავლიდნენ. არც თანამედროვე რუსულ სკოლებში ასწავლიან. აქ საკმარისია კარამზინის მითი. საერთოდ კი ასწავლიდნენ იმპერიულ და საბჭოთა მითებს. რატომ არ არსებობს თანამედროვე რუსეთის ე. წ. ძირეული ხალხების უმრავლესი ტერიტორიების რეალური ისტორია და თუნდ თვით რუსი ხალხისა? არსებობს რუსეთის ისტორიის მრავალი ვარიანტი, მაგრამ მთელი ეს ისტორია არის ისტორია მეფეებისა და იმპერიისა, მაგრამ მართალი ისტორია რუსი ხალხისა არ არსებობს!!! რუსეთის ხალხების რეალური ისტორია და კულტურა დაყვანილია ადგილობრივი ფოლკლორის დონეზე. რუსი მოსწავლეები რატომ შეისწავლიან ურალის და იმერურალის, ციმბირის, ალტაისა და შორეული აღმოსავლეთის ისტორიას სახელდობრ ერმაკების, დეჟნევისა და სხვათა მიერ მათი დაპყრობის პერიოდებიდან? რა, მანამდე იქ არაფერი და არავინ იყო? არ იყვნენ რუსები - ე.ი. არც სხვები იყვნენ?! დიახ, იმიტომ რომ რუსეთის ისტორიაში არ არის ადგილი რაიმე „არარუსულსა“, არ არის ადგილი სხვა ხალხების რეალური ისტორიისა, რომლებიც თვით არიან ეს დღევანდელი რუსთი. ისევე როგორც არ იყო ადგილი უკრაინისა და ბელორუსის, შუა აზიის კულტურისა და ენის რეალური ისტორიისა გარისტულ რუსეთსა და სსრკ-ში. და რაც კი მოიხსენიებოდა, ის იყო მცირედი მნიშვნელობით, ან ამ ხალხებიდან გამოსულების როლზე რუსულ სახელმწიფოში, რომლებსაც სწრაფადვე აცხადებდნენ ან აკეთებდნენ რუსებად. ამიტომაც ამ გამოსულებს არ ჰქონდათ უფლება ეწერათ თავიანთ მშობლიურ ენებზე, არც სწავლისა და ხშირ შემთხვევაში არ მოიხსენიებდნენ თავიანთი ხალხების სახელით. ნ.ვ. გოგოლმა, მოგზაურობდა რა ევროპაში და

ერთ-ერთ პანსიონში ჩამოხდომისას, ანკეტის შედეგებისას ეროვნების გარეშე თავისი ხელით ფარნგულად ჩაწერა „ukrainien“. დიდი მწერალი თავის თავს ამის გაკეთების უფლებას ნამდვილად ვერ მისცემდა მოსკოვს ან პეტერბურგში. მსგავს „თავებდობას“ მას არ აპატიებდნენ. ეს არის ჩინებული მაგალითი იმისა, თუ როგორ იყო მეფის რუსეთის სამინაო პოლიტიკა და რას გრძნობდა თვით გოგოლი. ამოდ არ იყო მთელს ევროპაში ცნობილი ეს გამონათქვამი „რუსეთი -ხალხთა საპყრობილა“. კი, დღეს ყუბანში ზოგიერთ სკოლაში, ისიც ფაქტობრივად, გადასცემენ უკრაინულ ენას, ის მხოლოდ იქ ისწავლება როგორც „ადგილობრივი ბალაჩკა“, ე. ი. უკრაინული ენის დიალექტადაც არა, არამედ როგორც „გაურკვევლობა“. უკრაინული ენის ხსენებაზე ტაბუა. რუსეთელმა მოსწავლემ - ბაშკირმა ასე თათარმა, რომელთა ხალხებს გააჩნიათ არა ნაკლები, არამედ მეტი ძველი ისტორია, კულტურა, დამწერლობა, ლიტერატურა ვიდრე „რუსისა“, სკოლაში თავიანთი ქვეყნის ისტორიის დასაწყისი რატომ უნდა ისწავლოს კვივის რუსეთის შექმნის დროიდან? ეს არ არის მათი ისტორია, არც კარვლების, მერის და სხვათა ისტორია, რომელიც უკვე ფაქტობრივად წაშლეს ეთნიკური რუკიდან სახელწოდება რუსეთის წარმონაქმნის სასარგებლოდ. დაიხ, სათათრეთში და რუსეთის სხვა რეგიონებში ასწავლიან მშობლიური მხარის ისტორიას - მაგრამ ეს უფრო ეთნოგრაფიული წრის დონეზეა და არა სწავლება საკუთარი ხალხის ნამდვილი ისტორიისა. ამ ხალხების ნამდვილი ისტორიის შეცვლას ცდილობენ ბოლო 300 წლის მანძილზე დიდად და ძლიერად გაბერილი „დიდრუსული მითის“ ხარჯზე.

მითი 5
„მეღერუსები და მოსკოვის რუსეთი“ - ეს ტერმინი აქტიურად შემოიღეს მე-19 მე-20-ე საუკუნეებში. ის, რომ ამ სახით რუსეთი ცდილობს შემოიტანოს მექვიდრეობითობა და უჩვენოს „სიძველე“ თავისი ისტორიისა, გასაგებია, მაგრამ საინტერესოა მეორე, როგორ შეიძლება ამ მთავრების „მეღერუსებად“ ჩათვლა თუ მათ არ იცოდნენ სიტყვა „русский“?

და არც იცოდნენ ასეთი სიტყვა. იყო სიტყვა Русь და Руський - მაგრამ Русь თანამედროვე რუსეთის ტერიტორიასთან ნამდვილად არ ჰქონია საერთო. რუსეთელი ფილოლოგი დალი ხაზგასმით აღნიშნავდა და მრავალჯერ მიუთითებდა იმას, რომ სიტყვა „русский“ სწორად იწერება ერთი „с“-ით - русский, სწორედ ეს სიტყვაა Русь-იდან წარმოებული. ქვეყნის სახელწოდების განმტკიცება როგორც „Россия“, ხალხისა როგორც „русские“, მოქალაქეებისა კი როგორც „россияне“ - მხოლოდ ზედმეტად უსვამს ხაზს მოცემული სახელწოდებებისა და მცნებების ხელოვნურობას. თანამედროვე მიმოქცევაში წარმოშობილი სახელწოდება „русскоязычные“ ე. ი. განცალკავებული კულტურულ-ლინგვისტიკური ერთეულისა არის ფაქტობრივი აღიარება რაღაც ეროვნულად უპიროვნო მასისა, რომელიც არის ყოფილი სსრკ-ს ხალხების „საბჭოური რუსიფიკაციის“ შედეგი. ძალიან განცვიფრებულად კვივის მთავრები, თუ უერვად გაიგებდნენ, რომ ათასწლეულის შემდეგ, სახელმწიფო ათასობით კილომეტრით მოშორებული ჩათვლიდა მათ თავის „русским“ ძველ წინაპრებს, ხალხი, კულტურა და ენა თანამედროვე უკრაინისა, რომლის მიწაზეც თვით კვივის მთავრები ცხოვრობდნენ და რანიც თვითონ იყვნენ - დღეს წარმოჩენისა, როგორც „ისტორიული გაუგებრობა“. არ საჭიროებს კომენტარს - აკი ამ საფუძველზეა აგებული რუსეთის მთელი ისტორია!!! არსებითად კი სწორედ თვით რუსეთია გაუგებრობა - რამეთუ არ არს სხვა ამგვარი ქვეყანა სამყაროში, სადაც აღრეულია ამდენი კულტურა და ხალხი, რომლის ისტორია იმდენად ხელოვნურია, მოგონილია და არამართალია, შექმნილია ცარისტული იმპერიის პოლიტიკის სასარგებლოდ, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიის სასარგებლოდ.

მითი 6.
„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (და სხვა სამწერლობო ძეგლები) - დოკუმენტი ნაპოვნ იქნა არაჩვეულებრივ ვითარებაში, მაგრამ პარადოქსულია, როგორ შეიძლება და ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის „დაკარგვა“? უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომლის ასლი გადაიწერა მე-18-ე საუკუნეში, ე.ი. სწორედ იმ პერიოდში, როცა მოსკოვის მეფეები მთელი ძალისხმევით წერდნენ და ჰქმნიდნენ „რუსული სახელმწიფოს“ ისტორიას. ის ტექსტი, რომელიც დღესდღეობით არსებობს არის ადაპტირებული და გადაპრანჭული მე-18 მე-19 საუკუნეებისეზურად, რომელიც აშკარად ამხელს „სიძველის ორიგინალს“ და ნიმუშია, „მეღერუსული ენისა“. ზუსტად ასევე გადასცემენ სკოლებშიც.

მითი 7.
„რუსეთმა შეკრიბა უკრაინის მიწები“ - მდ. სიანიდან დონამდის - ასე ითხოვდნენ ვინიჩენკო და გრუმესკი, კერენსკის დროებითი მთავრობისაგან, უკრაინული მიწების საზღვრების განსამტკიცებლად - სწორედ ამ ეთნო-გეოგრაფიული პრინციპით, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რამეთუ იბადებოდა კითხვა: „მაშინ სადაა საკუთრივ რუსების ისტორიულად ეთნო-გეოგრაფიული მიწები“? პასუხი კი ამ კითხვებზე არ

არსებობს. ხშირად შეიძლება გაიგონოთ ერთი მითი იმის შესახებ, რომ რუსეთმა შეკრიბა უკრაინული მიწები უკრაინელებისათვის. თითქოს ეს ნაწილობრივ ასეც იყო, ამისათვის კი მადლიერი უნდა იყოს უკრაინა? იმისათვის რომ პოლონელებს მიჰყიდეს ხოლმე და პოლიაშიე? იქნებ იმისათვის რომ გაჰყვეს კურსკის, ვორონჟის, ყუბანის, რიახანშჩინის, კურშჩინის, სმოლენშჩინის ნაწილის, ბრიანშჩინის, ორლოვშჩინის მილიონობით უკრაინელი? ამ ტერიტორიებს გააჩნდათ დიდად უკრაინული მოსახლეობა. 1926 წლის აღწერით ამ მიწებზე ცხოვრობდა 2,2 მილიონზე მეტი უკრაინელი. მაგრამ 1939 წელს უკვე მოიხსენიება მხოლოდ ათასები. შეიძლება ითქვას ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს: 1989 წლის აღწერით რუსეთში 4, 3 მილიონი უკრაინელი იყო, მაგრამ 2001 წლის აღწერით 2,4 მეათედი.

მითი 8.
„უკრაინა - ОКРАИНА, ეს სიტყვა კი მოიგონეს მე-19 საუკუნეში“ - თუ ლოგიკას მივყავართ, მაშინ მილიცია წარმოიშვა არა ბერძნული სიტყვიდან, არამედ „милые лица“, სიტყვა „Россия“ კი სიტყვიდან „рассеять“? აქ საქმე ისეა, როგორც იმ ოპერადან „ვისაც რა უნდა, ის ესმის“... საკმარისია გადავხედოთ მე-19 საუკუნეების ევროპული რუკები რათა დაინახოთ, რომ სიტყვა „უკრაინა“, როგორც მიწათა და ქვეყნის აღმნიშვნელი დიდი ხნის ნაცნობი იყო ევროპაში. წაკითხეთ მაგალითად ბოპლანი (შესაძლებელია მისი ნდობა), რომელიც მე-17 საუკუნეში თვით იყო უკრაინულ მიწაზე და თავის რუკაზე მას უწოდა მხოლოდ ამგვარად „უკრაინა - კოზაკების მიწა“, იმიტომ, რომ თავის თავსა და თავის მიწას ასე უწოდებდა უკრაინის ხალხი, ჯერ კიდევ გაცილებით წინა დროში, ვიდრე ბოპლანი უკრაინაში ჩავიდოდა მე-17 საუკუნეში. და საპირისპიროდ ის მე-16 მე-19 საუკუნეების ევროპული რუკები მოსკოვის წარმოაჩენენ, როგორც დიდი სათათრეთის ნაწილს. ეს ისეთი ფაქტებია, რომლის წინააღმდეგც კამათი ძნელდება...

მითი 9.
„მეღერუსული ბალადები“ - არსებობს მითი იმის შესახებ, რომ ეს ბალადები თითქოს მე-11 მე-13 საუკუნეებში ყოფილიყოს ჩაწერილი რუსეთის ცენტრალურ ევროპულ და ჩრდილოეთ ნაწილში. დავიწყეთ იქნება, რომ რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილში მე-15-16 საუკუნეებში ძალიან ცოტანი თუ ლაპარაკობდნენ გასაგებ რუსულ ენაზე, იქ ცხოვრობდნენ სრულიად სხვა ხალხები. სინამდვილეში კი ისინი დაწერილი და ჩაწერილია მე-18 მე-19 საუკუნეებში, რამეთუ ადაპტირებული არიან მასობრივ „სახალხო“ კითხვისათვის შეჯერებული ველიკორუსულ კილოზე. საინტერესოა მაგალითი „ძირეული რუსული“ ზღაპრისა „კოლოზოვი“ - რუსულ ენაში სიტყვა „каси“ საერთოდ არ არსებობს, მაგრამ არის უკრაინულსა და რუსში, აღნიშნავს „წრეს“ და მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება გასაგები თვით ამ ზღაპრის პერსონაჟი. საინტერესოა პუშკინიც. პუშკინთან რუსულანი რუსული რაინდია(!). ასეთივე წარმატებით შეიძლება ატაროს „რუსელმა“ რაინდმა სახელები ასლანი ან ნურსულტანი და ეს არ დაზარდება პუშკინის თანამედროვეებს შორის კითხვებს. ეს არ ბადებს ეჭვებს პუშკინთან, ეს ჩვეულებრივია, ის მოგვითხრობს სწორედ რუსულ (!) რაინდზე. და ეს მართალია - ასეთები ხშირად იყვნენ ისინი, რომელთაც უწოდებდნენ „რუსულ“ რაინდებს მოსკოვის სამთავროში. კირილმა მინეზავსკმა პოეზიისათვის ერთად უდგას ძეგლი, როგორც ჰქმნარტი „რუსული“ პიროვნება.

მითი 10.
„უკრაინისა და რუსეთის შერებება“ - როგორ შეიძლება და კარგულიყო ხელშეკრულება - საბუთი ასეთი უდიდესი მნიშვნელობისა? როცა არ არის ორიგინალი მაშინ ზავშეცხვისაც კი ცხადია - რომ შესაძლებელია ნებისმიერი ზღაპრის მოთხრობა და დაუგენდების შეთხზვა „შერებებაზე“. არავითარი „შერებება“ არ მომხდარა, იყო სამხედრო და რელიგიური კავშირი. მოგვიანებით კი მოსკოვიამ გადაასწორა-გადამასწორა და უბრალოდ დაიპყრო.

მითი 11.
„ვოლგა რუსული მდინარეა“ - ისტორიულად ვოლგისპირეთი თათრეთის სახანოა და სამშობლო ვოლგისპირელი ბულგარებისა, რომელთაც იქ თავიანთი სახელმწიფო ჰქონდათ. საბოლოო დამორჩილება ვოლგისპირეთისა ხდება მე-18 მე-19 საუკუნეებში. ამასთან, ვოლგისპირეთის მაცხოვრებელთა 60% არის „მთავრული“, არარუსული ეთნოსი ვიწრო ჭრილით და უმრავლესობა მუსულმანური აღმსარებლობის.

მითი 12
„რუსები და რუსეთი“ - საინტერესოა მერის, ვესის, მორდის, ვესების, კომის, უდმურტების, პერმიაკების, მუშკერების, ჩუდის და სხვა ხალხებისაგან, რომლებიც სახლობენ თანამედროვე რუსეთის უდიდეს ნაწილზე, რომელი თვლიდა თავს რუსად და ლაპარაკობდა რუსულად? არცინი! იქნებ მრავალჯერის ძალმომრეობით მონათლული კაზანის, ვოლგისპირეთის, ციმბირის თათრები იყვნენ რუსები? ესეიც, არა! სად არის „ძირძველი რუსული მიწები“, სად არის მათი სამკვიდრო ტერიტორიები? ეს მიწები მოსკოვის გარშემო მდებარეობს? სად არის კანონიკური რუსეთი?

შესაძლოა, ათასი ჯურის „მწიგნობარი“ კირინოვსკები, ლეონტიევი უწოდებდნენ უკრაინასა და ბელორუსს რუსეთს და კომისაც, იაკუტისაგან და ბურიატისაგან რუსეთად თვლიან. პარადოქსია? გამოდის რომ რუსეთი არ არსებობს. სადაა სახელდობრ თვით ეს რუსეთი? რომ ვთქვათ, სად არის მისი „რუსული გული“? სად არის მისი ეთნო-გეოგრაფიული სამშობლო? კიევში? სასაცილოა... და სამწუხაროც ამავდროს, იმიტომ რომ სიცრუეა ეს. რატომ არის შეუძლებელი რუკაზე თუ სად არის რუსების ძირძველი ეთნოკულტურული მიწების ჩვენება? იმიტომ რომ ასეთი მიწები არ არსებობს. იქნებ ვინმე იტყვის ნოვგოროდმა, სუზდალმა, როსტოვმა მისცეს სიცოცხლე მოსკოვისა და რუსეთს კიევის შემდეგ და იქ „გადავიდა“ რუსი? მაგრამ ეს ხომ აშკარა სიცრუეა და მე-19-ე საუკუნეში იმპერიული „ისტორიკოსების“ შექმნილი მითია. ნოვგოროდი და სუზდალი მოსკოვის ნაწილი ხდება იქ მხოლოდ ივანე მრისხანეს შეჭრისა და გამარცხის შემდეგ. მანამდე კი ისინი ცალკე სამთავროები იყვნენ, თავიანთი ცხოვრების წესით, სპეციფიკური ენით, კულტურითა და მენტალიტეტით, რომელიც განსხვავდებოდა მოსკოვურისაგან.

თუ მივაგებთ ყველა ამ „ველიკორუსულ“ შოვინისტურ ნაბოძვარს, მაშინ შევხვებით პირისპირ და რეალურად ვინ, სად და რომელ მიწაზე ცხოვრობდა? აი რა გამოჩნდება: 1. მერია, ვესი, მურომმა, ვესპი და ა. შ. არ არიან Русь! სად ცხოვრობდნენ ეს ხალხები მე-8 მე-10 საუკუნეებში? იქვე ცხოვრობდნენ მე-12 მე-14 საუკუნეებშიც, მაგრამ ისინი იქ დღეს უკვე აღარ არიან, რამეთუ ისინი უკვე მე-15 მე-16 საუკუნეებში და მოგვიანებით «русские» გახდნენ. 2. კრივიჩები, დრეგოვიჩები, სივერები, პოლიანები - Русь-ა, ხალხი руський (მიაქციეთ ყურადღება, სიტყვაში ერთი „с“ არის და მის წინ რბილი ნიშანი დგას), ენა русьский-ა, თავის თავს русины-ს უწოდებდნენ და იქ, სადაც მე-9 მე-10 საუკუნეებში ცხოვრობდნენ იქვე ცხოვრობენ დღეს 21-ე საუკუნეშიც და იწოდებიან უკრაინელებად და ბელორუსებად. ნოვგოროდი და სუზდალი იქნა დაპყრობილი და პრაქტიკულად იავარქმნილი, მათში არსებული თავისუფლება და წესრიგი აკრძალულ იქნა მოსკოვის მთავრების სპეციალური ბრძანებულებებით. წიგნიერება და ვაჭრებს კლავდნენ, ან აიძულებდნენ მოსკოვში გადასვლას. ველური მოსკოვითი სამეფო ყალიბდებოდა ცეცხლითა და მახვილით, ცხოვრობდა ომებით, ომები კი იყო ის ხორცსაკეპი, რომელიც სპობდა პატარა ხალხებსა და ჰქმნიდა ახალ ხალხს «московско-русский».

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „русский человек“ - ეს არის „რუსული კულტურისა და მოგონილი ისტორიის“ მატარებელი, ჩამოყალიბებული მე-15 მე-17 საუკუნეებში და ხელოვნურად „სისტემატიზირებული“ პეტრე პირველის პოლიტიკის წყალობით და მოგვიანებით მე-18 მე-19 საუკუნეებში რუსეთელი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე კაცების წყალობით, უფრო გვიან კი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში სსრკ-ს ხალხების ე.წ. „სწორი“ განათლების მეშვეობით. საბჭოთა კავშირში ყველასათვის ცნობილი იყო შუა აზიასა და ციმბირში არსებული რუსეთელი მეცნიერებისა და მიჰყავდათ ბავშვები მრავალი თვის მანძილზე, სახლიდან შორს, უფასო სავალდებულო განათლების სახით მიმდინარეობდა მათი რუსიფიკაცია. ბავშვები კარგად ენას, კულტურას, ხელობის ჩვევებს, მათი წინაპრების მიერ შექმნილს, უწყვეტად იყვნენ ცხოვრების ტრადიციულ წესსა და რიგს - ამ პოლიტიკით, ხელმისაწვდომი განათლების „სიკეთის“ შირმით განადგურდა რუსეთის ხალხების პიროვნება. ყველასათვის ცნობილია ჩრდილოეთისა და ციმბირის ხალხების მწუხარებით მოცილებული ხედი და ბედი - საყოველთაო ლოთობა, თვითმყოფადობის, ხელოსნობის გაქრობა და ცხოვრების ტრადიციული ადათ-წესების შეცვლა. რა იქნება მერმისში? გადასვენება ან სრული რუსიფიკაცია! მწერლობა თათრებისა, ჩუვაშებისა, ყალმუშებისა? სკოლაში გვასწავლიდნენ რომ ამგვარი რამ არც აროდეს ყოფილა, რუსებმა კი მათ ასწავლეს წერაც და კითხვაც. პირველად რუსებმა წაჭკვარეს ამ ხალხებს საკუთარი მწერლობა არაბულ დამწერლობაზე არსებული, შემდგომ 1920-იან წლებში აიძულეს ეწერათ ლათინურად, შემდეგ 1930-40-იან წლებში სულ ერთიანად გადაიყვანეს კირილიცაზე. გასაგებია, რომ მათი ისტორიული მექვიდრეობა უკვე მათი აღარაა... იმიტომ რომ სხვაგვარადაა დაწერილი. რუსეთში უკვე დიდი ხანია „რუსად“ ითვლება ის, რომლისთვისაც მშობლიური (პირველი) ენა რუსულია. ე.ი. „რუსი“ და „რუსულენოვანი“ - ექვივალენტური მცნებებია. დღეს რუსებად წარმოგვიდგება ბევრი თათარი, უდმურტი, ბაშკირი, ჩუვაში, ყალმუში, იაკუტი, ბურიატი და ა. შ... განათლების მთელი სისტემა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წესი მუშაობდა „რუსების“ გაჩენაზე იმ ხალხებშიც კი, რომლებიც არ ყოფილან სლავიანები. დღეს მნელია თქმა იმისა, თუ რამდენი „რუსია“ წარმომავლობით სლავიანი თვით რუსეთში. ცალსახა უმცირესობაა, 50%-ზე მეტად ნაკლები! ოფიციალური სტატისტიკა არ ხაზავს ამ სინამდვილეს. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა **დასასრული გვ. 19**

✠ ს უ ლ თ ა თ ა ნ ა ✠

დუსია უნდილაშვილი - დედაკაცი მხნე!



(1930 -2015) პედაგოგი, მარტია უნდილაშვილის (ილიასთან დაახლოებული პირის) შთამომავალი და სანდრო უნდილაშვილის შვილი (არტურ ლაისტი იხსენიებს მას „საქართველოს გულში“); 1921 წელს და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლის ოჯახში აღზრდილი და შემდეგ ასეთივე მებრძოლის ოჯახის რძალი; განკულაკებულის შვილი

და ასევე განკულაკებულის რძალი; ლამაზი და მაღალი სულის ადამიანი, კეთილი,, პრინციპული და შეუვალი; დარბაისლური ქართულით მოუბარი, მოყვარე თავისი მინა-წყლისა, ქართული სიტყვიერებისა, სიმღერისა და გალობისა; კარგი ოჯახის ბურჯი და დედა. მისი დევიზი იყო: „სიკეთით სძლიე ბოროტსა“; „სიკეთით ძლევთა გერჩიოს ბოროტებითა ძლევასა“; სიკვდილის წინ, ღონეგამოცლილი, ცნობიერების მიხდისასაც კი იმეორებდა ზედიზედ გალაქტიონის სიტყვებს: „ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო“... ქალბატონი დუსია, მემკვიდრე ღირსეულ წინაპართა, 1990 წელს მთელი თავისი ოჯახით სწორედაც რომ ღირსეულად ედგა მხარში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო კამპანიას, უზენაეს საბჭოს; ერთგული დარჩა თავისი არჩევანისა; რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის დაწყებისას იყო დიდი შემწე დევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და აქტივისტების ამერ-იმერიდან, მათი უშურველი და უანგარო მასპინძელი; მასპინძელი და მეგობარი საქართველოს პირველი პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლის, უხუცესი ემიგრანტისა ვაშინგტონში - ბატონი პეტრე ზედედიძისა, პირველი მნახველი და მკითხველი მისი არქივისა და ამ მასალებზე გამოცემული წიგნებისა „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ (2 ტ.); ქალბატონი დუსია ერთგული მკითხველი იყო გაზეთ „განმათავისუფლებისა“, რომლის ნომრებს საგანგებოდ იძენდა თავისთვის და ბატონი პეტრესთვის; ეცნობოდა ზედმინეებით და შემდეგ ბატონი პეტრე და ის ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ ტელეფონით; ლოცავდა გაზეთის რედაქტორს. ეს ლოცვა კი მისი მართალაც საარაკო იყო... ქალბატონი დუსია ასევე შეუცვლელი მასპინძელი იყო უცხოეთიდან, განსაკუთრებით საფრანგეთიდან ჩამოსული ყურნალისტებისა, საქართველოს ქომბაგებისა, რომლებიც რადიო-

გადაცემებს ამზადებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე. მისი ეს ფოტო სწორედ ან განსვენებული ფრანგი მარი მაღლენ ბარტის - „ახალი მარჯორი უორდროპის“ გადაღებულია, რომლის უდროოდ წასვლაც წუთისოფლიდან გულწრფელი დედური სიყვარულით გამოიტირა ქალბატონმა დუსიამ... ილიას, რომელმაც ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახეების შესაქმნელად სწორედ უნდილაშვილთა საგვარეულო ხასიათი გამოიყენა, უყვარდა ბიბლიური სოლომონის სიტყვები: „დედაკაცი მხნე ვინ პოს, უძვირეს არს ქვისა მრავალსასყიდისათა“ (გავ. 31, 10 სწორედ ასეთი იყო ქალბატონი დუსია - „მხნე დედაკაცი“, რომელიც შეუერთდა იმ უსახელო მამულიშვილთა რიცხვს, რომლებზეც იდგა და დგას საქართველოს მომავალი. ნუმც გამოლოდეს საქართველოს მისებრნი, მაგრამ ვისურვოთ მეტიც, რაც ეამებოდა ყველა დიდ ქართველ მამულიშვილთა სულს: საქართველოს არსებობის საფუძველი „ჭირთა მოთმინება“ კი არა, მომავალში მაინც მხოლოდ შრომა, ზნეკეთილობა. ცოდნა და სამართლიანობა ყოფილიყოს...

✠ **გაზეთ „განმათავისუფლების“ რედაქცია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ქალბატონ დუსია უნდილაშვილი-ჯარვალის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის შვილებს, ეროვნული მოძრაობის ღირსშესანიშნავ წარმომადგენლებსა და ქვეშაობი ქართველ ინტელიგენტებს ქეთევან, სოფიკო, ციცინო(თინათინი), ლიანა და ნინო ჯერვალაძეებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი დუსიას სული, რომელსაც ჩვენ დიდი მაღლიერებითა და მოწინებით ვემშვიდობებით.

✠ გ უ რ ა მ ✠

დ ა ნ ე ლ ი ა

გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ჰეროიკული ფიგურა, ნმ.ილია მართლის საზოგადოებისა და ზვიად განმათავისუფლების პარტიის აქტიური წევრი გურამ დანელია, რომელიც მუდამ შევარდნაძის პოლიციურ-დიქტატორული რეჟიმის საპროტესტო მიტინგების ეპიცენტრში

იდგა ნიშანდობლივი წევრით. იგი არაერთხელ იყო დროებით საპატიმროთა იზოლატორში მოთავსებული. ზვიად განმათავისუფლების პარტია დიდ მწუხარებას გამოთქვამს მისი გარდაცვალების გამო და შესთხოვს უფალს მეოხ ეყოს მის სულს, ამენ!

ანგელინა (ალფა) ფირსხალავა



მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი კლასელი ანგელინა ფირსხალავა. იგი დედით ციმბირელი ფინელი იყო, მაგრამ გენეტიკურად სუფთა სისხლით ზოგიერთ ქართველზე მეტად ქართველი, აქტიური პატრიოტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერი ყველა მიტინგის მონაწილე, 9 აპრილს მონამული! იგი ცხოვრებასთან გამუდმებულ ბრძოლაში დაიღწა. და დაცხრა მისი მებრძოლი სული...

სამუდამოდ დაგემშვიდობეთ, ალა! ავად ვარო, გვეუბნებოდი და არ გიჯერებდით... ახლა ვხვდებით, რომ არ გვინდოდა დაგვეჯერებინა... შენს შვილსა და შვილიშვილებსაც არ უნდოდა დაჯერება, ალბათ... რაც გარდაცვილს გაგიკეთეთ ყველამ, ცოცხალისთვის რატომ ვერ შეეძელით, იქნებ მეტი არც გჭირდებოდა... მოგვითქე... ღმერთო, გავედრებთ მის სულს, რათა მიუტყეო შეცოდებანი მისი და ნათელში დაამკვიდრო იგი, ამენ! **კლასელები**



გურამ დანელია

თსუ-სთან,ლეილა ცომაიას უკან მდგომი პოლიციელი ელექტრო-შოკს იყენებს, 1997 წ.24 სექტემბერი.

დასაწყისი გვ. 16

პოლიტიკოსების და პრეზიდენტის განცხადებებიც კი

„რუსულენოვანების“ უფლებების დაცვის შესახებ მეზობელ ქვეყნებში. განა ასე არაა? არსებითად კი ეს ახალი ვერსიაა ძველი მითისა „რუსული მიწების შემოკრების“ შესახებ. ამის უკან დგას ახალი იმპერიული აგრესიული ზრახვების გადაფარვის მცდელობა! 1926 წლის აღწერით რუსეთში ბრიანსკის, კურსკის, სმოლენსკის, რიაზანის ოლქებში ითვლებოდა 2 მილიონზე მეტი უკრაინელი. მაგრამ 1939 წელს უკვე ისინი 400 000-ზე ნაკლები იყვნენ. 1989 წლის აღწერით კი რუსეთში ცხოვრობდა 4,6 მილიონი უკრაინელი, 2001 წლისთვის კი მხოლოდ 2,4 მილიონი. სად გაქრა 2 მილიონი? 1900-დან 1990-იანი წლების პერიოდში თანამედროვე რუსეთის ევროპულ და სამხრეთ ნაწილში, აგრეთვე ციმბირში ასიმილირებული იქნა 10-15 მილიონი უკრაინელი, ეს მხოლოდ რუსეთის აღწერების ოფიციალური მონაცემებით. რამდენი იყო ასეთი ასიმილირებული ბელორუსი, თათარი, ბაშკირი, ბუღაიტი, ყალმუხი და ბავშვები შერეული ქორწინებებიდან, რომლებიც „შემოტანილი კანონებით“ ხდებოდნენ რუსებად? ათეული მილიონობით! აი, ეს არის თანამედროვე რუსი ხალხი, ე. წ. რუსეთელები. ფენომენი „ბატონყმური წყობილება“ ჭეშმარიტად მოსკოვიტურია და ის ბევრ რამეს ხსნის. მთელს მსოფლიოში მონებდა სხვა ხალხებისა და რასების წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო რუსეთში კი, მონებდა იყვნენ, თავისივე მოსახლეობა. საერთოდ ეს არაა გასაკვირი, მოსკოვის სამეფოს მთავრები ხალხს ეპყრობოდნენ როგორც უცხოელებს, სახელწოდება „ბრბო“ კი საკუთარივე ხალხის სახელწოდება იყო, რაიც შესანიშნავად წარმოაჩენს თვით ამ ხალხისადმი დამოკიდებულებას. თვით ხალხიც იძულებული იყო მთავრების მიმართ ყოფილიყვნენ, როგორც მონები ბატონებთან დამოკიდებულებაში. მონური მორეკვილობა არის ბატონობისა და ჩინოვნიკებისადმი დამახასიათებელი ადმინისტრაციისათვის, ყოველი ეს ელემენტი აზიატური კულტურისაა, რომელიც გახდა მოსკოვის განუყოფელი ნაწილი. 1654 წლისათვის უკრაინის რუსეთთან კავშირის დადებამდე გლეხობა უკრაინაში იყო თავისუფალი - დალხენილად არ ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი არც ვინმეს საკუთრება ყოფილან და მუშაობდნენ თავის თავისთვის. ქალაქებში კი მოქმედებდა მაგდებურგის სამართალი. მოსკოვის ქალაქებს ასეთი, არც მოსწონებიათ. სწორედ ამიტომ ნამდვილი რუსის ტერიტორიაზე (უმეტესად ეს თანამედროვე უკრაინა და ბელორუსია) მაცხოვრებელი ხალხი თანდათანობით იგნებდა, რომ მას, რასაც თავის ისტორიულ რწმენად, ენად და მეობად - რუსად უწოდებდა, მე-17 საუკუნეში მოსკოვისათვის, მოსკოვიტ „რუსებს“ შემდეგდროინდელი მჭიდრო ურთიერთობებით, არაფერი ჰქონდა საერთო, ე.ი. მენება „რუსთან“ იმ გაგებით, რომლითაც ამ სიტყვას აყალიბებდნენ მოსკოვიანთ. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდებოდა უკრაინის მაცხოვრებელთა მკვეთრი თვითიდენტიფიკაცია, როგორც რუსის ხალხისა, რომლებიც არ არიან „მოსკოვიტური რუსები“.

სწორედ ამიტომაც გამოდის დღის სინათლეზე ძველი სახელწოდება „моя крайина, вкрайина“ - უკრაინა. ანითვე დაუპირისპირდა სახელწოდება „вкрайина“, როგორც ჩემი ქვეყანა „საერთოს“ რუსებისა და უკრაინელებისათვის სახელწოდებას „Великороссия“. მოსკოვიანთ კი საპირისპიროდ იწყებს ხალხთა ასიმილაციას. ძალმომრეობით ქრისტიანად ნათლავს თათრებს და ჩრდილოეთის წარმართებს. პეტრეს ბრძანებით ქრისტიანობაზე მოქცეული თათრები სამი წლით თავისუფლდებოდნენ ბეგარისაგან. სტოლიპინი კი მიწას უფასოდაც აძლევდა, მართალია ციმბირში...

შესაძლებელია მე-17-ე საუკუნის იმ ხანებიდან იღებდეს ფეხებს უკრაინული იდეა რუსეთისადმი დაპირისპირებისა. არ ხურდა რუს-უკრაინის ხალხს იწოდებოდნენ მოსკოვიტურ „რუსებად“ - ის ასეთი არ იყო, ის ყოველთვის რუს-ი იყო, ეს კი სახვადასხვა რამეა, რომლის აღრევასა და ჩანაცვლებას ცდილობს რუსეთი. Русь Малая и Русь Большая - ასე ითარგმნება სახელწოდება Руссия Минорის და არა малороссия. და ეს იცოდა მეფე პეტრემ და სწორედ ამიტომაც გაჩნდნენ ქვეყნიერებაზე სიტყვები „Великороссия“ და „Малороссия“, რომლებმაც უკვე თითქმის დაკარგეს თავისი ასწლეულობითი მნიშვნელობა. თვით რუსეთელი გლეხობა, როგორც ვესტრის ელჩი მე-16-ე საუკუნეში წერდა, კითხვაზე თუ ვინ იყვნენ ისინი ეროვნებით, ასე პასუხობდნენ - გლეხები ან ქრისტიანები, ე.ი. საერთოდ მიიჩნევდნენ თავს რუსებად. თავიანთი ქვეყნის სახელწოდების „Россия“ შესახებ კი ამბობდნენ, რომ მათი მიწა იწოდება „Рассея“ - და, იმეტომ რომ „народ наш рассеялся по сей земле много“.

მითი 13

„რუსული სული“ - ამოუცნობია, როგორც დღეს რუსეთში უყვართ თქმა. საკუთრივ კი ეს „ამოუცნობლობა“ სრულიად პირობითია და არ წარმოადგენს საიდუმლოებას. პასუხი მარტივია, ეს არის ნაყოფი აზიატური და ევროპული კულტურის ურთიერთგავლენისა, რამეთუ სწორედ ამ ორი

კულტურის გასაყარზე წარმოიქმნა და ვითარდებოდა ე. წ. რუსი ერი და სახელმწიფო. რუსები ევროპაში აზიატები არიან და აზიაში ევროპელები. მოსკოვი „აზიოპის“ დედაქალაქია?

მითი 14

„რუსული ენა“ - დიდი და ძლიერი, სწორედ ასე გვასწავლეს სკოლაში, მხოლოდ ისაა „პირველი“ დანარჩენი სლავიანები კი მის გარშემო. რუსული ჩამოყალიბდა მე-16 მე-17 საუკუნეებში, გრამატიკა და აგებულება კი უფრო მოგვიანებითაა შექმნილი ლომონოსოვის მიერ, რომელმაც საფუძვლად დაუდო რუსის ლიტვის დიდი სამთავროების სახელმძღვანელოები და წიგნები და ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქმნიდა რუსული ენის გრამატიკასა და აგებულებას. პუშკინმა კი ამ ენაში შეიტანა ბევრი საინტერესო და ახალი. ამიტომ დღეს გაცხოველებით იქმნება აზრი, რომ უკრაინული ეს „გაპოლონურებული“ რუსული ენაა, რადგან მასში თითქოსდა ბევრია პოლონური სიტყვები. მაგრამ ამით ცდილობენ უბრალოდ ახსნან თვით რუსებისათვის მისი განსხვავება რუსულისაგან - რადგან ადარ ჩავიქრდნენ ზედმეტად. არსებითად კი ამის უკან იმალება მცდელობა გადაფარონ რუსულ ენაში თურქულენოვანი ენებიდან, განსაკუთრებით თათრულიდან, ფინურ-უგორული ენებიდან, მერიდან, ვესიდან, ჩუდიდან. ე.ი. ურალისა და თანამედროვე რუსეთის ჩრდილოეთის ნაწილის რუსიფიცირებული ხალხების ენებიდან უდიდესი რაოდენობის ნასესხები სიტყვები. უშუალოდ კი უკრაინულში არა პოლონური სიტყვები, არამედ საერთო სლავიანურია, სწორედ ამიტომ უკრაინელები და ბელორუსები რუსზე უკეთესად იგებენ პოლონურს და ჩეხურს, ზემო-ხორვატულს და უფრო უკეთ სლოვაკურს. უკრაინა კი სლოვაკეთს ნამდვილად არ დაუყვრია. ბელორუსულ ენასთან ლექსიკა 60% თანხვედრია და ეს ცალსახად უჩვენებს სახელდობრ თუ რომელ ენას გააჩნია ნამდვილი და არა გამოგონილი ისტორიული და კულტურული ძირები და რომელი ტერიტორიაზე - ჭეშმარიტ რუსის ტერიტორიაზე, და არა გამოგონილი „მოსკოვის“ ტერიტორიაზე. ამიტომ ეს ორი ხალხი არის მემკვიდრენი და გამგრძელებლები რუსისა. ცნობილი რუსი ლინგვისტი დალი წრდა, რომ არ შეეძლო სრულყოფილი ურთიერთობა მოსკოვის მხარის გლეხობასთან, მათ არ ესმოდათ ის ენა, რომელზედაც ის ლაპარაკობდა და შეისწავლიდა. და ეს ხდებოდა მოსკოვიდან 100-150 ვერსის დაშორებით, რადა უნდა ვილაპარაკოთ რუსეთის სიღრმეზე? დალი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ Русь-ის ენა იყო русский და იწერება სწორედ ერთი „ს“-ით, მაგრამ დალის არცენიმე უსმენდა, ყურს უგდებდნენ მხოლოდ პეტრე პირველის ბრძანებას. აკი სწორედ рус-ულს ემახდნენ თავიანთ ენას Рус-ეთში და მოხუცები უკრაინაში მე-20 საუკუნეშიაც კი, ამით უპირისპიროდ მოსკოვიტ რუსებს ენას, რომელიც ახალგაზოგონილი „русский“ - ია, ორი „ს“-ით.

„ძირეული რუსული“ მრავალი სიტყვის წარმოშობის შესახებ. ამ სიტყვების „რუსულობა“ არ ზადებს ექვს რუსული ენის მასწავლებლებს შორის თვით რუსეთშიც, მაგრამ თუკი გავანალიზებთ რუსული ენის ლექსიკურ შემადგენლობას, მაშინ გამოჩნდება, რომ სლავური ენებიდან მასში ძალიან ცოტა დარჩა. მაგრამ დარჩა ხელოვნურისაგან და საეკლესიო წრისა და ღვთისმსახურებისაგან. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ ლომონოსოვმა საფუძვლად საეკლესიო სალავიანური და შუა საუკუნეებში ლიტვის დიდ სამთავროში რუსი მამების სახელმძღვანელოები აიღო - ქმნიდა რა იმ დროისათვის დიდი ლიტვის სამთავროს ნაწილში მოსკოვიტ რუსულ ენას. სწორედ ამიტომაც თანამედროვე რუსული ენა მრავალთაგან აღიარებულია, როგორც საეკლესიო სლავურიდან ნასესხები, რომელიც მე-17-ე საუკუნემდის რუსში ასრულებდა სამწერლობო ენის ფუნქციას. სიტყვათა უდიდესი რაოდენობა რუსულში შემოვიდა ურალის ხალხებისა და რუსეთის ჩრდილოეთისა და ევროპული ნაწილის ფინურ-უგორული ენებიდან - ვესებიდან, მერიდან, კომიდან, ვესიდან, მურომოვებიდან, ფინებიდან, უგრებიდან. ამ ტერიტორიების დაპყრობისა და იქ მოსკოვის სამთავროს ხალხის ჩასახლების შედეგად აწყობდნენ ადგილობრივი ხალხების საყოფაცხოვრებო მოვლენებს, საგნების სახელწოდებებს და გადაჰქონდათ ისინი საკუთარ ენაში იგივე მნიშვნელობებით. ასე მაგალითად „რუსული“ околина წარმოსდგება კარელიური okollisa-დან; волесть კარ. Volosti; округ(а) კარ. okruuka, კომი oukruga; деревня ვესური deruun, deron, derevn; погост ვესური pagast და კარ. Pogostu; поселок კარ. Posolku; гряда კარ. kriadu(a); капуста კარ-ფინ. Kapustahuhta; нива კარ-ფინ. niiva, огород კარ. ogrodu და კომი akgarod; пусто, пустошь კარ.. puustos და ვეს. puust, усадьба კარ. და კომ. usat'bu; участок კარ. Ucuasku; поляна კარ.pluanu; роша კარ. roshsu და კომ. rossha, roshita; тундра ბალტიისპირულ-ფინური tunturi, tuntur; канава კარ. kanoava, konuava; пруд კარ.და ჩრ. ფინ. pruttu, pruuudu, прод კარ. brodu და კომ.и коми brudu; верста კომ vers და კარ virsta; путь კარელიური puwti და კომ. „PUTINA“ (გვარ პუტინის წარმომავლობა); телега, тележница კარ. telegu და კომ. Telezhnei; тропа კარ. troppi და კომი trioppu; крюк კარ-ფინური kruwga, kruwkka; волок კომ. vulek, vuluk; место კარ. და კომი mesta;

кряж (крутой берег) ვესს. krdz, krez; омут კომ.-კარ. Omutta; плешь კარ. Plesatti; родник ფინურ-კარ. rodnieku, rodniikka; бугор კარ. buguricu და ა. შ.და ა.შ. შეიძლება ვინმემ საპირისპირო თქვას, რომ ეს სიტყვები რუსულიდან კარელიურში, ვესურში და ა. შ. არაა, ამ სიტყვების მსგავსი ფუძიანი სიტყვები თითქმის არ არსებობს სხვა სლავიანურ ენებში. რუსი ადამიანისთვის სწორედ ასეთი სიტყვები ჰდერს განსაკუთრებულ „რუსულად“, ის მათთან ცხოვრობს საუკუნეების განმავლობაში, ამასთანავე ბელორუსული და უკრაინული სიტყვები ეჩვენება უცხოდ (აქედანაა გაპოლონურობის ვერსიაც) - ეს ხალხი ხომ ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს ჭეშმარიტ რუსში და არიან მისი კულტურის მატარებლები. მოგვიანებით ჩრდილოელი ხალხების ზოგიერთი სიტყვა მოხვდა უკრაინულ და ბელორუსულ ენაში რუსიფიკაციის შედეგად. მაგრამ საპირისპირო პროცესიც მიმდინარეობდა, მაგალითად სიტყვები: билет, станция, могила, село, хутор და. ა. შ. ნასესხები კომიში, კარელიურში და სხვა ენებში რუსულიდან. თურქულენოვანი, ირანულენოვანი და ევროპული ენებიდან ნასესხები ბევრი სიტყვების შესახებ იციან მხოლოდ ლინგვისტებმა: ТОВАР, ЛОШАДЬ, САРАЙ, КАРАВАН, АРБУЗ, СОБАКА, ХЛЕБ, КРУЖКА, ЗОНТИК, КОТ, ОБЕЗЬЯНА, БЛОКНОТ, ГАЛСТУК, КОМПЮТ, МУЗЫКА, ТРАКТОР, ТАНК, ГАВАНЬ, ПАРУС, ИКОНА, ЦЕРКОВЬ, СПОРТ, РЫНОК, ВОКЗАЛ, МАШИНА, ГОЛ, ИЗБА, СТЕКЛО, СЕЛЕДКА, СУП, СТУЛ, СТОЛ, ОГУРЕЦ, КОТЛЕТА, КАРТОШКА, КАСТРЮЛЯ, ТАРЕЛКА, САХАР, ХОР, ИДИЛЛИЯ, ПОЭЗИЯ, ГОСПИТАЛЬ, ЯРМАРКА, ШАНС, АЗАРТ, ТЕНТ, МАЙОНЕЗ, ДОМ, ШАМПУНЬ, ПРОБЛЕМА, СИСТЕМА, ТЕМА და სხვა მრავალი ათასი, აგრეთვე აღუწერელია ლათინურიდან და ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვებიც. რუსული ენის სამეცნიერო-ტექნიკური ლექსიკონი თითქმის 100% შედგება ჰოლანდიური, გერმანული, ინგლისური ენებიდან ნასესხები სიტყვებით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკაც, აგრეთვე თითქმის 100% შედგება ნასესხებებით ბერძნულიდან, ფრანგულიდან და ინგლისურიდან. ასე რომ სადაღა თვით „დიდი ძლიერი“ რუსული ენა? და რომელ „ძველრუსულობაზე“ შეიძლება კიდევ საუბარი? რუსული ენა, როგორც განმტკიცება ადმინისტრაციის სალავიანობის - თავისაკვ არსში მყვირალა ნაზავია სამწერლო საეკლესიო სლავურისა (ხელოვნური, არასასაუბრო ენისა) ათეულობით დაპყრობილი, დამონებული და ასიმილირებული ხალხების სხვადასხვა ენებისა. ეს ბუნებრივი პროცესია - მჭიდრო კავშირების დროს არა მარტო დამპყრობელი ახვევს თავს თავისას, არამედ თვით გადააქვს სხვისი. იმპერიულმა და საბჭოურმა ისტორიკოსებმა ყველგან, სადაც კი შეიძლება, ტერმინი „აღმოსავლეთსლავური“ შევცალეს „ძველრუსულით“. მაგრამ არ იყო ასეთი ხალხი, არც როდეს ყოფილა ამგვარი ენა. კიევში შექცეულია თავისივე იყო, ნოვგოროდში სრულიად სხვა. წერდნენ საეკლესიო სლავურით, მაგრამ ამ ენაზე არასდროს არავინ ლაპარაკობდა! რატომ უნდა იცრუნო და შექმნან მითები „ძველრუსულობაზე“? ძალიან უნდოდათ მოსკოვის მეფეებს სიძველე.

მითი 15

„რუსეთის სიმდიდრე“ - რას ფლობს რუსი ხალხი გარდა სხვა დაპყრობილი ხალხების მიწებისა და სიმდიდრისა? არც რამეს! რა გააჩნიათ რუსეთის ადგილობრივ ხალხებს ასეთი მფლობელობისაგან? არცრა! აი, კრემლს აქვს, და აქვს არც თუ ცოტა... „ბოროტ“ „კაპიტალისტურ“ და „დასავლურ“ კანადაში - არამარტო ინდიელები, არამედ ყველა იქ მაცხოვრებელი ყოველწლიურად დებულობენ რენტას მიწის რესურსებისა და წიაღისეულის გამოყენებისათვის, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ. სახელმწიფო ინაწილებს მოგებას მათთან ერთად, ვისაც ეს მოგება ეკუთვნის სამარებრივად! მაგალითად, 2005 წელს ყველა მაცხოვრებელმა, კანადაში ალბერტის პროვინციაში, ნავთობზე ფასების დაცემის შემდეგ მიიღო დამატებითი სახსარი 400-500 დოლარი თითოეულმა, პატარების ჩათვლით. აი ასე აკეთებენ რეალურად ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში. რას აკეთებენ რუსეთში გადაჭარბებული მოგებისა? გაზარდეს ხარჯები შეიარაღებაზე, ნავთობ-გაზის დოლარებით გამდიდრებულები უფრო მეტად ემუქრებიან მეზობლებს და აწყობენ გაზისა და სავაჭრო ომებს.

„А чѣ, деньги чай есть, можно и поиграть в политэкономно“. ხალხს კი სულში აფურთხებენ, როგორც ყოველთვის. რა გააჩნიათ რეალურად რუსეთის პატარა ერებს მათი სიმდიდრის ექსპლუატაციისაგან? მხოლოდ ხელფასზე ჩრდილოური დანამატი და ფასების მქორე და მესამე კატეგორია. ისევე როგორც მეფის, საბჭოთა და დღევანდელ რუსეთში - არცრა!

მხოლოდ იმპერიული უღელსი.

ეს კი არის მარცხენა ხელმწიფოს რეალური მიზნებისა და იმისა, თუ საით მიექანება ის...

პუბლიკაცია ვლადიმერ ბელინსკის გამოკვლევათა ციკლის მიხედვით მოამზადა
პლ. სანდუხაძე

ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა - პროტობრესკვიტკერი მარკოზ ტყეპლაძე

დღეს 21-საუკუნეა და ქალთა უფლებები, ჯერაც არ არის სათანადოდ დაცული, უფრო მეტიც, კატასტროფულად გაიზარდა მამაკაცების მიერ ცოლებზე ძალადობისა და მკვლელობის ფაქტები, რაც ფსიქოლოგიურად არყვეს უდედ-მამოდ დარჩენილ დაუცველ ბავშვებს, საზოგადოებას, რის გამოც საჭიროდ ჩავთვალეთ წინამდებარე ქადაგების მცირედი შემოკლებებით გამოქვეყნება, რათა დავერწმუნდეთ, რომ მიუხედავად პროგრესისა, ბევრი ვერაფერი შეცვალა დრომ...

დღესდღეისობით გამწვავებულია საკითხი მდებარეობითი სქესის ამაღლებაზე, რაც შეიძლება ქალთა უფლებათა გაფართოებაზე და მამაკაცთა უფლებებთან გათანაბრებაზე. ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი გონივრულად ახსნა, განმარტება ბევრს ნათელს მოჰფენს სხვა, ჩვენი ცხოვრების შესახებ დაყენებულ საკითხებსაც. რას თხოულობენ ჩვენი დედები და დანი?! ისინი თავგანწირულად იბრძვიან, რათა მიიღონ მოქალაქეობრივი უფლებანი ისეთივე, როგორც ეძლევათ მამაკაცებს და ამ უფლებათა ღირსეულად ასრულებისათვის თხოულობენ, მისცენ მათ საშუალება განათლებისა.

ყოველ შეგნებულ ადამიანს აქვს შემჩნეული მამაკაცთა და დედაკაცთა შორის არსებული უთანასწორობა და დასაშინებელი ცხოვრებაში. რა არის მიზეზი ქალთა ამნაირი დაქვეითებისა, რისთვის გამხდარა კაცი ბატონად ქალისა, რად დაუჩაგრავს იგი? ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ არ შეიძლება ქალს ისეთივე უფლებები მიენიჭოს, როგორც კაცს აქვს, რადგან ფიზიკურად უფრო სუსტია და ვერ შეძლებს ერთნაირ მოვალეობის ასრულებას. მაგრამ განა ცოლად არიან ისეთი მამაკაცი, რომლებიც ქალებზე უფრო სუსტნი არიან აგებულებით, ფიზიკური ძალადობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ უფლებებს არ ართმევენ. თუმცა ქალი კაცზე უფრო სუსტია აგებულებით, ფიზიკური ძალადობით, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მუყაითია, მომთმენი, ჯაფის ამტანი, ფხიზელი და მოხერხებული მუშაობაში. თუ კაცი მუშაობს დღეში რვა-ცხრა საათს, ქალი-მეოჯახე მთელი დღე ფეხზე ტრიალებს, ფუსფუსებს; თუმცა თითქო არა სჩანს მისი მუშაობა, მაგრამ იმდენი წვრილმანი საქმეებია გასაკეთებელი ოჯახში ყოველდღე, რომ ერთი საათის მოსვენებას, სულის მობრუნებას არ აძლევს დიაცს; ხშირად პურის საქმელადაც ვერ პოულობს იგი თავისუფალ დროს. ხშირად ცალ ხელში ბავშვი ჰყავს აყვანილი და ცალი ხელით საქმიანობს. რომელი ჯაფა შეედრება შეილოსნობას და ბავშვის მოვლას? რა მოთმინებით არიან ხოლმე აღჭურვილნი დანი მონკალებისა, როდესაც ისინი უფლიან დაჭრილებს, ავადმყოფებს? რამდენ წვალეებს გამოივლიან ხოლმე და როგორ საშიშ მდგომარეობაში აყენებენ თავიანთ თავს, როდესაც უფლიან ათასწორად გადამდებ სენით ავადმყოფებს? რამდენჯერ სჭირდებათ მათ დღე და ღამის გასწორება? გარდა ამისა, რამდენი კუთხეა დედამისის ზურგზე, როდესაც მამაკაცები სტოვებენ და ფულის საშოვრად მიდიან ქალაქებში? მაგ: ჩვენში რაჭიდან განა ცოლანი მიდიან სხვა და სხვა ქალაქებში სამუშაოდ? მათ მაგივრობას ვინ ეწევა სოფლად? ვინ ხნავს, ვინ სთესავს, მკის და ლენავს მოსავალს, თუ არა მათი დედები, ცოლები და დანი? მართალია, საზოგადოდ მამაკაცს მეტი ღონე აქვს, მაგრამ ვის რად უნდა, თუკი ერთსა და იგივე საქმეს კაცზე ნაკლებ ქალი არ გააკეთებს? მგონი, ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ თუ ვის როგორ და რამდენი საქმის გაკეთება შეუძლია და არა იმით, თუ ვინ მუშაობს, აკეთებს ამ საქმეს. მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ ცხოვრებაში? ერთსა და იმავე საქმისათვის, სამუშაოსათვის, თუ კაცია - მეტს საფასურს მიიღებს, თუ ქალია, ერთი-ორად ნაკლები ეძლევა. ამაზე მეტი უსამართლობა კიდევ იქნება? ახლა მაინც, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძლიერდება და მატულობს მანქანებზე მუშაობა, რომელსაც ქალი უფრო მსწრაფლად შეასრულებს, ვიდრე კაცი და რისთვის ღებულობდეს პირველი მორიგე გაცილებებით ნაკლებ სასყიდელს?

ზოგნი ამბობენ, ქალი კაცზე უფრო სუსტია გონებით, ჭკუით და ამიტომ არ შეიძლება, ერთნაირი უფლებებით აღიჭურვოსო. იყო ისეთი დროც, როდესაც სჯა-ბაასი ჰქონდათ: ერთნაირი სული აქვთ მამაკაცებს და დედაკაცებს თუ არაო? ახლა სამარცხვინოთაც უნდა მიგვაჩინდეს ასეთი კითხვის დასმა. რას ვამჩნევთ, რას ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში? ნუთუ ყველა მამაკაცი ჭკუიანები არიან? რამოდენი არიან მათში მოკლე ჭკუის პატრონი, მაგრამ არავის მათთვის უფლებები არ ნაურთმევიან. ზოგიერთი სახელმწიფო კანონებით ქალები გათანაბრებული, ე.ი. დადარებული არიან მცირე წლოვანებთან და ჭკუაშერყეულ კაცებთან. ქალები რომ განათლებულები იყვნენ, მათ რომ გზა არ ჰქონდეთ შეკრული და კაცებსავით შეეძლოთ ყოველ ასპარეზზე მოქმედება და მუშაობა, რამდენად წინ წაინევიდა საზოგადოდ კაცობრიობა და კერძოდ, რამდენად დააღწევიდა ქალი თავს იმ არასანუფემო მდგომარეობას, რომელშიაც ის ახლა იმყოფება?

ვიძახით, ქრისტიანები ვართო! ქრისტეს სწავლას კი არ გვინდა ვუგდოთ ყური. მაცხოვარი რას ამბობს? თანასწორად ხდის ის დედაკაცს და მამაკაცთან, თუ ჩვენსავით მის დანიშნულებას შეილების მოვლაში და მეოჯახეობაში ხედავს? არა. როგორც კი გამოცხადდა საქადაგებლად, ყველას განურჩევლად სქესისა, დაუსახა ერთი და იგივე მიზანი ცხოვრებისა: „იყვენი თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს.“ „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღრმთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ.“ თავის ქადაგებების დროს ის არავითარ უპირატესობას არ აძლევდა მამაკაცს დედაკაცზე, ერთნაირად მიაჩნდა ისინი და თუ მამაკაცს, ღვთის ნების აღმასრულებელს, უწოდებდა ძმით თვისად, დედაკაცს სახავდა დედად და დად თვისად (მათ. 12,50). უფრო გარკვევით გამოხატა მაცხოვარმა თავისი შეხედულება დედაკაცზე, მის უმთავრეს დანიშნულებაზე შემდეგი სიტყვებით: „მართა, მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის, აქა ერთისა არს საკმარ, ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოიჩინა, რომელი

არასადა მოელოს მას.“ რა გამოარჩია მარიამმა? მან უპირატესობა მისცა იესო ქრისტეს სწავლის, მოძღვრების მოსმენას, სულიერ საქმლის მოპოვებას, მართა კი ზრუნავდა, როგორმე მოემზადებინა საქმელი სხეულისათვის. მაცხოვარმა კი ამცნო ქალს, რომ ყოველდღიურ, ნუთიერ და წვრილმანი საქმეებისათვის არ მოენდომებინა თავისი დღენი, არამედ უმეტესი მდგომარეობა მიექცია სულიერ განვითარებისათვის.

უფალმა მოსთხოვა მონაფეხს, გამოეცვალათ შეხედულება დედაკაცზე, არ მიეჩნიათ იგი იარაღად მხოლოდ ერთ კაცობრიობის გამრავლებისთვის და კაცთა ვნებათა დაკმაყოფილებისათვის. „ყოველი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულისთქმად მას, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა“ (მათ. 5,28). ამნაირი შეხედულება დედაკაცზე იყო სრულებით ახალი და არ ეთანხმებოდა მაშინდელ საზოგადოებაში დამყარებულ აზრს, მიმართულებას, და თუ მონაფეხები წინ აღუდგნენ თავის მასწავლებელს დედაკაცთან საუბრებისა გამართვისათვის, ეს მოხდა მხოლოდ მისდამი პატივის გამო; არ უნდოდათ, მისთვის ეწყენინებიათ. როდესაც ცოლი გააჯავრებდა რითიმე ქმარს, მეორე პირველს ცემა-ტყეპით

ისტუმრებდა სახლიდან და სულ უბრალო მიზეზი იყო ხოლმე საკმარისი, რომ სამუდამოდაც მოეშორებია თავიდან. მაცხოვარმა დაჰგმო ასეთი უსამართლობა და სთქვა: „რომელმან განუტევოს ცოლი თვისი, თვინიერ სიძვისა და სხვა შეირთოს, იმრუშებს და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიც იმრუშებს.“

„ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რათა გიყონ კაცთა, და თქვენცა ვგრეთვე მსგავსად უარყოფდით მათ.“ „მითვე ნაწყაულოთ, რომლითა მიუწყოთ, კვლად მოგენყოს თქვენ“ (ლუკ. 6, 31,38), სთქვა იესო ქრისტემ და ამით ამცნო კაცებს, რომ ისე მოპყრობდნენ სხვებს, აგრეთვე ქალებს, იმ საზომავით გაეზომათ მათი დანიშნულება, რა საზომითაც უნდოდათ მათი ყოფა-ქცევა სხვებს და აგრეთვე ქალებსაც გაეზომათ, დაეფასებინათ, ავრონ-დაენონათ. მაცხოვრის აზრით, ქალია თუ კაცი, ერთნაირად ვალდებული არიან, ზნეობით მალა იდგნენ, კეთილ საქმეს მისდონ და ბოროტებას ერიდონ. როგორც კაცისათვის, ისე ქალისათვის მოსაწონი არ არის, არამედ საძრახისა ყოველივე უკანონო მოქცევა და შესაფერისი სასჯელი მოელოს მას. როდესაც მნიგნობრებმა და ფარისევლებმა მიიყვანეს იესო ქრისტესთან მემრუშე დედაკაცი და უნდოდათ, მას დაესაჯა იგი, მაცხოვარმა უთხრა: „ვინც თქვენსაგანი უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა“, ყველანი სათითაოდ

გაიპარნენ, იგრძნეს რა, რომ არც ერთი მათგანი არ იყო უცოდველი. რომელიმე ცუდ ყოფაქცევისათვის დედაკაცებს დიდ სასჯელს აყენებდნენ, მამაკაცები კი თავისუფლანი იყვნენ და იგივე დანაშაულობა ცოდვად არ ეთვლებათ. აბა ქალები გაუთანასწორდნენ კაცებს, ცოლებმა მიიღონ ქმრებთან თანასწორი უფლებები, მაშინ ვნახავთ, როგორ ომს გამოუტყაბდებენ, როგორ წინააღმდეგობას გაუწევენ ქალები კაცებს და ბევრს მათგანს გადააჩვენენ ცუდ ჩვეულებას, რომელთა შედეგი მხოლოდ ერთადერთი წვა და დაგვაა ოჯახისა. ავილოთ, მაგ: მემთვრალეობა. ვინ არ იცის, რომ ეს სენი ღუპავს ათასობით ოჯახებს. გამწარებული ცხოვრება იმ ოჯახში, სადაც მამა სახლისა ამ სენით არის შეპყრობილი. ბევრჯერ ცოლ-შვილი მშვიერ მწყურვალნი, დახეულ-დაგლეჯილნი, გულხელდაკრეფილნი, თვალცრემლიანნი დაეხეტებიან ქუჩა-ქუჩა, რადგან პატრონი, მარჩენელი უკანასკნელ გროშს ალარ უტოვებენ მათ და მთელ თავიანთ მონაგებს ლოთობაში აქრობენ. მაშინ ამ სენს ბოლო მოელება. მრავალნი კიდევ სხვანი ნაკლნი მამაკაცთა აღმოიფხვრებიან.

როგორც სიცოცხლის დროს, ისე სიკვდილის შემდეგ, მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა ვინ გახადა ღირსი პირველად მონამედ ამ საკვირველ მოქმედებისა - მკვდრეთით აღდგომისა, თუ არა დედები? პირველად, ყველაზე უადრეს, მანდილოსნებმა გაიგეს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა; პირველად მათ გამოეცხადა მკვდრეთით აღდგომილი. შემდეგ, ქრისტეს სწავლის გავრცელებაში, პირველ ქრისტიანეთა საზოგადოებათა დანებსებაში და მონკობაში დედაკაცებს არანაკლები ღვაწლი მიუძღვით კაცებთან შედარებით. ზოგნი ამათგანი წინასწარმეტყველნი იყვნენ, მაგ; დანი ფილიპესი, ზოგნი მქადაგებელნი, მოციქულად წოდებულნი, მაგ: პირველმონამე თეკლე. არ არის ხალხი, რომლის სარწმუნოებისათვის წამებულთა რიცხვში არ იყვნენ ქალები. ვინ გაავრცელა ჩვენში ქრისტიანობა? ვინ განანათლა ჩვენი ქვეყანა? წმ. მოციქულთა სწორმა წინომ

ამბობენ ზოგიერთნი, მაცხოვარს არავინ ქალთაგანი საქადაგებლად, მის სწავლ-მოძღვრების გასავრცელებლად არ გაუგზავნიანო. მართალია, იესო ქრისტესაგან გაგზავნილ მოციქულთა შორის არ ყოფილან დედები, მაგრამ ეს აისხნება იმ გარემოებით, რომ საზოგადოება მაშინდელი არ მიიღებდა მათ. ებრაელები ისე ამცირებდნენ დედაკაცის ღირსებას, რომ ელიაზარმა წარმოსთქვა: „უმჯობესია დასწავას კაცმა სჯული, ვინემ იგი მისცეს დედაკაცსო.“ ამნაირ შეხედულებას უწევდა ანგარიშს მაცხოვარი, რომ დედაკაცები არ გაგზავნა საქადაგებლად. თუმცა, ვიცით ჩვენ, რომ სამართლებმა ქალმა მთელი ქალაქი მოიყვანა მასთან და მენელსაცხებელნი გახდნენ მოციქულთა მოციქულბად.

და თუ ახლა ჩვენ ვერ ვხედავთ ამნაირ ქალთა ღირსებათა დაფასებას, ვისი ბრალია? ჩვენი. 1859-1937 წ.

წყარო: ხმა მწყემსისა, დეკანოზი მარკოზ ტყეპლაძე; 2012

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com

რედაქტორი ლეილა ცომიაი
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55